# ლიტერატურული საქართველო

ჩემი ხატია- სამშობლო,
სახატე — მთელი ქვეყანა

საქართველოს მწერალთა კავშირის ყოველკვირეული გაზეთი

პარასკევი, 3 აგვისტო, № 31 (2759) გამოცემის 58-ე წელი, 1990 ფასი 20 კაპ.




ფიტარეთი

ზურაბ დათუაშვილის ფოტო.

## რედაქციის განცხადება

რთული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება შეიქმნა საქართველოში. მდგომარეობას ართულებს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში წარმოქმნილი უთანხმოებაც. დაძაბულობამ ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში შეაღწია. ცხადია, ერთი-ორად გაგვირთულდა მუშაობის პირობები პრესის მუშაკებს; დრო და ვითარება ჩვენგან დიდ ყურადღებასა და პასუხისმგებლობას მოითხოვს. რა დასამალია, ყოველმა მოუზომავმა თუ აუწონელმა სიტყვამ, რომელიც სხვადასხვა მიზეზთა გამო პრესაში ბოლო დროს არცთუ იშვიათად იბეჭდება, შეიძლება უფრო დაძაბოს ისედაც ზღვრამდე მისული კრიზისული სიტუაცია.

ამიტომაც, გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს" რედაქცია აცხადებს, რომ არ დაბეჭდავს არცერთ ისეთ წერილს ან სტატიას, რომელთა ავტორები საკითხის ანალიზის ნაცვლად პარტიულ ან პირად ანგარიშსწორებას მიმართავენ. ამავე დროს, მზად ვართ გაზეთის ფურცლები დავუთმოთ საღ, საბუთიან, ობიექტურ კრიტიკას, მოვლენათა პროფესიულ ანალიზს.


### დღეს ნომერში

თავისუფლება — მე-2-3 გვ.

ემიგრანტები კი არა, გადახვეწილნი — მე-6 გვ.

საქართველოს სსრ პროკურორს — მე-8-9 გვ.

როცა მუზეუმა ერთმანეთი იპოვეს — მე-4 გვ.

ჯერ დანაშაულის გაცნობიერებაა საჭირო — მე-10-11 გვ.

ახალი ლექსები — მე-7 გვ.

ქალთა მოქრების სათავე — მე-14-15 გვ.

დღეს ნომერში

# თავისუფლება

## თამაზ ჩაჩავა

1989 წლის 29 ნოემბერს იმპერიულად მედიდური, განცხრომით თავბრუდახვეული მადრიდის შემდეგ, ვისლაში არეკლილი, მჭვარტლგამჯდარი პრაღის სტუმარი გავხდი.

ყოველ შენობაზე, მშვენიერების უგულებელმყოფელი, სულიერებისადმი მტრულად განწყობილი „სამაგალითო-საჩვენებელი" მუნიციპალიტეტის ასე ნაცნობი ხელწერაა. სოციალისტური ქალაქების მესვეურთა მანიად ქცეული მრავალტონიანი ქანდაკებების წამოჭიმვა ისედაც მწირ ბიუჯეტში იმდენად დიდ ნაპრალს ქმნიდა, რომ დანარჩენი წლები მის შევსებას ეთმობოდა და ალბათ ამიტომ დაბერდნენ ასე უდროოდ ჩვენი ქალაქები.

ქვეყანა ავადაა დოზირებული ფერისა, სილამაზისა, სინათლისა, ჰაერისა და თვით სინამდვილისაგან...

მაგრამ დღეს პრაღა იმედიანი სანთლებით ციმციმებს, კიდევ ერთხელ შეუმართავს ხელი ვაჟკაცურად და გამარჯვებას კი არ ელოდება — მიჰქრის მისკენ.

თავდაყირა დამდგარ საზოგადოებაში უნიჭობას ფართო გზა ჰქონდა. პრაღის საუკეთესო სასტუმროს არქიტექტორიც და დიზაინერიც, როგორც ჩანს, ამავე პროცესების შვილებია. მათ მიერ აშენებულ „საჭინიბოში" ცხენივით ფრუტუნი გინდება, მაგრამ დასვენება, რა თქმა უნდა, აქაც შეიძლება. ჩაეშვები ღრმა, ფაფუკ ლოგინში და თითქოს თივის სურნელიც მოგელამუნება, უშველებელი ბუზიც გადაიფრენს და თვლემიდან დროზე გამოგაფხიზლებს.

კარზე ვიღაცამ დააკაკუნა. საჩქაროდ გავაღე, ზღურბლზე ჩეხეთის ფილარმონიის დირექტორი პაშეკი იდგა.

დიდი ხნის უნახავ ამხანაგებთან შეხვედრისას დრო თითქოს განკაცდება — სახეზე გავლებული ნაოჭებით, ჩამქრალი თვალებით, ზანტი სხეულით შემოვა ოთახში და გეცოდება წარსულად ქცეული დღეები, დროის წინაშე უძლური ადამიანები.

ჩვენ ძველი მეგობრები ვართ და შემოსვლისთანავე მომძახის — საჩქაროდ ჩაიცვიო. რამდენიმე წუთში უკვე პრაღის ქუჩებში პარტიზანული, მოკლე გადარბენებით მივიწევთ, რადგან გონებამახვილური ლოზუნგები თარგმნას ითხოვენ: „სამარადისოდ საბჭოთა კავშირთან, ოღონდ დღეიდან მასთან ერთად არც ერთი წუთი". „არ გვინდა დაშაქრული ბაყაყები და შაქარში ამოვლებული კომუნისტები". აგერ, პორტრეტი ბილიაკისა, რომელიც ფეხსაცმელში ყოფს ხელს, ქვემოთ კი წარწერაა: „რას ეძებთ, ამხანაგო ბილიაკ, თქვენს სინდისს?" მეც გამახსენდა საპასუხო ლოზუნგი: „მხოლოდ ფსიქოპათებს არ შეიძლება მოსწონდეთ ჩვენი ცხოვრება" (ლ. ბრეჟნევი)...

დრო არ ითმენდა. მარტო მაშინღა, როცა ძველი ქალაქის მშვენიერ მოედანზე გადავრბოდით, პაშეკმა საიდუმლო გამანდო: თურმე ფილარმონიის დარბაზში გვაგვიანდებოდა, სადაც იკრიბებოდა ოპოზიცია — ჰაველი, ჩეხეთის ფილარმონიის სიმფონიური ორკესტრი და პრაღის ქუჩებში მონავარდე თავისუფლება.

საინტერესოა, რომ ნოემბრის მოძრაობას, რომელმაც სული ამოხადა ხელოვნური სუნთქვის გზითღა არსებულ მთავრობას, პრაღის სიმფონიური ორკესტრი და თეატრალური ინტელიგენცია ედგა სათავეში.

ჰუჰყიანი ხელით ნაგები ციხე-კოშკი ბოლოს და ბოლოს ჩამოინგრევა. პრაღის ბაროკოს სტილის სასახლის მშვენიერი საკონცერტო დარბაზი კი დგას და ახლა ხალხითაა გაჭედილი. სცენაზეა ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო — ჩეხეთის ფილარმონიის სიმფონიური ორკესტრი და ფილარმონიის გუნდი. გაბრწყინებული რამპის წინ ჰაველთან ერთად სახალხო ფორუმის 5 წარმომადგენელი გამოდის. ჰაველი განაჩენივით კითხულობს მემორანდუმს მთავრობის გადადგომაზე. ოვაციების შემდეგ, სიმფონიური ორკესტრი, სახელგანთქმულ ვ. ნოიმანის დირიჟორობით, სმეტანას სიმფონიის — „სამშობლოს" ორ ნაწილს ასრულებს.

მაღალ საშემსრულებლო ხელოვნებას საოცარი სულიერი სიმშვიდე მოაქვს, იმგვარი სიმშვიდე, ადამიანს რომ ძლევამოსილს ხდის. როცა მშვენიერებას ხვდები, განსაკუთრებით სასაცილო გეჩვენება ყოველივე, რაც მდაბალ პოლიტიკას ქმნის. ამ საოცარი აკუსტიკის დარბაზში ორკესტრი სასწაულს ახდენდა. ბოლო აკორდს დარბაზი ფეხზე ამდგარი შეხვდა; ოვაციები, გამარჯვების ნიშნად ხელაწეული ახალგაზრდობა, ადამიანთა ერთობის დაუვიწყარი სურათი!

ოვაციები ჩაწყნარებული არც იყო, როცა გუნდმა ეროვნული ჰიმნი დაიწყო. ფეხზე ამდგარი დარბაზი შთაგონებით, სიყვარულით და იმგვარი ინტონაციური სიზუსტით მღეროდა, რომ ვერც კი გაარკვევდი, სად უფრო მეტი სრულყოფილება ჩანდა, დარბაზში თუ სცენაზე. ორკესტრი აკომპანიმენტს უწევდა 2000 ამბოხებულისგან შემდგარ გუნდს, — ჩემთვის უკვე გამარჯვებულ ხალხს, რომელიც თავისი შინაგანი კულტურით გაბატონებულ რეალობაზე მაღლა იდგა და მახსენდებოდა მარინა ცვეტაევას ლექსი ჩეხეთისადმი მიძღვნილი: «Измором взять такой народ? Гранит — измором взять!».

●

დასავლეთი და აღმოსავლეთი, ორი სხვადასხვა პლანეტა. მოქმედი პარლამენტი მე-12 საუკუნიდან. ფეოდალური სისტემის დასასრული უკვე მე-14 საუკუნეში. აღორძინება. მრავალი სტილი არქიტექტურაში, ფერწერაში, მუსიკაში, — ბაროკო, როკოკო, ნეოკლასიციზმი, რომანტიზმი. სულის ღრმა პლასტები. შემოქმედი გონება, რომლისათვისაც სამყაროს ჭვრეტის მრავალი მწვერვალი არსებობს. ამიტომ — მომთმენი, ჭამგები, ლიბერალური, შემწყნარებელი და დემოკრატი.

თავისუფლების მკაცრ გამოცდას ადამიანი საუკუნეების განმავლობაში აბარებს. თავისუფლება საკმაოდ მტკივნეული ინდივიდუალიზაციის პროცესია. გავიხსენოთ ინდივიდუალიზაციის მაგალითი ძველი აღთქმიდან. ბოროტებისა და სიკეთის ხიდან ვაშლის მოწყვეტა ადამიანის პირველი თავისუფალი აქტია, შეძენილი თავისუფლება კი ტანჯვის გზაზე გასვლაა: პირველი კაცი და ქალი, ედემის ბაღში, ბუნებასთან და გამჩენთან ერთობაში, უზრუნველად ცხოვრობენ. არ არსებობს ფიქრი და არჩევანი, ამიტომ არც თავისუფლება არსებობს. დაარღვია რა ღვთის მცნება და იგემა ნაყოფი ხისა მისაგან ცნობადისა კეთილისა და ბოროტისა, ადამიანმა თავისუფლებისაკენ გადადგა ნაბიჯი. არჩევანის უფლების მოპოვებით აღმოცენდა გონებაც — ეს კი გაადამიანებაა, ინდივიდუალიზაციაა, ბრძოლაა ადამიანისა ადამიანთან, ბუნებასთან, საკუთარ თავთან. ის თავისუფალია, მაგრამ უძლურია, შეშინებული და მარტოხელა. მიღწეულმა თავისუფლებამ ადამიანი ფაქტიურად შეჩვენებული გახადა — ის ბუნებას გამოეყო. ამ დღიდან შრომითა თავისითა, ტიტველი, შერცხვენილი, ანდა კოსტიუმში გამოწყობილი, ხელში აგურებივით სქელი წიგნებით, გასწევს ჭაპანს და უკვე ვეღარასოდეს დაუახლოვებს ერთმანეთს გავლებული ბზარის კიდეებს.

ეჭვით, მარტოობითა და გაურკვევლობით დათრგუნული ადამიანი თემს, სოფელს, სხვადასხვა სოციალურ გაერთიანებას შეეფარა, რომელმაც მას თითქოს მშვიდი და მყუდრო გარემო შეუქმნა. ასეთი იყო ფეოდალური სისტემა, ამ გზით მოვიდა ადამიანი საზოგადოების კაპიტალისტურ განვითარებამდე, რომელიც ადამიანის ინდივიდუალიზაციის, განთავისუფლების ახალ ეტაპად იქცა. მაგრამ ინდივიდუალიზაციის ამგვარმა ზრდამ, ადამიანი უფრო განმარტოებულიც გახადა. სამყაროს წინაშე ის ეული, ეჭვიანი, უძლური, სასოწარკვეთილი და სკეპტიციზმით დაავადებული დარჩა. ხიფათითა და აგრესიით დამუხტული, დათრგუნვილი სამყარო ძალების სრულ დაძაბვას და პასუხისმგებლობას მოითხოვს. ადამიანობის შენარჩუნების ფასი სულ უფრო და უფრო მაღლა იწევს. ამიტომ სიცოცხლის წიგნი კომპრომისით დაძეძგილი ფურცლებით იკინძება, მაგრამ თუკი სულიერ-ზნეობრივი სრულყოფისა და შემოქმედებითი შრომის წყალობით, ინდივიდუალიზაციის პროცესთან ერთად ადამიანში პიროვნებაც მწიფდება, მაშინ პიროვნებაში ის ჭეშმარიტი თავისუფლება ინერგება, როცა ადამიანი ღმერთს ხვდება.

დასავლეთის დიადი კულტურა: დანტე, შექსპირი, გოეთე, ჰესსე, ბახი, ბეთჰოვენი, მოცარტი, შონბერგი, კანტი, კიერკეგორი, სვედენბორგი, ლეონარდო, რაფაელი, მიქელანჯელო, ელ გრეკო, რემბრანდტი, ვან გოგი, პიკასო, ბრამანტე, რაიტი, კორბუზიე, პროტესტანტული და კათოლიკური ეკლესია დასავლურ ინდივიდუალიზმს პიროვნებით ამდიდრებდა. დღევანდელი დასავლური ცივილიზაცია იმ თვითმყოფადი და ორიგინალური 600 წლიანი განვითარების შედეგია, რომელიც აღმოსავლეთში არ მომხდარა და ვეღარც მოხდება.

„კეისრის სამყაროს" პრინციპულად არ ძალუძს თავისუფლება გიბოძოს. მას მხოლოდ ერთი შეუძლია — საუკუნეთა განმავლობაში დამკვიდრებულ მონობას უცვალოს სახელი. მაშინაც კი, როცა ადამიანი თითქოსდა სოციალურად თავისუფალი ხდება, იგი თავისივე თავს, თავის ვნებებს ემონება. ამგვარად ორნამენტირებულ ადამიანს კი ყოველ ნაბიჯზე კვლავ მონობა ემუქრება. ამიტომ ადამიანი მარადჟამს თავის ღვთიურ ბუნებას უნდა უბრუნდებოდეს, რადგან თავისუფლება აუცილებლობაზე გამარჯვებაა. კაცობრიობის სავალალო ისტორია, განუწყვეტელი ომები, კერპთა მორჩილება აგერ უკვე ჩვენს დრომდე, და ბოლოს ჩვენი დროც, როცა მრავალი ადამიანისათვის იაპონური ფირმის სახელი „სონი" უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე — ღმერთი; როცა ერთდროულად რეპროდუქტორებიდან ასე ნაცნობი ფრაზა ჩაგესმის — „თქვენ სწორ გზაზე დგახართ, ამხანაგებო" — ისევ და ისევ რწმუნდები, რომ ინდივიდუალიზაციისა და პიროვნების ჩამოყალიბების პროცესები ერთმანეთს იშვიათად ემთხვევა. პირველი ჯაბნის მეორეს, პიროვნება საერთოდ არ ჩანს. პიროვნების საიდუმლოება — თავისუფლების საიდუმლოებაა. ეს ხომ ის სფეროა, სადაც ასე ნაცნობი და გავარჯიშებული „რკინის მუშტიც" კი ვერაფერს ახერხებს. „პიროვნება თავისსავე არსში ყალიბდება ობიექტური სამყაროს გარეშე. პიროვნებას ქმნის მხოლოდ ის, რაც შინაგანი თავისუფლებიდან წარმოიშვება". —(ბერდიაევი).

სამყაროში, სადაც არსებობა გვიხდება, თავისუფლების აღქმაც იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად შევიცანით ჩვენი თავი, რამდენად თვითმყოფადნი ვართ, რამდენად გამოვეყავით დეტერმინებულ, ობიექტურ სამყაროს და რამდენად გაიდგა ფესვები ჩვენს სულიერ სამყაროში თავისუფლების იმ იდეალმა, რომლის მეოხებითაც ადამიანში ღმერთი ვლინდება. მხოლოდ პიროვნებას შეიძლება ჰქონდეს დიდი ადამიანური ღირსება, რადგან მხოლოდ პიროვნებაშია იმ თავისუფლების საფუძვლები, რომლებიც მას ბუნების, საზოგადოების, ობიექტური სამყაროს მხრივ დამონებისაგან იცავენ.

კულტურა თავისუფლების აუცილებლობას გულისხმობს. საერთოდ, დასავლეთის კულტურის ზედაპირული, სქემატური სახე საკმაოდ ადვილად შეიცნობა, სიღრმეები კი პრინციპულად შეუცნობი რჩება, რადგან საუკუნეთა ნაბიჯები ზედაპირზე ხშირად არ შეიმჩნევა.

უკვე ერთი ამდაგვარი განურჩეველი მცდელობა დასავლეთის გარემოდან გარკვეული სწავლების ამოჩრისა და ჩვენში ტყვიების დახმარებით ჩაჰედვისა, ტრაგიკული შედეგით — „განვითარებული სოციალიზმით" დამთავრდა.

ახლა ჯერი დასავლეთის ინდივიდუალიზმზე და სამოქალაქო თავისუფლებაზე მიდგა, რომელსაც, როგორც ყოველგვარ სოციალურ მოვლენას, თავისი ჩრდილოვანი მხარეებიც აქვს. ამ სამყაროში თვალებახვეული შესვლა სახიფათოა. დღეს თავისუფლება ბუნებასთან მარტოდ დარჩენა კი არ არის, არამედ ესაა მკვეთრად კომერციული, უაღრესად მომთხოვნი, 24 საათის მანძილზე თავდადებით მშრომელი, ცდუნებებით დახერგილი სისტემის პირისპირ დგომა, სადაც მიამიტი პრინციპებით ხელმძღვანელობას სულიერი და ფიზიკური გაკოტრება მოჰყვება.

დასავლეთის ინდივიდუალიზმი და მოქალაქეობრივი თავისუფლება გაწონასწორებულია საზოგადოების მრავალსაუკუნოვანი შესაფერისი განვითარებით, ადამიანში ადამიანის პატივისცემით და, მიუხედავად ამისა, მაინც ვერ აიცილა თავიდან მრავალი ტრაგედია წარსულში, სადღეისოდ კი — კომერციულობა, მატერიალიზმი, რწმენის დაკარგვა და ზნეობის დაკნინება. დასავლური ტიპის თავისუფლება გარკვეულ სოციალურ შეგნებას, გონებრივ, სულიერ და ემოციურ თვისებებს მოითხოვს, რისთვისაც, აღმოსავლეთი ხშირად არ არის მზად. აღმოსავლეთში მისი პირდაპირი გადმოტანა არ ხერხდება. ანაბეჭდზე ორიგინალი თითქმის აღარ ჩანს. ყალიბდება რაღაც ირანის, ლიბანის, ერაყის, თურქეთის, უკეთეს შემთხვევაში — ინდოეთის მაგვარი რამ, ანდა თამაშდება სამხრეთამერიკული ძალმომრეობის ვოდევილი — დემოკრატიისათვის „უმწიკვლო და შთაგონებულ" ბრძოლას ისევ პირადი დიქტატურა აგვირგვინებს, რადგან მასას ხშირად მოვლენათა და საგანთა კონტურების დანახვა უფრო ეხერხება, ვიდრე არსისა.

ავიღოთ თუნდაც „დასავლეთის მოდელით" შექმნილი ჩვენი მანქანები, რომლებიც გარეგნულად, ასე თუ ისე, მართლაც მანქანებს ჰგვანან, მაგრამ კონსტრუქციულად მათში ჩარყოფილია მანქანისათვის მთავარი — უსაფრთხოების ფაქტორი. ამან ჩვენში მაინც ბირთვული აფეთქების სახე მიიღო და საქართველოს მოსახლეობის ერთი დიდი ნაწილი უშუალოდ მანქანებში იღუპება, მეორე კი — ქუჩებში მოწამვლისაგან. თავისი შხამიანი კოქტეილით, რომელსაც რატომღაც ჰაერს ვუწოდებთ, თბილისი პირველობას არავის უთმობს და ქუჩები ისეა გაჟღენთილი ბენზინით, რომ დეფიციტური ასანთის გაკვრისაც უნდა გეშინოდეს, თუკი ჯიბეში აღმოგაჩნდება. რამდენი პიროვნული ნაკლითაა განპირობებული ის, რომ კატასტროფად ქცეული საყოველთაო „საბჭოზაციის" პროცესის შეჩერება შეუძლებელი ხდება. ადვილი წარმოსადგენია სხვაც რამდენი რამ დაგვირგვინდება ჩვენს პირობებში ძალმომრეობის, პრიმიტივიზმის და ზნეობის დაცემის ესკალაციით.

ინდივიდუალიზმი დასავლეთში საუკუნეთა განმავლობაში ყალიბდებოდა და დასავლეთის ცივილიზაციამ გარკვეული იმუნიტეტი გამოიმუშავა ამ მოვლენის მეორე — მავნე მხარეთა მიმართ. დღეს, როცა ჩვენში თავისუფლებას განვითარების წრეც არ შემოუხაზავს, თავბრუდახვევა პირველსავე წრეზე შეგვეტყო. საქართველოს ფეოდალური სისტემიდან ფაქტიურად არც ღირსებია თავის დაღწევა. საზოგადოება დღესაც მრავალ ფეოდალურ-ატავისტურ ნიშნებს ატარებს. მაგალითისათვის გამოდგება ჩვენში დიდად პატივდებული ე. წ. ქუჩური „ძმაკაცობა". ამგვარი „ძმაკაცობა" ნამდვილი ბიოლოგიური სიმბიოზია: პიროვნებისეული თავისუფლების შიში, მცდელობა — საკუთარი პიროვნების ნიველირებით აირიდო შინაგანი და გარეგანი საფრთხე. „ძმაკაცები" ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა ერთ, საერთო ნაცრისფერში გაეხვიონ. სამაგიეროდ, ამგვარად გამარტივებულ სამყაროში ყოველივე ცხადი, მისაღები და გასაგები ხდება. ამიტომაა, რომ ამგვარ „ძმაკაცებში" ვერ აღმოაჩენთ პიროვნებას, საკუთარი ნაკვთები და გამომეტყველება რომ გააჩნდეს. ფეოდალურმა, ატავისტურმა, საკუთარი თავის უარყოფის ინსტინქტებმა ჩამოაყალიბეს ეს უსახური „ძმაკაცობა", რომელიც, მართალია, ათავისუფლებს მათ ინტელექტუალებისათვის ჩვეული სულიერი გაურკვევლობისა და მღელვარებისაგან, მაგრამ ვერც ხალხად აქცევს.

ჩვენს სოციალურ გარემოში ეს ძალზედ გავრცელებული ფენომენია და ბუნებრივადაც მიგვაჩნია, მაგრამ საშინელ შთაბეჭდილებას უქმნის სტუმრებს, რადგან ჰგონიათ თითქოსდა ეს ხალხი ქმნიდეს საქართველოს დღევანდელ სახეს.

გონებრივად, სულიერად, ემოციურად განძარცული საზოგადოების ამ ფენაში ჯერ არ დაწყებულა ინდივიდუალიზაციის პროცესი და იგი თემური წყობის სულიერ ნაშთს წარმოადგენს.

თუკი „ძმაკაცთა" ფენა ისტორიულად ნეიტრალურია და საფრთხეს არ უქმნის დროთა მშვიდობიან დინებას, დიდგვაროვანთა კასტა, ნომენკლატურული, „სოციალისტური წითელი ბურჟუაზია" საქართველოსათვის მუდამ უბედურების მომტანი იყო. ამ კასტისათვის არსებობს ერთადერთი მიზანი პატივმოყვარეობისა და ანგარების დაკმაყოფილებაა. ბურჟუაზიულობა ადამიანის სულის გამოხატულებაა და არა სოციალური წარმოშობისა. ბურჟუაზიულობას განაპირობებს ადამიანის ის შინაგანი თვისებები, რომლებიც ერთნაირია პირველსა თუ მე-20 საუკუნეში.

სულიერ შინაარსსა და სიღრმეს მოკლებულ პირთა ესოდენ მომძლავრება, პატივმოყვარეობის ეპიდემია, რწმენის დაკარგვამ გამოიწვია. სულიერი უკვდავებისა და მარადიულობის განცდას ცვლის გამარტივებული მიწიერი დიდება: თუკი შენი სახელი ცნობილი ხდება შენს თანამედროვეთათვის და, მით უმეტეს, თუკი შენი რწმენით, შემდეგ თაობასაც გადაეცემა, ეს უმაღლესი ხარისხის უკვდავებაა, რადგან მადლიერი შთამომავალი შენს სახელს აუცილებლად გაიმეორებს. ასეთ დროს სიცოცხლე

შინაარსსა და მნიშვნელობას იძენს. იმდენად არსებობთ, რამდენადაც თქვენი არსებობა სხვათა ცნობიერებაში აისახება. ყველაფერს განსაზღვრავს „სხვაზე მოხდენილი შთაბეჭდილება“. იგი ყოველგვარ ჭეშმარიტებაზე მაღლა დგება.

ეს ქარიყლაპია ინდივიდუალისტები, რომლებშიც უსინდისობისა და პარტბილეთის სინთეზი განხორციელდა, მოოქროვილი კიბის ყველაზე მაღალ საფეხურებს ებღაუჭებიან, ყოველი მათი ქმედება სულის და ქვეყნის ღალატია (მაგრამ ეს ჩვენი ტრადიციაა და მივეჩვიეთ მას). ეს დიდკაცები ჯერაც ვერ მიმხვდარან, რომ ამქვეყნად, თვით ის გრძნობებიც კი არ ეკუთვნით, რომლებიც თითქოს გააჩნიათ, რადგან ეს გრძნობებიც გაყალბებულია. არც ის საგნებია მათი, რომლებსაც ასეთის თავდავიწყებით აგროვებენ და მოიხმარენ კიდეც, რადგან საგნის მოხმარება ჯერ კიდევ არ აქცევს საგანს საკუთრებად. ადამიანს ჭეშმარიტად ეკუთვნის მხოლოდ ის, რასთანაც შემოქმედებითადაა დაკავშირებული, რაც აძლიერებს და აფართოებს მის პიროვნებას.

და ბოლოს, ის ნაწილი საზოგადოებისა, რომლის წყალობითაც საქართველო დღესაც არსებობს, რომელთა შესახებაც აბრამი ღმერთს ეკითხება: უკეთუ იყვნენ ერგასისნი მართალნი — წარწყმედა მათ?

ღმერთი პასუხობს — თუკი იქნება თუნდ ორმოცდაათნი მართალნი ქალაქთა შინა — ქალაქები არა წარვწყმიდო.

ეს ის ხალხია, რომელთა ინდივიდუალიზაციას თან ახლდა პიროვნების ზრდა, რწმენის, სიკეთის, კულტურის ჩამოყალიბება, ხალხი, რომელთაც შინაგან თავისუფლებასა და, ამდენად, ღმერთს მიაგნეს.

არა აქვს მნიშვნელობა, რამდენნი არიან საქართველოში „ერგასნი“, სულერთია, ისინი არიან, ეს კი ნიშნავს, რომ ღმერთი ჯერ ისევ ჩვენთანაა.

ადამიანის უფლებათა ზრდას თან უნდა ახლდეს ზნეობრივ ვალდებულებათა ზრდაც. მდაბიური, წლების მანძილზე შესისხლხორცებული ჩვევით — დასმენით ქვეყანა არ აიგება (იქნება ეს რომელიმე კულტურულ დაწესებულებაში, თუ უშიშროების კომიტეტში). როცა ნაბიჯ-ნაბიჯ ვთავისუფლდებით წარსულისაგან, არ უნდა გვეგონოს, თითქოს მომავლისაგანაც ვთავისუფლდებოდეთ. მომავალი მისხალ-მისხალ შეაფასებს ჩვენს დღევანდელ ნაბიჯებს და ასეთივე სიზუსტით მოგვისჯის იმას, რაც დავიმსახურეთ.

ამქვეყნად არ არსებობს ბედნიერების გარეგნული, სოციალური მოდელი. ბედნიერების ბრმა მაძიებელნი, რომლებიც ყველა საუკუნეს იკლებდნენ უაზრო ყრიამულით, პირველსავე შემხვედრ ბრმასაც ბელადად აქცევენ, რამეთუ მარადიულია სიტყვები: „ბრმანი არიან და წინამძღვარნი ბრმათანი, ხოლო ბრმაი-ბრმასა თუ წინა უძღვნ, ორივე მთრებელსა შთაცვივიან“.

ჩვენ ისე შევეგუეთ უკანონო წყობის ყოველგვარ სისაძაგლეს, რომ არც კი გვაქვს წარმოდგენილი ის რეაქცია, რომელსაც დემოკრატიულ საზოგადოებაში გამოიწვევდა რომელიმე პარტიის მიერ დირიჟორის, ანდა ცნობილი თეატრის დირექტორის გადაყენების მოთხოვნა. ამას დასავლეთში ვერცერთი პარტია ვერ გაბედავდა, რადგან ეს მისი სრული დისკრედიტაცია იქნებოდა. ყოველ შემთხვევაში ის მაინც უნდა ვიცოდეთ, რომ დირიჟორებს ქმნიან არა ცალკეული პირები, რაგინდ კეთილშობილი და მაღალიც არ უნდა იყოს მათი მიზნები, არამედ, ნიჭიერება, რომელსაც სულ სხვა განზომილებანი აქვს. მაგრამ, ეტყობა, ჩვენს გონებაში უკვე სამუდამოდაა ჩაბეჭდილი დოქტრინა, რომ სოციალისტურ საზოგადოებაში შეუცვლელნი არ არსებობენ.

თავისუფლება არ არსებობს მხოლოდ თავისუფლებისათვის. თუკი თავისუფლება სულიერი სრულყოფისაკენ არაა მიმართული, იგი ადრე თუ გვიან, პანიკურად ისევ მონობის რომელიმე ფორმას უბრუნდება, თვითგანდიდების, თვითკმაყოფილების, კერპთაყვანისმცემლობის, სექტანტური ფანატიზმის, „კარგი ცხოვრების“, ანდა რომელიმე ახლადმოჩენილი მითის მონობას.

ახლა, როცა კულტურა გართობად ვაქციეთ, ნათლად იკვეთება მომავალი დიქტატურის ხელწერა: პრიმიტივიზმი! ამიტომ იქნებ ღირს, ჩვენი ისტორიის 70-ლარიანი ფირფიტა იმ ადგილიდან მოვისმინოთ, სადაც პროლეტარიატის იდეოლოგი ბოგდანოვი კულტურის ირაციონალურ მტრობასა და უარყოფას, კულტურის ნგრევას, უფრო მაღალი კულტურის განთიადად ასაღებს?

დოგმატური სამყარო ფუჭე სიტყვების სამყაროა, სადაც ყოველივე ძალაუფლების განმტკიცების ინტერესს ემსახურება, ამიტომ მათ ენაზე მონობას — თავისუფლება შეიძლება ეწოდოს, სიძულვილს — სიყვარული, შურს — კეთილგანწყობილება. მტრობას — მეგობრობა, ნგრევას — შენება, უზრდელობას — ზრდილობა, მკვდარს — მარადცოცხალი.

სოციალიზმისათვის მოუმზადებელმა რუსეთმა რევოლუცია პუგაჩოვშჩინად აქცია, სიმართლე — გაუგონარ უსამართლობად, სიკეთის ძიება—აპოკალიფსური ბოროტების დღესასწაულად. ამ სისხლის მდინარეზე ჩადგმულმა წისქვილებმა მილიონები გადაფქვეს, მაგრამ ხაკარნავალო ნიღბების ცვლა ჯერაც არ დამთავრებულა. ძალადობის უარმყოფელი „პერესტროიკაც“ კი ჰუმანისტური მისწრაფებების განხორციელებას ხაფანგების დაგებით ცდილობს. თავისუფლების და დამოუკიდებლობის ხუერტიურა სამხედრო კომუნიზმის ხანოტო სისტემაზე იწერება.

პატრიოტული გრძნობა იმაზე მეტი, რამდენსაც თავად გული იტევს, მხოლოდ ნიღბად თუ გამოდგება, რადგან პატრიოტიზმი სიყვარულია. საკმარისია იგი იდეოლოგიად აქციო, რომ ღვთიური საწყისი გაქრეს და ეს დიადი გრძნობა გაუფერულდეს.

სამშობლოსადმი გულგრილობის ორი სახეობა არსებობს — როცა ის ან სულაც არ უყვართ, ანდა უყვართ მხოლოდ გონებით, და ვაი იმ ქვეყანას, რომელსაც მოედებიან ამგვარი „გონიერნი“. ასეთ დროს ქვეყანას პანიკური შიში იპყრობს, „ვინმემ ანტიპატრიოტობა არ დამწამოსო“. ყოველი მოქალაქე ცდილობს „უფრო მეტად იყოს კათოლიკე, ვიდრე რომის პაპია“, უფრო მეტად იყოს პატრიოტი, ვიდრე ეს საერთოდაა შესაძლებელი. ასეთ დროს მასობრივი ისტერია ეუფლება ქვეყანას, იქმნება ეჭვის ქიმერები გამცემლობაში ედება ბრალი ყველას, ვინც დაიძახებს: „მეფე შიშველიაო“. საჩქაროდ იკოლება ჭეშმარიტ რეალობათა კარი. ამგვარი ჰიპნოზური ისტერია, პროლოგის სახით, ძალაუფლების მაძიებელთ სჭირდებათ ხოლმე. გერმანიაში, ნაციონალ-სოციალიზმის დიქტატის დროს, უნიჭო ზღაპრებისა და რომანების მთხზველი გებელსის პროპაგანდა ისტერიულ პატრიოტულ ქიმერებს ქმნიდა, რომლებიც ჭეშმარიტ ინტელიგენტთა გონებაში საპნის ბუშტებივით სკდებოდა, მასებში კი შემზარავ მასშტაბებს იღებდა. საერთოდ, პოლიტიკოსები, სამსხვერპლოდ, უპირველეს ყოვლისა, საშუალო ადამიანს ირჩევენ, რადგან მასობრივი კონვეიერიდან ჩამოსხმულნი უფრო ადვილად ეხვევიან სიმბოლოებისა და მითების სამოსელში. ეს კი გონების დიდ დაძაბვას არ მოითხოვს.

საშუალო ადამიანის მოზღვავებამ ხელისუფლებათა სათავეებში მთელს მსოფლიოში დააკნინა კულტურის დონე და მარტივ ფასეულობათა ხმაურიანი გამარჯვება იდღესასწაულა. თვით პოლიტიკური მოღვაწენიც, უმთავრესად, ასეთივე საშუალო მონაცემების პირები ბრძანდებიან. მათ შორის ჭეშმარიტი ინტელექტუალები, თითებზე გადაითვლებიან. დიდებისაკენ გზამიმართული პოლიტიკოსები პათოლოგიური ნებით იმარჯვებენ, რადგან ვულგარული საზოგადოება მხოლოდ უხეშ რეალობას ამჩნევს და უმეტესად აფასებს კიდეც.

საშუალო ადამიანი ნაციონალურ თუ კლასობრივ, რასობრივ თუ სახელმწიფოებრივ მითებს პირადი ამბიციების განსამტკიცებლად იყენებს და გაზეთიდან და ტელევიზიიდან ნასესხები აზრების გამეორებას, აზროვნების თავისუფლებად ასაღებს.

სამოცდაათი წლის მანძილზე, მთელი ამოდენა ქვეყნის პოლიტიკას ნაციონალიზმი ედო საფუძვლად, მაგრამ ამისი გაფიქრებისაც კი ეშინოდა ყველას.

„ნაციონალიზმში ეროტიული ხიბლია ჩამარხული, რომელიც ტყუილით საზრდოობს და ტყუილის გარეშე არსებობა არ შეუძლია. თუ დავუკვირდებით, რამდენად სახაცილოა ნაციონალური სიამაყე და ყოყოჩობა, ნაციონალური ეგოცენტრიზმი, ნაციონალური შეზღუდულობა... ქსენოფობია არაფრით არაა უკეთესი, ვიდრე პირადული ეგოიზმი, კარჩაკეტილობა და მტრობა — ისიც სიცოცხლეს ფიქტიურსა და ილუზორულს ხდის. ნაციონალიზმი ადამიანთა თვითგანდიდების იდეალიზებული ფორმაა. ნაციონალიზმი ნაკლებად აფასებს სულიერ კულტურას და შემოქმედთა დევნითაა დაკავებული. ნაციონალიზმს ბოლოს და ბოლოს ტირანიასთან მივყავართ“ (ბერდიაევი). და მაშინ, რა თქმა უნდა, ნაციონალური სიამაყე ადამიანურ სიამაყეს სჯაბნის და ველარავის ნახავთ იმგვარს, „ვინც მზადაა იტანჯებოდეს თავისი სამშობლოსთვის ისე, რომ არავინ იცოდეს ამის შესახებ“ (ჯ. ქითსი).

პატრიოტიზმი და თავისუფლება გახევებული ცნებები არ არიან. ნუ გვაჯერებენ, რომ მათთვის მხოლოდ მსხვერპლის გაღებაა დასაშვები. არ შეიძლება გიყვარდეს სამშობლო თვალდახუჭულს, პირდაგმანულს და ყურდახშულს.

ახლა, როცა თითქოს ადამიანის სულიერი აღორძინების შესაძლებლობა იქმნება, ქვეყნის საყოველთაო პოლიტიზაცია მიმდინარეობს. პოლიტიკური სცენარის პირველს კადრი კი იშვიათად ჰგავს ბოლოს. პოლიტიკა ის ასპარეზია, სადაც ნათელი მიზნის მიღმა ადვილად იფურჩქნება შხამი, მტრობა, ეჭვი, სიცრუე, ცილისწამება, პატივმოყვარეობა, ადამიანის უპატივცემლობა...

პოლიტიკა უდიდეს სიფრთხილეს და წინდახედულებას მოითხოვს, რათა თავი არ ამოყოს იმ ეკლიანმა მცენარემ, რომლისაგანაც მომავალში ტრაგიკული გვირგვინის დაწვნა იქნება შესაძლებელი. მაგრამ იქნებ ქართველ ინტელიგენციას გოლგოთის გზა ისე აქვს შესისხლხორცებული, რომ აღარც კი ეშინია მისი? იქნებ იგი დღესაც ჩვეული სიდარბაისლით, შინაგანი კულტურით, ყოველივეს ნათლად ხედავს, მაგრამ უკადრისად თვლის ხმის ამოღებას?

●

პრაღაში კი საოცარი რევოლუცია მიმდინარეობდა, რევოლუცია სანთლებითა და ყვავილებით. მოედნები ორ სტიქიას დაეპყრო — სინათლესა და ყვავილებს; ჰუსაკის მთავრობა კი მათ წინ, რომლებსაც, „ტყვიაც ვერაფერს აკლებს“ (მ. ცვეტაევა), რეზინის ხელკეტებს იქნევდა გამეტებით. მაგრამ ამ ხელკეტებისაგან აღმდგარმა ქარიშხალმა თვით ჰუსაკი ბილიაკი, იაკიში გაიყოლა...

ასე დაიბადა 80-იანი წლების დამლევს მარცხის ახალი სტრატეგია: მათ, ვისაც „ტყვიაც ვერაფერს აკლებს“ — რეზინის ხელკეტები, ვისთანაც „უძლური იყო ცეცხლი“ (გ. ტაბიძე) — აღესილი ნიჩბები.

პრაღაში გული გამარჯვების წინათგრძნობით ფეთქდა. არა მარტო იმიტომ, რომ უნიჭობა ნიჭიერების წინააღმდეგ არ იყო დარაზმული; არა მარტო იმიტომ, რომ ევროპის ნიავი ასე სასიამოვნოდ აშრიალებს პრაღის ჭადრებს, არამედ იმიტომაც, რომ იქაურ ეროვნულ მოძრაობას ჩეხი ინტელიგენციის გონიერება და კულტურა ედგა სათავეში.

ჩვენში ჯერაც არ შემწყდარა 70 წლის წინ დაწყებული კლასობრივი ბრძოლა კულტურის წინააღმდეგ, რომელმაც საერთო დამარცხებამდე მიგვიყვანა. დროა დამოუკიდებლობისათვის მოძრაობის ბირთვს უფრო მეტად შეუერთდეს მოაზროვნე, მაღალი კულტურის ინტელიგენცია, რადგან მხოლოდ მაღალი კულტურის ინტელიგენტს შეუძლია ისე უყვარდეს თავისი სამშობლო, რომ ყოველ მოხერხებულ წუთს, ყოველ გაზეთში და ყოველ მოედანზე არ გაჰყვიროდეს ამაზე და ასე ნანატრი თავისუფლება მართლაც სულიერ თავისუფლებად აქციოს.

# მინიატურების ეროვნული თეატრი

საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის სატირისა და საესტრადო მუსიკის ანსამბლს—„მხიარული არლეკინი“, რომელსაც კარგად იცნობს ქართველი მაყურებელი, დღეიდან ეწოდება „საქართველოს ეროვნული მინიატურების თეატრი“.

— ანსამბლში 1978 წელს მოვედი, — გვითხრა თეატრის მთავარმა რეჟისორმა და სამხატვრო ხელმძღვანელმა თამაზ რუსიეშვილმა, — მაშინ კინოსტუდიაში ვმუშაობდი, მაგრამ, რატომღაც გულმა თეატრისაკენ გამომიწია. კოლექტივში აშკარად იგრძნობოდა, რომ მოგვიწევდა რთული გზის გავლა. როგორც ხედავთ, არ შევშინდით და ამ საპატიო წოდებამდე მოთმინებით განვვლეთ ეს ძნელი გზა.

თეატრი ძირითადად. ახალგაზრდა მსახიობებითაა დაკომპლექტებული: მარინე თეგაძე, იზა კვახაძე, მანანა კობალაძე, ალექსანდრე ჰანტურია, კახა ნოზაძე და სხვები.

თეატრის რეპერტუარში მრავალი საინტერესო სპექტაკლია. ძირითადად კი, ქართველი ავტორები გვაქვს დადგმული.

საქართველოს მინიატურების თეატრი აგვისტოდან იწყებს გასტროლებს. იგი ეწვევა დასავლეთ საქართველოს ქალაქებსა და რაიონებს, შემდეგ კი — ისრაელს.

**გულიკო მარკოზაშვილი**



უშგული. ჩაჟაშის ცისკვეთა მუზეუმი.

არსენ ჩარკვიანის ფოტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## აკაკი წერეთლის დაბადების 150 წლისთავი



„არც ერთი ლექსი არ დამიწერია ჩემ დღეში, სანამ არ ვიმღერებდი“.

აკაკი

# როცა მუზებმა ერთმანეთი იპოვეს

ორი მუზის ძალა ადრე შეიგრძნო პოეტმა და შემდგომში ერთგული მსახური გახდა ორივესი — მუსიკისა და პოეზიისა. მისი ლექსები თავისთავად ეწყობოდა მელოდიებსა და ხალხისაკენ იოლად იკვლევდა გზას.

პოეტი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ქართული ხალხური სიმღერა მისცემდა ბიძგს მომავალში პროფესიული მუსიკალური კულტურის განვითარებას, რომ შემატებდა მას სილამაზეს, ძალას, სიდიადეს;

„ქართული სიმღერა ხალხის ნაგრძნობისა და ნაფიქრალის, თავგადასავლის გამოხატვაა, ქართულ ხმებს თავისი განსაკუთრებული კილო აქვს, თავისი ეროვნული საიდუმლოება“.

აკაკი წერეთლის ლექსები ელვის სისწრაფით ვრცელდებოდა ხალხურ სასიმღერო ხელოვნებაში. დღესაც უცნობია ზოგიერთი პოპულარული მელოდიის ავტორის სახელი. ისინი თაობიდან თაობაში გადადიოდნენ და სათუთად შემოინახეს პოეტის ლექსების მუსიკალურობა, შინაგანი პლასტიურობა და რიტმული სიმდიდრე. გლეხურ თუ ქალაქურ ფოლკლორულ მასალაზე აგებული, სასიმღერო თუ სარომანსო ფორმით შეთხზული ეს მელოდიები მომხიბვლელი უშუალობითა და სითბოთი გადმოსცემდნენ აკაკის პოეტურ სამყაროს.

„სულიკომ“ ყველა საზღვარი გადალახა. ის გახდა ლამაზი ოცნების, ნატვრის, დიდი, უწმინდესი სიყვარულის სიმბოლო. გაჭირვების ჟამს მას უსიტყვოდ მღეროდნენ, განა მგოსნის ლექსით შთაგონებული ბარბარე წერეთლის გულუბრყვილო მელოდია თავისუფლებისაკენ მოწოდებად არ გაისმოდა!

ხოლო „სულიკოზე“ ბევრად უფრო ადრე, ტკბილი ჰანგი „დღეს მერცხალი შემოფრინდა“ ყოველი ქართველის ოჯახში დამკვიდრდა.

აკაკი წერეთლის შემოქმედებისა და ქართული მუსიკის ერთმანეთთან დაახლოებას პირველ ხანებში დიდად შეუწყო ხელი ქართულმა თეატრმა. აღდგენილი თეატრის დიდი მოამაგე, დრამატურგი, რეჟისორი და მსახიობი აკაკი წერეთელი, ილია ჭავჭავაძესთან ერთად ხვამდა საკითხს დრამატულ თეატრში ხალხური მუსიკის ნიმუშების შემოტანის შესახებ.

ლადო ალნიაშვილის გუნდის მონაწილეობა დრამატულ სპექტაკლებში, მეთარეთა, მედუდუკეთა, მესაზანდრეთა ანსამბლების შემოყვანა კომედიებსა და ვოდევილებში — ყოველივე ეს ხელს უწყობდა მუსიკალურ-თეატრალური ჟანრების ეროვნულ ნაირსახეობათა დაბადებას.

იმხანად აღდგენილი თეატრის გახსნის წინა წლებში თბილისში ხშირად იმართებოდა მოყვარულთა სპექტაკლები. ამ სპექტაკლების ერთ-ერთი სულისჩამდგმელი ნიკო ავალიშვილი წერს:

„აკაკი წერეთელმა ფართოდ შემოიტანა ჩვენს წარმოდგენებში მუსიკა, უმთავრესად ქალაქური ფოლკლორის ნიმუშები, რომლებსაც სიამოვნებით უსმენდა ჩვენი საზოგადოება“.

აკაკი წერეთელი ასე აგრძელებდა და ავითარებდა პირველი ქართული თეატრის, მისი დრამატურგების გიორგი ერისთავისა და ზურაბ ანტონოვის ტრადიციებს, ამ სპექტაკლების ძირითადი მაყურებელი ხომ ქალაქის მცხოვრები იყო და ეს ფოლკლორი განსაკუთრებით ახლობელი აღმოჩნდა მისთვის.

სწორედ ეს მასალა დაედო საფუძვლად ა. წერეთლის კომედიახუმრობას „კინტო“, რომელიც ნატო გაბუნიას საბენეფისოდ დაიწერა.

კომედიაში მხოლოდ ერთი ქალი მონაწილეობდა — მას რამდენიმე ეპიზოდში მამაკაცის როლის შესრულება უხდებოდა. ეს გახლდათ ნ. გაბუნიას შეუდარებელი კინტო; მხიარული, დარდიმანდი, მომხიბვლელი. დაუვიწყარი იყო სცენა, რომელშიც ის, — ლამაზი, ტანწერწეტა, ნამდვილი „ვაჟკაცი“ მგზნებარედ ეფიცებოდა სიყვარულს თავის სატრფოს და აკაკი წერეთლის მიერ სპეციალურად მისთვის დაწერილ ლექსებს მღეროდა. აკაკი წერეთლის „კინტო“ მნიშვნელოვანი აღმოჩნდა იმ დროის თეატრის რეპერტუარისათვის — სცენაზე გამოვიდა ახალი პერსონაჟი, თბილისის მკვიდრი. ნ. გაბუნიას ეკუთვნის პირველი ცდა ამ პერსონაჟის მუსიკალური დახასიათებისა. მან ოსტატურად მიბაძა კინტოს სიმღერას, ასახა მისი ინტონირების სპეციფიკური მანერა.

მოგვიანებით კინტოებმა, მათთვის დამახასიათებელი ხატოვანი მელოდიებითა და პოეტური ფოლკლორით, მუსიკალური თეატრის სცენაზე გადაინაცვლეს. კლასიკური პერსონაჟები დაიბადნენ (სიკო და საქო) ვიქტორ დოლიძის „ქეთო და კოტეში“, მათ კი თავის მხრივ ამ პერსონაჟთა მთელი გალერეა შექმნეს ქართულ ოპერეტებსა და მუსიკალურ კომედიებში.

ოპერით „დარეჯან ცბიერი“ გადაიშალა ქართული კლასიკური მუსიკის ისტორიის უმნიშვნელოვანესი ფურცელი. აკაკი წერეთლის პოემა „თამარ ცბიერის“ მიხედვით შექმნილი მელიტონ ბალანჩივაძის ოპერა ქრონოლოგიურად ამ ჟანრის პირველი ნიმუშია ჩვენში და ამასთან ერთად პირველი ქართული პატრიოტული ოპერაა.

სწორედ ეს ჰქონდა მხედველობაში დიმიტრი არაყიშვილს, როდესაც წერდა:

„მელიტონ ბალანჩივაძეს წილად ხვდა იშვიათი ბედნიერება — ჩაედო პირველი ქვა ქართული მხატვრული მუსიკის საძირკველში და შემდეგ, ორმოცდაათი წლის მანძილზე, ამაყად ედევნებინა თვალი იმისათვის, თუ როგორ იზრდებოდა და ვითარდებოდა ეს შენობა“.

„დარეჯან ცბიერი“ გასული საუკუნის დამლევს შეიქმნა. ეს ის დრო იყო, როდესაც მოწინავე ქართველი ინტელიგენცია ეროვნულ-გამათავისუფლებელ ბრძოლას ჩაუდგა სათავეში. მ. ბალანჩივაძე ახლოს იდგა ამ ინტელიგენციასთან. აკაკის პოემის პატრიოტულმა სულისკვეთებამ შთააგონა მას დიდი საოპერო ტილოს შექმნა. XVII საუკუნეში მომხდარმა ამბავმა თანამედროვე ჟღერადობა შეიძინა. აქ მთელი სისრულითა და ძალით გამოვლინდა მ. ბალანჩივაძის მელოდიური ნიჭი, რამაც პერსონაჟთა მუსიკალური პორტრეტების გამოკვეთაში ნათლად იჩინა თავი. პირველ რიგში ეს გოჩას პორტრეტი იყო — სიმართლისა და სიკეთისათვის თავდადებული მებრძოლის, პატრიოტის სახე. დიდი კეთილშობილებით გამსჭვალული გოჩას ცნობილი არია „ღმერთო, ძლიერო“ და ამ არიის კულმინაციური ეპიზოდი „იხსენი ერი და მომავალი“ გაისმა როგორც მოწოდება თავისუფლებისაკენ, ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ. პოემისა და ოპერის ძირითადი იდეა განაზოგადა ამ არიამ. ის ხალხში გავრცელდა და სულ მალე ქართული საოპერო არიის ერთ-ერთ კლასიკურ ნიმუშად იქცა.

აკაკის წყალობით ქართულ მუსიკაში შემოვიდა ახალი სახე — მასხარა, ყოფითი პერსონაჟი. ალბათ, არსად არ გამოვლენილა ასე მკვეთრად ხალხური საწყისი, როგორც მასხარას მუსიკალურ პორტრეტში. მრისხანედ ჟღერდა მისი თითქოს და გულუბრყვილო კუპლეტები, საოპერო სცენაზე. სიმღერამ „მიმინოსა მწყერი უყვარს“ ახალი ელფერი, მკვეთრი ეროვნული კოლორიტი შემატა პარტიტურას. აკაკი წერეთლის პოემის სახემ სოციალური სიმახვილე და მამხილებელი ძალა შეიძინა.

აკაკი პირველი ქართველი მწერალი იყო, ვინც ბიძგი მისცა ქართული კლასიკური მუსიკის ორი წამყვანი ჟანრის — ოპერისა და რომანსის ჩასახვასა და განვითარებას. და თუ „დარეჯან ცბიერში“ პატრიოტული იდეა დიდ ტილოში განზოგადდა, ია კარგარეთელის, დიმიტრი არაყიშვილის, მელიტონ ბალანჩივაძის რომანსებში ლირიკისა და პატრიოტული მოტივების შერწყმამ რომანსის ტრადიციულ ფორმას ახლებური ჟღერადობა მიანიჭა. გავიხსენოთ ამ ვოკალური მინიატურების ლირიკულ-რომანტიკული ნიმუში „ალმართ-აღმართ“. საზოგადოდ, აკაკის პოეზიის ნათელი ლირიკა კვლავ მელიტონ ბალანჩივაძისთვის აღმოჩნდა განსაკუთრებულად ახლობელი. ამ ლირიკამ შთაბერა სული „დარეჯან ცბიერში“ ცირას სახეს, რომლის ხამი ნანა ქართული ვოკალის მელოდიური სიუხვის განსახიერებაა.

ჰეროიკულ-პატრიოტულმა თემამ გაიტაცა ნიკო სულხანიშვილი, როდესაც მან ოპერა „პატარა კახის“ შექმნა განიზრახა. ეს ოპერა არ დასრულდა, მაგრამ ფრაგმენტები, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწია, და განსაკუთრებით ლევან ქვაბულაძის არია („დაიგვიანეს“) გვერდით ამოუდგება ქართული კლასიკური ოპერების საუკეთესო ნიმუშებს.

ინტერესი აკაკის მემკვიდრეობისადმი ერთნაირად ძლიერი იყო წარსულშიც და დღესაც. მისი ყოველი ლექსი, ყოველი პოემა ხომ ბუნებრივად მოითხოვდა მუსიკაში გადატანას. 30-40-იან წლებში შექმნილ ვ. გოკიელის ოპერა „პატარა კახს“ მოჰყვა რ. გაბიჩვაძის სიმფონიური პოემა „გამზრდელი“, ა. კერესელიძის ოპერა „ბაში-აჩუკი“, რომანსები, სოლო და საგუნდო სიმღერები. ჟანრობრივმა მრავალფეროვნებამ გამოიწვია ახალი გამომსახველი ხერხების და საშუალებების ძიება.

გადავავლოთ თვალი თანამედროვე საოპერო ჟანრს და დავრწმუნდებით, თუ რა მოვლა-პატრონობა ესაჭიროება მის საუკეთესო ნიმუშებს, მათ შორის „ბაში-აჩუკ“. როცა მოვლა-პატრონობაზე ვლაპარაკობთ, უწინარეს ყოვლისა, ეს ეხება ამ ნაწარმოებთა სცენურ ჯანსახიერებას.

არჩილ კერესელიძის „ბაში-აჩუკი“ აგრძელებს ქართული პატრიოტული ოპერების საუკეთესო ტრადიციებს.

ამ ნაწარმოებმა ქართული მუსიკალური ხელოვნების კიდევ ერთი ნაირსახეობის დაბადებას მისცა ბიძგი — ეს გახლდათ კინომუსიკა. ლაღად გაიჟღერა ეკრანზე იმედითა და სიცოცხლით სავსე მელოდიამ: „რა მადლიანად ანათებს, შენი მზე, შენი მთვარეო“... ელვის სისწრაფით ჩამოვიდა ბაში-აჩუკის სიმღერა ეკრანიდან და ხალხის კუთვნილებად იქცა. ს. ცინცაძის მუსიკას იმდენად დიდი იდეურ-აზრობრივი ფუნქცია დაეკისრა, რომ მან განაპირობა ფილმის ჟანრობრივი თვისებები.

დიდი მგოსნის პოეზია მრავალი წლის მანძილზე ოთარ თაქთაქიშვილის შემოქმედებითი ოცნება იყო. მაგრამ კომპოზიტორი ვერ ბედავდა ამ ოცნების განხორციელებას, თუმცა არაერთი თვალსაჩინო ნაწარმოები შექმნა, ვოკალურიცა და ინსტრუმენტულიც.

სუიტა „აკაკის ჩანგით“ ო. თაქთაქიშვილის ერთ-ერთი ბოლო თხზულებათაგანია. აქ წარმოჩნდა კომპოზიტორის ყველაზე დამახასიათებელი სტილისტური თვისებები: ნატიფი ლირიკა და ამაღლებული რომანტიკულობა.

აკაკის შემოქმედებამ ბევრ ქართველ კომპოზიტორს შთააგონა უფაქიზესი მხატვრული სახეები.

მირა ფიჩხაძე

აკაკი 150

### თქვენი ჭირიმე

ამ დღეს ველოდი, მოვესწარ! . .
ვიცინი, აღარ ვტირი მე.
ახალგაზრდებო, აწ კი თქვენ
გამოდით, თქვენი ჭირიმე! . .

ბევრი რამ მითქვამს. . . რომ მეთქვა,
დავიმახინჯე პირი მე! . .
ახლა არ გვგლეჯენ ენასა, –
სთქვით რამე, თქვენი ჭირიმე!

"ასჯერ გაზომეთ და ერთხელ
გამოსჭერთ", ახლაც ვყვირი მე.
ნუ აჩქარდებით! ნურც შიშობთ,
განმტკიცდით, თქვენი ჭირიმე!

ბევრი ვეცადე, ძირმწარეს
ვერ გავუთხარე ძირი მე.
ახლა კი თქვენი ჯერია,
დაჰბარეთ, თქვენი ჭირიმე!

კუბოს კარამდე მისული
რაღა ვარ, განაწირი მე?
მაგრამ თან თქვენი იმედი
მიმყვება, თქვენი ჭირიმე!

ნუ გამიმტყუნებთ იმედსა,
ხომ ხედავთ, აღარ ვტირი მე!
დრო მოდის – ერთად ვიცინოთ!
ვიცინოთ, თქვენი ჭირიმე!

ირა მსო

# სიცოცხლე დიდი

## დოდო რეხვიაშვილი

მეოცე საუკუნე არაა ჰარმონიის საუკუნე. ამღვრეულია საზოგადოება. დარღვეულია წონასწორობა ბუნებასა და ადამიანს შორის, დაავადებულია ბიოსფერო, გაორებული და დაშლილია ადამიანი. ამიტომ ძველი გზით მავალი ხელოვნება ყალბია. ის, ტრადიციული რიტმით, ფერით, ფორმით შეიარაღებული, აბსოლუტურად სხვა სამყაროს გამოხატავს და არა სინამდვილეს. სინამდვილე — ესაა სასოწარკვეთა და ტკივილი, მუდმივი შიში ყველაფრისადმი, იქნება ეს ატომური ბომბი, აგრესიული სახელმწიფო, სტიქია თუ მეორე ადამიანი.

ადამიანი მარტოა, ის „უცხოა“.

ასე დაიწყო 20-იან წლებიდან ლაშქრობა საერთოდ ტრადიციული ხელოვნების წინააღმდეგ. ხოლო თანდათან ეს „ლაშქრობა“ მწერლობაში გადაიზარდა ბრძოლად

ვის. ერთ-ერთი ასეთი პოეტია ანა კალანდაძე. მისი ლექსები პოეზიის მოყვარულთათვის განმარტებებს არ თხოულობს. მაგრამ რადგან პოეტი და მისი პოეზია ეროვნული თვითცნობიერების ერთი სარკეა, აუცილებელი ხდება მისი ანალიზი.

გალმა-ბებერი შატილი
გოროზად აიზიდება,
აქეთ — მიწურის კედელზე,
სხვა სასწაული ითქვება, —
ცარცით წერია უბრალოდ:
პოეზიასო დიდება!

რამდენად არაბუნებრივი და არარეალურია ასეთი სინამდვილე თანამედროვე ნიჰილისტებისათვის, ყოველი შეაწეული, აღმატებითი მათთვის გაუგებარი დარჩება მუდამ. ვინ უნდა ყოფილიყო დღევანდელ უტილიტარულ და უემოციო სამყაროში ისეთი, ვინც მივიდოდა და მიწურის კედელს წააწერდა:

სყიდველი. ქრისტე, როგორც ღვთისა და ადამიანის შვილი, იყო სიხარული, შეერთება ცისა და მიწისა: „უხილავისა გაიღო კარი. მუნით დიდებულს ვხედავდი სახეს, ვგრძნობდი სულ ახლოს- მე ფრთათა შრიალს-- თვით სიხარული იდგა ჩემს ახლოს!“

„მომიცავს იგი, შემიპყრობს ისევ წარუვალი და მარად ქართული... მაღალ-მაღალნი განახვენ ბჭენი შენთა პალატთა, ო. სიხარულო!“

ან:

„დამეიწყდა ენა სიხარულისა და მისი თვალთა ბრწყინვა, ხმა, მოსასხამი ცეცხლისმიერი...“

ან კიდევ:

თავს დამეღვარა მე სიხარული
და დამანახა მთიების ბრწყინვა...
ცისა და მიწის მშვენიერებას

რებული ანას ბუნებაში „გრიგალებია“ დაბუდებული, და ეს ცეცხლი შერწყმული უნაზეს სიგალობლებთან განუმეორებელ სიბლს სძენს ანას პოეზიას.

ანა კალანდაძის ლირიკული გმირისთვის დამახასიათებელია მარადიული ლტოლვა სიახლისაკენ, მიღწეულით ვერდაკმაყოფილება, მუდმივი ცნობისწადილი და სურვილი ბუნებასთან უფრო ახლოს მისვლისა:

„ვიჯექ გოლიათ ხეების ჩრდილში,
არაგვი თავის გრძნებას მახვევდა.
არანისისკენ გამექცა- თვალი:
ერთი.. იმ კლდიდან გადმომახედა!

არა მხოლოდ ადამიანი მიდის ბუნებასთან, ბუნებაც, ეს ცოცხალი სინამდვილე, თავის მხრივ აქტიურობს — „ხელსაც კი ახებს“ ადამიანს, აგრძნობინებს თავის თავს, „ურთიერთობას ამყარებს“ მასთან.

პოეტს არც ადამიანთა შორის გაწყვეტილი კავშირი გამორჩენია

ცვება. მას ზრახი · ·ედება-ყველა ცოდვაში. ხოლო კაენი ზეობს:

ზეობს კაენი —
ცოდვა — უცოდველთ,
ბრალი — უბრალოთ —
რწმენათ სამსხვერპლოდ!

ღირსეულთ ბრალს სდებენ, რათა ბზარი შეიტანონ მათ პიროვნულ მთლიანობაში, რათა დაანგრიონ სიმკვიდრე პიროვნებისა რწმენის შერყევით და ამით დაიბეჩაონ იგი:

ტაძარი შენი სასოებისა
შეგიგინეს და...
წარყვნეს სამსხვერპლო!
კუნელს უკმევენ ავაზაკები,
განგიწონიან გულშიგან ოროლთ:
არ კი უწყიან, შენი გვირგვინი
შენსავე ღეროს დაერქმის
მხოლოდ!

ამგვარად, გვირგვინი შეიძლება წარსტაცო ვარდს, მაგრამ ვარდის გვირგვინი მხოლოდ ვარდის ღეროს თუ დაერქმის თავს, სხვა მას ვერ გამოიყენებს. ღირებულება ხელშეუხებლობის სიგელით სარგებლობს; ერთ კონკრეტულ ადამიანს თუ ადამიანთა ჯგუფებს შეიძლება შეუგინო ყველა-

## გარდამოხდება

„სიტყვაკაზმულობის“ წინააღმდეგ. თითქოსდა სოციალური რეალობის სიმწვავე, გაშიშვლებული სინამდვილე ვერ ეგუებიან „მშვენიერებას“, ასევე მშვენიერების გამომსახველ „ლამაზ სიტყვებს“. უფრო მეტიც, ეგრეთწოდებული „ლამაზი სიტყვები“ „ხელოვნურ სიტყვებად“ გამოცხადდა, ასეთი სიტყვებით აღწერილი სამყარო კი „ხელოვნურ“ სამყაროდ.

და უნდა ითქვას, გარკვეულწილად ამ თვალსაზრისის ხალხი მართალიცაა. არსებობენ ისეთი პოეტები, არის ისეთი პოეზია, სადაც ეს სიტყვები ადგილს ვერ იპოვის, ისინი („ლამაზი სიტყვები“) სრულ დისონანსსა და არეულობას შეიტანს. ასეთი პოეზია სიტყვაკაზმულობას გამოეთხოვა. იგი დემოკრატიულია თავისი ბუნებით. ძირითადი ლირიკული გმირი საშუალო ადამიანია, ძირითადი თემაა სოციალური გარემო, ურთიერთობების და ღირებულების გაუფასურება, კომუნიკაბელობის პრობლემა, ყოფითი დეტალებით დაინტერესება. მოკლედ მისი არე სოციალურია.

მაგრამ ამ პოეტებისა და მათი მიმდევრების აზრი მაინც არაა ერთადერთი ჭეშმარიტება, რადგან ის სინამდვილე. რომელიც მათ ლექსებშია, ნაწილობრივი სინამდვილეა, ანუ რეალობის უკანა მხარე, ეს მათი სამყაროა. არსებობს კი იმდენი სამყარო, რამდენიც ადამიანია? სამყარო აღმქმელის რიცხვზე მრავლდება და მისი ნამდვილი რიცხვიც ეს არის. იქნებ, ვინმემ სუბიექტურ იდეალიზმშიც დამდოს ბრალი, მაგრამ არ იქნება მართალი, რადგან მართალია ის, რომ ყველა ადამიანი სამყაროს მისეულ სურათს ერთი და იმავე სამყაროდან ქმნის, მაგრამ აღქმის კუთხეა სხვადასხვა. ერთსა და იმავე სამყაროს ჩვენ სავსებით სხვადასხვაგვარად ვხედავთ და სინამდვილის საერთო, მთლიანი სურათი კი იქმნება იმ ხედვებით, რომლებიც მარადიულს აქცევენ თავიანთ მზერაში და სინამდვილის ამ თითქოსდა ახალი სურათის შექმნას ემსახურება საბოლოოდ ყველა შემოქმედი.

ჭეშმარიტი შემოქმედნი ყოველთვის გამოირჩეოდნენ თანამედროვეთაგან განსხვავებული ხედვით და, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთს მათი შემოქმედება არ ესმოდა, თავის ერთადერთ, ახალ სამყაროს ქმნიდნენ მომავლისათ-

„დიდება პოეზიას!“. ანა კალანდაძისა და მისი მოყვარული მკითხველისათვის კი სწორედ ეს სამყაროა არსებულზე არსებული. ამით იმის თქმა კი არ მინდა, რომ ანასთვის ეს ჩვეულებრივი ამბავია, თითქოს მისი სამყარო ასეთი მაყორულია და სულ სასიამოვნო მოულოდნელობებისაგან შედგება, არა, რა თქმა უნდა — სწორედ იმიტომ უტოლდება იგი თავისი სასწაულობით გოროზად აზიდულ შატილს, რომ იგი არაჩვეულებრივი, განსაკუთრებული ამბავია, მაგრამ არსებული!

ანა კალანდაძისთვის არსებობს „არაჩვეულებრივიც“! სწორედ ეს განასხვავებს „ახალი პოეტებისაგან“ ანას პოეზიას. ასე შეიძლება შევიყვანოთ ჩვენს თვალთახედვაში მისი ლირიკული გმირი, რომლისთვისაც სულაც არ არის უცხო წუთისოფლის წარმავლობაზე, ცხოვრების ამაოებაზე ფიქრი. უფრო მეტიც, თუ გალაკტიონი აცხადებს, „მარადია ერთადერთი, შვენებაო“, ანასთვის მშვენიერებაც წარმავალია. გალაკტიონი მშვენიერების კერძო შემთხვევებს კი არ გულისხმობს, არამედ მშვენიერებას ზოგადად, მშვენიერების არსს, რომელიც მარადიულია. ანა კალანდაძე კი ამ მშვენიერებას მხოლოდ ერთეულ საგნებში განხორციელებულად თვლის:

უსახოდ ქმნილხარ, მშვენიერებავ,
დიდება შენი ქართაგან შლილა...,
აყვავდებოდა ადრე გაზაფხულს
ქვეყანას ზედა და ცათა შინა...
იყო მაღალი შენი ციმციმი,
იყო ნათელი წიალთა შენთა...
უსახო ქმნილხარ, მშვენიერებავ,
ცათა შინა და ქვეყანას ზედა.

მშვენიერი ხდება საგანი, როდესაც მასში ნათელი დაივანებს. დასტოვებს ნათელი ნაგანს და მშვენიერებაც ქრება. ეს განსხვავება გალაკტიონის მსოფლმხედველობისაგან არსებითია. გალაკტიონისათვის მშვენიერებაა სუბსტანცია. ანა კალანდაძისთვის ღმერთი, ანუ სიხარული. 1965 წლიდან გამოქვეყნებული მისი ბევრი ლექსი ღვთისადმია მიმართული, მაგრამ ქრისტეს სახე გააზრებულია პირვანდელი ქრისტიანული აზრით, როგორც სიხარული, რადგან ქრისტიანობა სწორედ იმ სიხარულით დაიწყო, რომ ქრისტე მოვიდა, როგორც ადამიანთა ცოდვების გამომ-

ამოუცნობი უძლვოდა წინა...
ერქვა გვირგვინი მას სხივოსანი —
ხელშეუხები, წმიდათაწმიდა...
იდუმალი ხმით მაუწყა ისევ:
— კვლავ გავხსნი ციერს, თუ
შენ ეს გინდა!
თავს დამეღვარა მე სიხარული...

უამრავი ლექსი შეიძლება გავიხსენოთ, სადაც ღმერთი სიხარულს უტოლდება. ყველა ლექსიდან ჩანს, რომ ქრისტიანობა მას არა აქვს გააზრებული, როგორც გლოვა და ასკეზი. ქრისტე სიხარული და სიყვარულია. ცის გახსნა შიშს კი არ იწვევს მასში, არამედ სინათლესთან ზიარებას. „აღმოუცნობთან“ მისვლა ძრწოლას კი არ გვრის, არამედ სიხარულს.

მარადიული თემა, ტანჯვასთან შერიგება უცხოა ანას ლირიკული გმირისათვის, მას არ შეუძლია დანებდეს განაჩენს, ჯვარს ეცვას:

მთავაზობთ... ჯვარცმას, —
დამშვიდდეს სული,
მიემთხვეს იგი მწუხართა
ცრემლთა...
აღმოშლის გული მძლავრთა
გრიგალთა,
ავშლი ლემონთა — წიაღთა
ჩემთა:
მე მინდა ცეცხლი ზეცითგარდამო
ზრახვათა ჩემთა მირქმად და
შერთვად!
თქვენ კი.. ო, თქვენ კი ჯვარცმას
მთავაზობთ,
მივემთხვე მარად მწუხართა
ცრემლთა!

გასაოცარი, მძაფრი ვნებების ამოფრქვევაა! მოულოდნელი ქართველი ქალის ბუნების ზერელედ მცნობისათვის, იმისთვის, ვისთვისაც უცნობია ნესტანის: „წა, შეები ხატაელთა, თავი კარგად გამაჩვენე...“ ქართველი ქალის ბუნება უდიდეს სათნოებასაც იტევს და უდიდეს ვნებებსაც. გარედან ასეთი მშვიდი, მუდამ გაწონასწო-

მხედველობიდან. მისი მრავალი ლექსის თემაა ადამიანსა და მეორე ადამიანს, ადამიანს და საზოგადოებას შორის დამოკიდებულება, მაგრამ ორიოდე ლექსი მინდა მოვიყვანო ისეთი ლირიკის ნიმუშად, სადაც პოეტი გვევლინება ულრმეს ფსიქოლოგად, ადამიანის ცნობიერების უფაქიზესი კუნჭულების მკვლევარად და მცოდნედ.

ერთ-ერთი მძაფრი სოციალური შინაარსის ლექსია „ვარდო, განძარცვას როგორლა ჩივი?“ —

სამყაროში ხშირად მეფობს დრო-ჟამი, როცა ყველაფერი კეთილშობილი თავისივე ღირსების გამო იჩაგრება, ითრგუნება, იძარ-

ფერი, მაგრამ სიკეთე ბოროტებას ვერ დაემონება.

ანა კალანდაძე ის იშვიათი პოეტია, რომელიც ახერხებს ჰარმონიის მიღწევას და შენარჩუნებას. თუ დღევანდელი ცხოვრება ისევ იძლევა სავსე ცხოვრების საშუალებას, ეს იმ ერთეული შემოქმედთა ღვაწლია, რომლებსაც მხრებით უჭირავთ ზეცა და ღვთაებრივი სალებავებით აფერადებენ ინდუსტრიული სამყაროს მიერ გაზინთულ დედამიწას და უშვებენ იმ შესაძლებლობას, რომ მას ოდესღაც მაინც მოევლინება „სიცოცხლე დიდი“. ასეთი პოეტები ადამიანებს მარადიულისაკენ მიახედებენ.



თბილისის ერთ-ერთი კუთხე. სერგო თევზაძის ფოტო.

## მეტი ყურადღება გვმართებს

„სანთელ-საკმეველი თავის გზას დაჰკარგავს ოდესმე განა?!“, ამ სიტყვებით მთავრდება ის პატარა ექსპრომტი, რომელიც ნანული (ნანა) გვენეტაძემ ლექსების იმ კრებულს წააწერა, მე რომ მაჩუქა. კრებულის სათაურია: „ვაჩუქოთ ერთმანეთს ტიტები“. 36 პოეტის 40 ლექსია მასში დაბეჭდილი. ეს წიგნი ქალთა კოლონიაში მაჩუქეს; — ერთ-ერთმა პატიმარმა, ნ. ხმალაძემ თავისი მოგვარის, მ. ხმალაძის ლექსი ხმამაღლა წაიკითხა და, სახტად დავრჩი.... გასული წლის ქარიშხლიანი გაზაფხულის „ლიტერატურულ საქართველოში“ დაბეჭდილი ჩემი ლექსი „9 აპრილის ნატირალი“, შემდგენელ ლ. გოჩელაშვილს მარინე ხმალაძისათვის „უჩუქებია“. მარინე ხმალაძე, რა თქმა უნდა, აქ არაფერ შუაშია, ის თავადვე იგრძნობს უხერხულობას ამის გამო, მაგრამ ჩნდება კითხვა, განა შეიძლება ასე?! როგორც ჩანს, ლ. გოჩელაშვილმა გადაავლო თვალი აპრილის ტრაგედიისადმი მიძღვნილ ლექსებს და რომლებიც მოეწონა, ერთი ხელის მოსმით წიგნად შეკრა. ჩემი ლექსი ჩემადვე დარჩება, მაგრამ ასე უგულისყუროდ საქმეს არ შეიძლება მოვეკიდოთ.

ქალბატონ ნანა გვენეტაძეს ულრმესი მადლობა უნდა ვუთხრა იმის გამო, რომ მან ქეთოსავით ულვთოდ „გაშვილებული“ თუ გაჩუქებული „ღვიძლი“ ლექსი მაპოვნინა.

**ნანა დავითაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

იშვიათია, „ნაშ სოვრემენნიკის“, „მოსკვას“, „ლიტერატურნაია როსსიას“, „მოლოდაია გვარდიას“ და მწერალთა პროფესიული გაზეთის „მოსკოვსკი ლიტერატორის“ ნომერი, ჩვენს გამოცემას ან ჩვენს ავტორებს რომ არ აკრიტიკებდეს.

იშვიათად, მაგრამ მაინც. ფოსტას მოაქვს ამ გამოცემების ხელისმომწერთა გამოხმაურებები — ბოლმით, სიძულვილით აღსავსე ბარათები, რომლებიც გაზეთს ბრალდებად უყენებენ სიონიზმსა და აქედან გამომდინარე ყველა მომაკვდინებელ ცოდვას. მათ მხოლოდ სამსახურებრივი ვალდებულების გამო ვპასუხობთ. ჩვენდა საბედნიეროდ, ძალზე ბევრი „პატრიოტი“ მისამართს არ გვაუწყებს. წერილთა წყებაში არის შეგონების ცდები: „ამხ. ავერინო, თქვენ დაგავიწყდათ, რომ დიდ ხალხს ეკუთვნით?“

სწორედ იმიტომ, რომ მთელ რედაქციას გვახსოვს და ვაფასებთ ამ სისხლხორცეულ კავშირს ჩვენს ხალხთან და ჩვენს ქვეყანასთან. და სწორედ იმიტომ, რომ ყოველთვის გვაშფოთებს (და ეს შეშფოთება ყოველდღე იზრდება) „ბედი მახში მსუფევი ყველა ენისა“, გვინდოდა თქვენთვის მოგვეცა ხაზუალება გაგეცნოთ ჩვენი პოზიცია იხეთ დიდ საკითხთან მიმართებაში, როგორიც ნაციონალური საკითხია, მაგრამ ამ პოზიციას გაგაცნობთ არა რედაქციის კომენტარით, არა პოლიტოლოგთა და სოციოლოგთა სტატიებით, არამედ, პუბლიკაციით, მკითხველის იმ სტატიისა. რომლის ავტორსაც რედაქცია სულითა და გულით ულოცავს გამარჯვების 45 წლისთავს და უსურვებს უველა სიკეთეს.

# ემიგრანტები კი არა, გადახვეწილნი...

მოძალებული უსიხარულო ფიქრები ქაღალდზე გადატანას ითხოვენ. ვიცი, რომ მოკლედ **ამას** ვერ ვიტყვი, ამიტომ ამთავითვე მინდა პატიება გთხოვოთ იმის გამო. რომ ამდენ დროს გაკარგვინებთ.

წიგნის მაღაზიას გვერდს არასოდეს ვუვლი. აი, ამჯერადაც თვალში მომხვდა ერთი ყდა. გადავფურცლე და აღმოვაჩინე ჩემი მეუღლის დეიდის გვარი — ფალცფეინი — და სახელწოდება ასკანია ნოვას ნაკრძალისა, რომლის რეკონსტრუქციაზეც ვმუშაობდი. წავიკითხე და გუნება წამიხდა. გუნება აი ასეთმა **პლურალიზმამ** წამიხდინა: მომინდა ჩემი წყენა ვინმესთვის გამეზიარებინა.

მაგრამ დრო გადიოდა და სულ ვფიქრობდი: ღირს კი? ვაითუ, ** უკვე** სისხლისღვრის ფონზე ჩემი ჰმუნვა-წუწუნი სულ უმნიშვნელო რამედ გამოჩნდეს.

მაგრამ წიგნებზე საუბარი გადავდოთ...

სასაუზმის კარზე აფიშა იუწყებოდა (უფრო სწორად, ყვიროდა); „დაჰერი და გაიქეცი!“ უფრო ახლოს მივედი და წავიკითხე: „კინოკომედია“. მინდოდა გამეღიმა, მაგრამ არ გამომივიდა. შოკი უფრო ძლიერი იყო და მან საკუთარ თავზე გაცინების ჩემი სურვილი დათრგუნა. და, აი, რატომ. უკანასკნელი თვეების მანძილზე, თუ დარხეულ ხმებს დავუჯერებთ, არაერთხელ გადაიტანეს ებრაელთა დარბევის თარიღი. ჯერ იყო დანიშნული 23 თებერვალს, მერე 4 აპრილს, 5 მაისისათვის კი რაღაც გრანდიოზული მზადდებაო.

ერთ-ერთ შაბათს, არჩევნების წინადღით ვიღაცამ, ვინც თავის თავს დეპუტატი უწოდა, მიკრორაიონის მცხოვრებნი შეჰყარა და ქვეყნის გასაგონად განაცხადა: „ურიებსა და ურიების სისხლიან კომუნისტებს დავხვრეტთო“. დღეს მე უკვე ვიცი, რომ ის ამას აცხადებს სხვა დღეებშიც და სხვა მიკრორაიონებშიც. რამდენიმე დღის შემდეგ უბნის რწმუნებულს შევხვდი და ეს ვაუწყე. ვაიმე! ამ ინფორმაციას მისი არავითარი რეაქცია არ მოჰყვა. სამაგიეროდ, მკითხა: ხორცი სად იყიდება, ხომ არ იციო?

რასაკვირველია, არ გინდა შიშისგან სასო წარიკვეთო. კაცი უშვებ, რომ ყველაფერი ეს პროვოკაციაა. თავსაც იმშვიდებ და, ახლობლებსაც ამშვიდებ. და მაინც... პირველი რეაქცია ასეთია: დაუყოვნებლივ მივმართო... სად? ვის? გორბაჩოვს? უზენაეს საბჭოს? ცოტათი რომ დაცხრები, შენთვის ნათელი ხდება, რომ ქალაქში არ არის ორგანო, ვინც აგიტატორ-პროვოკატორს დაიჭერდა. და რომ ეს მხოლოდ ერთი მხარეა ქვეყანაში არსებული ლეგალური ფაშიზმისა.

სხვა რამაა საგანგაშო: უზენაესმა საბჭომ დრო ვერ გამონახა ებრაელი ეროვნების გადახვეწილთა სულ უფრო და უფრო მზარდი რიცხვის პრობლემის განსახილველად (ამ **გადახვეწილთ** თავაზიანობისათვის „ემიგრანტებს“ უწოდებენ, თუმცა, სიცრუე არასოდეს ყოფილა თავაზიანობა). განიხილება პრობლემა: დავუთმოთ შტატებს, გავხსნათ საზღვრები, ნუ დავაბრკოლებთ.

და, უნებლიეთ იბადება აზრი: ხომ არ მოქმედებს „მითითება ზემოდან“, რომ **რუსეთი** ებრაელებისაგან დაცალონ ასეთი უცოდველი ხერხით: დაე, წავიდნენ, ჩვენ მათ არ ვერჩებით. რასაკვირველია, ეს გაცილებით რადიკალური რამაა, ვიდრე რეზერვაციების შენს ჰკუაზე მოვლა-მართვა, როგორც ეს უკვე ითქვა რსფსრ მწერალთა კავშირის ტრიბუნიდან.

ჩემი პრიმიტიული ტვინით ვფიქრობ ქვეყანაში ეროვნულ განხეთქილებებზე, იმაზე, რომ ხელისუფალთ არ ძალუძთ სისხლისღვრის აღკვეთა და მივედი იმ დასკვნამდე, რომ ტერორისა და მოსპობისგან ხსნა სამშობლოს საზღვრებს გარეთაა საძიებელი. და არჩევანის სისწორეში დასარწმუნებლად მინდა უკან, იმ დროში მივიხედო, როცა პირველად შევხვდი **ამას** და ნათელვყო, თუ მაინც ასე დაგვიანებით რატომ მივდივარ ასეთ დასკვნამდე.

●

**შვიდი წლისა** ვიყავი, როცა დედამ ჩვენ, მის ვაჟიშვილებს, გვიამბო, თუ რა გადაიტანა მან მელიტოპოლში ებრაელთა დარბევის დროს. მაშინ მან ქმარი და ქალიშვილი დაკარგა. სახლი დაუწვეს. მას შემდეგ ეს ამბავი არასოდეს გამხსენებია. ეს მეფის დროს მოხდა და ამას ჩემთან არავითარი დამოკიდებულება არ ჰქონდა. უბრალოდ, არ დავფიქრებულვარ „განტევების ვაცთა“ პრობლემაზე. ღარიბული, მაგრამ ნათელი ბავშვობა მქონდა. პიონერული ბავშვობა კოცონებით, ყელსახვევით, დოლით, ესპანელი ბავშვების გამო ტკივილით. მე ვალმერთებდი ლამაზ უკრაინელ ბიჭუნას მაშინაც კი, როცა 37-ში მისი მშობლები დააპატიმრეს. ამ ჩემს ხანმოკლე და ბედნიერ ბავშვობაში შევხვდი ჩკალოვსა და ბაიდუკოვს. და არა კინოკადრებში, არამედ პირადად. ომისშემდგომ ჩემს ლექსებში ასეთი სტრიქონებიც იყო:

**А было до войны**
**Старший и два близнеца.**
**три брата:**
**У родины — три солдата,**
**Три сына — у матери**
**и отца.**

ბიჭური სიამაყე! ომამდე ცოტა ხნით ადრე სამივე ძმამ ჩავიცვით სამხედრო სპეცსკოლის კურსანტების ფორმა. დედამ ომში მამაჩვენი, სამი შვილი და თავისი ძმა დაკარგა. სიკვდილის მაუწყებელმა პირველმა ბარათმა უფროსი ძმის დაღუპვის ამბავი მოიტანა — მაშინ ის 19 წლისა იყო. მეორე ბარათმა დედაჩემს ძმის სიკვდილი აუწყა. მე და ჩემი ტყუპისცალი ძმა ერთად ვიბრძოდით საჰაეროსადესანტო ბრიგადაში. მოდით, ნუ გაგვიკვირდება, რომ ომის თემას ჩავეჭიდე. ამას რეკლამისათვის არ ვაკეთებ. მაგრამ წაკითხულ წიგნში ამ თემამ შეურაცხმყო განსაკუთრებით. მაგრამ ამაზე ქვემოთ...

ჩემი და ჩემი ძმის სამხედრო ხვედრში ერთი პატარა ნიშნული იყო. დაზგიან მეტყვიამფრქვევეთა ასეულის ფორმირებისას ოფიცერმა შევსებიდან ამოარჩია გამხდარი ქალაქელი ბიჭუნების ჯგუფი, გვერდზე გაიყვანა და დაახლოებით. ეს უთხრა:

— მე რომ თქვენ როტაში დაგფანტოთ, გაგიჭირდებათ. ბრძოლაში — მით უფრო. შეიძლება მტრის ზურგშიც აღმოჩნდეთ. არის ასეულში სერჟანტი ეფიმ კატცენი. ის იქნება თქვენი მეთაური. ერთად იყავით და დაამტკიცეთ, რომ სხვებზე უარესი ბიჭები არა ხართ.

მხოლოდ შეიძლება ივარაუდო, თუ რითი ხელმძღვანელობდა ციმბირელი ვასილ თედორეს ძე მასლოვი. მას, უკვე ბრძოლებგამოვლილ კაცს, ალბათ, ჰქონდა ასეთი გადაწყვეტილების საფუძველი (მასლოვი ახლა ბარნაულში ცხოვრობს).

ჩემი სანგრელი ძმები მახსოვს. ყველას დივასახელებ. ბროდსკი კარელიაში მოკლეს. იქვე მოხვდა ჰოსპიტალში მკერდში დაჭრილი ეფიმ გრინბერგი. ჩემს თვალწინ სასიკვდილოდ დაიჭრა ეფიმ კატცენი. 45-ის მარტში დაბრმავდა დაჭრილი ბეილშტეინი. ალიოშა ბრიბერგის, არკაშა ტეპლიცკისა და მოგილევსკის ხვედრი დღემდე არ ვიცი. მინის ნატეხს სხეულით ატარებს ჩემი ტყუპისცალი ძმა.

როგორ ვიბრძოდით? როგორც ყველანი. და წითელ სისხლს ვღვრიდით და არა „შავს“, როგორც ეს ქალბატონ გლუშკოვას წარმოუდგენია. და კიდევ მახსოვს, 45-ის თებერვალში, როცა წინა ზღუდემდე ორი „მარშის ღამე“ იყო დარჩენილი, ოფიცერმა გასცა ბრძანება, რომ მე და ჩემი ძმა გადავეყვანეთ დივიზიის მრავალტირაჟიან გაზეთში (მხატვრებად). ვითარების გათვალისწინებით ბრძანებას არ დავემორჩილეთ. და ეს ყოყოჩობა სულაც არ გახლდათ. ომის დასასრულს მოკვლისგან არავინ იყო დაზღვეული. მით უფრო მეტყვიამფრქვევეები, რომლებზეც, როგორც მაშინ დავასკვენი, მარჯვედ ნადირობდნენ.

რამ განაპირობა ჩვენი არჩევანი? რამ და წყევლა-კრულვიანმა ქირქილმა: „ებრაელები ტაშკენტს აფარებენ თავს“ და, რასაკვირველია: რას იტყვიან ჩვენს ზურგს უკან ჩვენი ასეულის, ბატალიონის მებრძოლები — ჩვენი ამხანაგები.

●

ვგრძნობდით თუ არა ჩვენ პასუხისმგებლობას ომში ერის გამო? რასაკვირველია. და ძალიან. მაგრამ მაინც შეგვახსენებდნენ ამას, შეურაცხყოფისათვის სიფათში ვურტყამდი. მაგრამ, სამაგიეროდ, სასწავლებელში ოფიცერი მინაჰყავდა ცხვირ-პირს. განსაკუთრებით ომის შემდეგ ღვარძლიანობდა პოლიტგანყოფილების მაღალჩინოსანი ოფიცრობა. უნდა ვიფიქრო, რომ მე არ შევესაბამებოდი ჩემს **ერზე** მათს წარმოდგენას.

ომის შემდეგ სამსახური სამხედრო ტყვეთა ბანაკში გავაგრძელე. ვცდილობდი, როგორც შემეძლო, მათი ხვედრის შემსუბუქებას (ამაზე შეიძლება და საჭიროცაა ბევრის თქმა). მათი სიძულვილით გამსჭვალული არ ვყოფილვარ, თუმცა, ამის საბაბი კი მქონდა: ბელორუსიაში ცოცხლად დაწვეს მამაჩემის ყველა ნათესავი და ახლობელი; არც ბავშვები დაინდეს და არც მოხუცები.

არა, ომს მე არ გავუსასტიკებივარ. პირიქით, უფრო გულჩვილი გავხდი. დრო გადიოდა, მაგრამ ბოლომა სულ უფრო და უფრო ხშირად მატყდებოდა თავს: ნელინელ, მაგრამ დაუცხრომლად, გაბობოქრებით. ძალიან ჩქარა გავიგე, რომ მეხუთე გრაფამ ჩემს სამხედრო დამსახურებებს ხაზი გადაუსვა. საზოგადოებამ გამრიყა, რომელიღაც მეორე თუ მეხუთე ხარისხის ადამიანად შემრაცხა. და თუ მე დღეს ავადმყოფი ვარ, ამაში ბრალი ომს კი არ მიუძღვის, როგორც ხშირად ფიქრობენ, არამედ ჩემს თავში ადამიანური ღირსების გაუთავებლად დათრგუნვას, ჩახშობის კომპლექსს. არა მარტო ჩემი, არამედ ჩემი ცოლის, ჩემი შვილებისა და მეგობრების ადამიანური ღირსების გაუთავებლად დათრგუნვის, ჩახშობის კომპლექსს. მე არ შემეძლო არ დამენახა, რომ ის, რაც გამოსდიოდათ, „კო“-ზე გვარდამთავრებულთ, ჩვენებს მხოლოდ ოფლის ღვრისა და ნერვების დაწყვეტის ფასად გამოსდიოდათ.

მეოთხე კლასში ჩემს ვაჟიშვილს ერთმა მისმა თანაკლასელმა განუცხადა:

— გერმანელებმა თქვენ ცოტანი ჩამოგახრჩვეს და დაგწვეს. იმას, რაც მათ ვერ მოასწრეს, ჩვენ გავაკეთებთო.

შემდეგ მერხზე უხატავდნენ ექვსქიმიან ვარსკვლავებს, ნიშნის დასმის წინ გამზადებულ ნამუშევარს უპრიდნენ. ჩემი ბავშვები არ გაბოროტებულან, მაგრამ ადრე გაიცნობიერეს, რომ „ბედის რჩეულთ“ ეკუთვნოდნენ.

ჩემი ომამდელი უკრაინელი პიონერხელმძღვანელი ქალიშვილი ებრაელის ცოლი გახდა, ქმრის გვარზე დაეწერა და, ცხადია, მისი შვილებიც მამის გვარზე დაეწერნენ. როდესაც უკრაინელი ცოლი ამის გამო გააფრთხილეს მისმა მეგობრებმა, მან მათ ასე უპასუხა: „დაე, მათ თავიანთ თავზე გამოსცადონ, რა დამცირება და შეურაცხყოფაც აქვს გადატანილი მათ მამას და მხოლოდ ამის შემდეგ ისურვებენ გააგრძელონ მათი მამის მიერ დაწყებული ბრძოლა ფაშიზმთან, ოღონდ უკვე **თავიანთ სამშობლოში** იბრძოლებენ ფაშიზმთან“.

უკვე 45 წელია კომუნისტს მეძახიან. არასოდეს დავფიქრებულვარ, თუ რაში მჭირდება ეს. ჩვენი ოჯახის საქმე ასე წარიმართა: ყველანი კომუნისტები ვიყავით, მაგრამ, აგერ ახლა კი დამეხმარნენ, დავფიქრებულიყავი: რატომ ვიძლევი ამდენი ხანი ამ სამარცხვინო თამაშში ჩათრევის საშუალებას? დღეს, როცა ყველას თვალი აეხილა. დღეს, როცა მეცნიერმა თანამშრომელმა ქალმა შემომთავაზა თავისი ბინა, რომელშიც დარბევებისაგან ჩემი ცოლ-შვილის განრიდება, დამალვა შემეძლებოდა, დღეს, როცა ჩემს თვალწინ მკვიდრი ეროვნების გალეშილ ნაძირალათა ჯგუფს უნდოდა სამხრეთის რესპუბლიკიდან ჩამოსული ყმაწვილისთვის ყვავილები წაერთმია და ჩემმა თანამემამულეებმა დაუზოგავად ურტყეს მარტოხელა შავთვალება (ის თვალები სიძულვილით ელავდა) თანატოლს.

მაინც საინტერესოა, როგორ წარმოედგინა იდეოლოგს ეს „გამოღვიძებული ეროვნული თვითშეგნება“? და ეს შეცდომა იყო თუ ბოროტი განზრახვა? ეჰ, ჩვენო სულიერო მოძღვრებო — მწერლებო და სამღვდელონო! განა ცხადი არაა, რომ ალკოჰოლის მავნებლობაზე მორალი მხოლოდ იმათთვისაა საჭირო, ვინც ჯერ არ გალოთებულა. მშვენიერია მოწოდება გრანინისა გულმოწყალებისკენ... ვის მოუწოდეს? ვინ გაიგონა ეს მოწოდება?

●

რაც უფრო მეტს ვფიქრობ იმაზე, რაც ხდება ჩემს ქალაქში (როგორ ვაღვარღვარებდი ცრემლებს, როცა ომის შემდეგ მატარებლით პირველად ვუახლოვდებოდი **ჩემს ქალაქს**), ძალზე იოლი წარმოსადგენია, როგორ შეუძლიათ „ოგონიოკის“ მკითხველებს ერთხელაც მის ფურცლებზე იხილონ დამრბევების ხელით დახოცილთა კუბოების ფოტოსურათები, ოღონდ, ამ კუბოებში ახლა უკვე არა უზბეკები, არა ქართველები, არა ყაზახები, არა სომხები, არამედ ებრაელები ესვენებიან. ან, შესაძლოა, კუბოები არც იყოს. იმიტომ, რომ არავინ მოისურვებს მათ დამარხვას. უბრალოდ, მათ გაზიდავენ ბაბი იარისკენ და შემსავით ჩაცლიან. აქ ადგილი მთელი საბჭოთა კავშირის ყველა ებრაელს ეყოფა. და ეს ჰუმანურიც კი იქნება: დაე, ისინი სიკვდილის შემდეგ მაინც გათბნენ ფაშიზმის მსხვერპლებთან ერთად საერთო საფლავში. და დღეს უკვე ყველასათვის ცხადი გახდა, რომ არავითარი გარდაქმნა არ დასჯის დამნაშავეებს, როგორც ეს დადასტურდა ლიტერატორთა ცენტრალურ სახლში გამართული შაბაშის დროს.

რასაკვირველია, ეს სხვადასხვა წლების მსხვერპლი იქნება. მაგრამ ისტორიისათვის მნიშვნელობა ექნება იმას, რომ ეს ორივე აქცია ხელისუფლების ნებართვით ჩაიდინეს იმავე ფაშისტებმა. და სულაც არვითარი მნიშვნელობა არ ექნება შთამომავლისათვის იმას, თუ როგორი იქნება ეს ფაშიზმი: გერმანული, რუსული, უკრაინული თუ ჯარისკაცების ან შინაგან საქმეთა სამინისტროს რაზმელთა ფორმით ჩამოტანილი.

●

მალე ორი თვე გახდება, რაც თავი ვერ დამიღწევია იმ სისაძაგლისაგან, რომელიც ჩემს არსებაში ჩაბუდდა რომან „ბიზონის მოთვინიერების“ (კიევი, უკრაინის ლენინური კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირის ცკ-ის გამომცემლობა „მოლოდ“, 1989 წ.) წაკითხვის შემდეგ. ჩემს თავს არ ვაძლევ რომანის მხატვრულ ღირსებაზე მსჯელობის უფლებას. მაგრამ ავტორმა იმაში კი დამარწმუნა, რომ ის ტენდენციურია იმ ჩეკისტი ოფიცრების გვარების შერჩევაში, რომლებიც მთელი რომანის სივრცეზე დაუსჯელად იგდებენ აბუჩად, ამასხარავებენ ხელქვეითებსა და სამხედრო ტყვეებს.

რომანი მთავრდება ოპტიმისტური მოწოდებით: „ჰიტლერი დავამარცხეთ! დრო მოვა, როცა დავამარცხებთ ყველა იმ ქვეწარმავალს, ვინც თავად ჩვენს ხარჯზე პარაზიტობს, ხალხის ნდობითა და სიკეთით სპეკულირებს“. მიმაჩნია, რომ შეგვიძლია მივულოცოთ „მოლოდაია გვარდიას“ უკრაინის მიწაზე „პამიატის“ შავი ბაირაღების ქვეშ მისი ახალი რაზმელების დამრაზმველი ღირსეული თანამებრძოლის მოვლინება.

ეჰ, ვინმემ რომ იცოდეს, თუ როგორ აძაბუნებს, ასავათებს გულს ეს სისაძაგლეები.

ვ. ნ.

ქ. კიევი,

**(რაკი შიშობს ავტორის ბედის გამო, რედაქციამ გადაწყვიტა მისი გვარი და სახელი მთლიანად არ გამოაქვეყნოს).**

**„ქნიჟნოე ობოზრენიე“,**

**№ 18. 4. 1990 წ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლია სტურუა ახალი ლექსები

## ბიბლიური სიუჟეტის გახსენება

ჩემი ალიონი, მძაფრი, ნერვიული,
არა მოზომილი ნაბიჯი,
არამედ ნახტომი სიფხიზლეში,
პირდაპირ შუადღეში,
სადაც ბროწეულის ხეები დადიან ალისფრად,
მათი ნაყოფი გარედან ატლასია
და მუცელში ათასი სისხლისფერი შვილი უზის —
ბიბლიური ნაგვემი ბავშვები,
რომლებმაც არც ცაზე სიარული იცოდნენ,
არც გახლეჩილ ნაყოფში თავის შეფარება,
და სხვა ამგვარი უკუღმართობა...
ზოგს ალიონის სამშობლო აქვს,
ზოგს — ღამის.
მათი სამშობლო შუადღის იყო,
ამიტომ, სიცხეს კიბე მიადგეს
და ღმერთს ეძებდნენ მის წვეროზე...
და გაჟლიტეს ისინი უფანტაზიო კაცებმა,
ხემ კი შეიფარა მათი ტანები,
ატლასში გაახვია, შაქარი დააყარა,
ჭრილობებზე,
დ თავისი წითელი შვილები დაარქვა...
ახლა, ეს ხეები, წყალს მთხოვენ,
ბევრმა სისხლმა წყურვილი იცის,
მაგრამ ალიონიდან გამოყოლილი სინოტივე,
მზემ შეჭამა, მდინარე დაიწრიტა,
და ფსკერს აჩენს უკბილო პირივით.
ცაზე ავიდე და წვიმები ვაჩუქო მიწას,
ვარსკვლავები დავაყარო სინათლის კოპლებივით,
ავი თვალი ავარიდო,
ჩემს ულამო და უალიონო
შუადღის სამშობლოს...

## დაგვიანებული ნუგეში

ვინ შემძვრალა პოეტის ტყავში?
გარედან რომ კრიალი გაუდის
და შიგნით ეკლები აქვს,
გულის საძიძგნად,
მარილი თევზისთვის,
რომელსაც ჩონჩხი გამოაცალეს,
ვარდისფრად ჭამენ
და აღდგომა ამოსდით პირიდან,
შაქარი ყვავილის გულში ჩასადებად,
რადგან, თაფლის გარეშე,
ამ სიმაღლეზე ვერ გაიწელება,
ეკლესიის ყელი,
და ხმა ჩაუწყდება ისე,
თითქოს, ხავერდმა მბზინავი მკერდის ნაცვლად
გაქექილი იდაყვები მიუშვირა...
ძნელია, პოეტის ტყავში შეძრომა,
განსაკუთრებით, ახლა, როცა,
აღზევანი აღარ არსებობს,
შაქრისფერი, მხოლოდ, მყინვარწვერია,
და, ვის რად უნდა გამტკნარებული,
ლიტონი სიტყვა?
იქნებ, მძიმე ავადმყოფს,
რომლის ბალიშს ცეცხლი ეკიდება,
გადმოაბრუნებ და ყინულია,
სიცხე მრგვალია,
სიცივე განყენებული, უსახო,
ჰაერი ცოტავდება, იატაკი ჭრიალებს,
და უიმედობა მყარდება,
მაგრამ ის კაცი,
ვის ტყავშიაც შეძვერი,
ლიტონი სიტყვიდან
ეკლესიის ტკბილ ყელს გამოწელავს,
ავადმყოფის თავს გუმბათობას ჩააგონებს,
შენსას — ტკივილს,
და სხვის ტანჯვასთან შესაბამისობას,
მაგრამ, ბალიში აღარც ცეცხლოვანია უკვე,
და აღარც ყინულოვანი,
არამედ, ერთი უძრავი ქვაა მარადისობის...

## ზღვის მონატრება

ჩემი ყველაზე კოშმარული სიზმარი —
ზაფხულის გაუთავებელი გზა,
რომელიც ზღვასთან მიდის...
ჯერ ხომ ამ გზის გავლაა უძნელესი
(ვკეცე, ვკეცე, ვერ დავკეცე),
მერე ნაკეცებში რომ ჩრდილები მოყვება
თავისი იებიანად,
ისეთი გრძნობა მიჩნდება,
თითქოს გავიშინაურე,
განყენებული ფიქრი ზღვაზე,
კარებში მოვაყოლე მისი ლურჯი თითი...
ერთხელ, ორჯერ, არ თავდება გზა,
არ ნელდება სიცხე,
ჩემი ადამიანური სისუსტე ცდილობს
დააქუცმაცოს უზარმაზარი წყალი
და მისი ხელებით
სიგრილის ტაძარი აიშენოს,
მაგრამ სიზმარმა ხომ იცის,
რომ წვეთიც არ შეიძლება მოაგლიჯო,
ამ მთლიანობას, რომელიც
იგივე მასალისგან შედგება,
რისგანაც ჩემი სული და ანგელოზები
და მაიძულებს ვიარო
ზეწრის თვალისმომჭრელ სინათლეში,
მატყლის საბნის სიმხურვალეში.
არავითარი ჩრდილის სატყუარა,
ზღვა კი არს და არ ჩანს,
იქნებ, მიწაში ჩაფლა განგებამ,
როგორც ჭები უდაბნოში,
რომ წამართვას ბედნიერება
იმის დანახვის,
რაც მხატვრების სულებისგან
და ანგელოზების ტანებისგან შედგება —
ლურჯი მონოლითის, რომელიც ვერ აიტანს,
დაქუცმაცების შეურაცხყოფას,
და კარებში მოყოლილ თითებად რომ დაიშალოს,
ჩვენ კი გავუძლებთ ამხელა ტკივილს,
რაც უნდა განყენებული იყოს, იგი
და ლაჟვარდისფერი?..

## ჭუჭრუტანიდან მაცქერალნი

ამ შავ-თეთრ ცხოვრებაში
ალტაცებას უდრის ფარშავანგის დანახვა.
ფერწასულ სიზმრებსაც ვერ მოთხოვ,
ასეთ ფუფუნებას,
როცა იცი, რომ ოფლით უნდა მოიპოვო
შენი პური და პურიც შავია,
კარაქი მარილიანი, სიტკბოს წვეთი
ზოგჯერ მარწყვის მშვენიერ სახეს
ლებულობს, მაგრამ შიში აბათილებს მას
და შხამად აქცევს,
გარშემო ყვავები და ბეღურები დაფრინავენ...
გაჩნდი, მომწიფდი, შვილი იყოლიე,
დაბერდი, მოკვდი,
არ შეგეშალოს და არ ამოვარდე ამ კალაპოტიდან—
თალხი კაბის ნაოჭებში ვარდები არ ჩამალო,
შავ, დახვეულ მავთულებს, შენს თავში
რომ ზრიალებენ ქარიან ამინდში,
ნერვები არ დაარქვა
და გრძნობების ფრქვევა არ მოინდომო
სათნოდ მოკუმული პირიდან
თორემ ფარშავანგი მოგელანდება,
დაღლილი და ოფლიანი, დღის ბოლოში,
და მხოლოდ ის გახდება ნამდვილი:
სხვა ყველაფერი თავზე მოხვეული:
შავი პურიც, შხამიანი მარწყვიც,
და მონის ლაქუცა პირიც,
რომელიც შავს თეთრად ასაღებს,
მარილს აყრის და ამით იძენს უფლებას,
იცხოვროს, შვილი გააჩინოს
და მოკვდეს.
არავითარი ყვავილი შუაში,
არავითარი სხივი, შეპარული ამ მკაცრ წესრიგში,
სწორედ, ამიტომ ყველაფერს მიატოვებ,
და ფარშევანგს გაეკიდები, როგორც ცოცხალს,
ან გაგიშვებენ, ან მოგკლავენ —
თალხი კაბის ნაოჭებში
სისხლიან ვარდებს აგიყვავებენ,
რადგან ტრაგედიას უდრის
ამ შავ-თეთრ ცხოვრებაში
ფარშავანგის გამოჩენა, !
და მხოლოდ ერთი წუთი შეიძლება
უყურო მას, მხოლოდ ჭუჭრუტანიდან...

## ქება სიჩუმისა

ყველაზე დიდი სიჩუმე
ზარების თავში მყარდება,,
როცა ორკესტრი — ხელვარდიანი,
რომელიც თვითეულ ბგერაში ზის,
უცებ გაჩუმდება, კი არ გაჩუმდება,
ისე მოწყდება,
თითქოს, უფსკრულში გადაიჩეხა...
და სიჩუმე დამყარდება საკვირველი,
როგორიც ბუნებამ არ იცის,
რადგან ბუნების სიჩუმე მშვიდია
და არა მკვდარი:
სადღაც ფოთოლი გაიშრიალებს,
მდინარე ალაპარაკდება,
ჭოტი დარჩენილი სიცოცხლის წლებს დაგითვლის,
მამლის ყივილი აფრიალდება ალისფრად,
მაგრამ არსებობს კიდევ
მუნჯი ფილმების სიჩუმე,
სადაც ზარები ირხევიან მდუმარედ,
ინგრევა სახლი, კლავენ ადამიანს,
მისი სისხლი ისეთი ფიცხი წითელია,
რომ, ლამის, იკივლოს,
მაგრამ თმის ღერსაც ვერ შეგირხევს,
ცოცხალი წყალი ისე დევს ჭიქაში,
როგორც ქვა...
იყო დრო, ამ სიმუნჯეს, მუსიკის თანხლებით,
ყველასთვის გასაგებად ვახმოვანებდი,
და ვამოქმედებდი, მაგრამ ახლა
ბავშვის ჩურჩულიც ისეთი მდუღარეა ჩემთვის,
როგორც მზის დაკვრა...
და მინდა ზარების თავში ვიცხოვრო,
რომლებშიც მთელი სამყაროს მუსიკა ირხევა.
მაგრამ გაჩუმდებიან თუ არა,
ისეთი სიჩუმე ჩამოვარდება,
თითქოს, ყველა ორკესტრი უფსკრულში გადაიჩეხა...

## ავტოპორტრეტი

და ასე ვცხოვრობ —
თავი, მაგიდაზე დამხობილი,
რომელშიც ტკივილი გუბდება,
და ორ თვალს იკეთებს,
ესეც შენი შინაგანი ხედვა,
ხერხემალი მარილის სვეტად იქცევა,
და სითეთრეშელახული ქაღალდი —
სინათლის წყაროდ,
ხოლო ჩემი ყველა თითის ბოლოში
ია იზრდება
მელანთან განუწყვეტელი ურთიერთობის გამო,
რომელიც შვილიცაა ჩემი და ძაღლიც,
რადგან ქაღალდს ხომ არ ვეყვარები,
და მაგიდას,
ხალხს მომღერალი ურჩევნია,
პირიდან რომ ვარდებს აფრქვევს,
მე კი ყელში
ბგერების ძვალი მაქვს გაჩხერილი
და ყრუ-მუნჯს უფრო ვგავარ,
ვიდრე სიტყვის მოყვარულს...
ერთადერთი იმედი მაცოცხლებს,
ასე მგონია,, ვაჟა-ფშაველას ვუყვარვარ,
რადგან ყვავილის თავგანწირულებას
ვხედავ, უპირველესად,
და მერე იისფერობას,
მაგრამ მას ქვაც უყვარს, რომელსაც მესვრიან,
ამიტომ შუა გზაში გააჩერებს,
ბოროტებას არ ჩაადენინებს...



სიმონ კილაძის ფოტო.




# საძმოდ გაწვდილი ხელი

ახლახან გამომცემლობა „მერანმა" ქართულ და რუსულ ენებზე ცალკე წიგნებად გამოსცა რომან მიმინოშვილისა და გურამ ფანჯიკიძის ვრცელი პუბლიცისტური წერილი „სიმართლე აფხაზეთზე".

1989 წლის 4 აპრილს, მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა ლიხნის ყრილობისა და „აფხაზური წერილის" არსებობის შესახებ, გაიმართა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის სხდომა, რომელმაც შექმნა „აფხაზური წერილის" საპასუხო დოკუმენტის შემქმნელი სპეციალური კომისია. კომისიამ რომან მიმინოშვილსა და გურამ ფანჯიკიძეს დაავალა დაწერა და გამოქვეყნება სტატიისა, რომელშიც ობიექტურად შეფასდებოდა „აფხაზურ წერილში" დამახინჯებულად, ფსევდომეცნიერულად და ტენდენციურად გადმოცემული მოვლენები.

სტატია უკვე მზად იყო დასაბეჭდად, როდესაც 15-16 ივლისის მოვლენებს აფხაზეთში ტრაგიკული ხასიათი მიეცა, ისე, რომ ავტორებს სტატიის საფუძვლიანი გადამუშავება მოუხდათ. 1 დეკემბერს სტატია „ლიტერატურულმა საქართველომ" გამოაქვეყნა. აი, ასე შეიქმნა ეს წიგნი, რომელსაც „სიმართლე აფხაზეთზე" ჰქვია და სამართლიანობა მოითხოვს იმის აღნიშვნას, რომ ავტორები ცდილობენ სძლიონ ემოციებს და მაქსიმალურად ობიექტურნი და მართალნი იყვნენ ჯერ საკუთარი თავისა და შემდეგ მკითხველის წინაშე.

ამ წიგნში ერთმანეთს ენაცვლება გაოცება და აღშფოთება, ტკივილი და რისხვა. და ბოლოს, იმედი, რომ აფხაზი ხალხი, რომლის ბედი თუ უბედობა საუკუნეების მანძილზე ისე გადაეჯაჭვა ქართველი ერისას, რომ ვერარა ძალა ვერ გაწყვეტს, ბოლოსდაბოლოს მიხვდება, გზა, რომლითაც მათ ერთი მუჭა ექსტრემისტები მიაქანებენ, მათი დაღუპვის, მათი სხვა ხალხებთან („შერწყმისა" თუ ასიმილაციის გზაა და, სწორ არჩევანს გააკეთებს, არ დაკარგავს არც ძველ გზასა და არც ძველ, ნაღდ, უღალატო მეგობარს...

„სიმართლე აფხაზეთზე" სწორედ ამ პათოსითაა გამსჭვალული, სწორედ რომ ერთიანობის გადარჩენის იდეა ასულდგმულებს.

რომან მიმინოშვილი და გურამ ფანჯიკიძე წარმოაჩენენ პრობლემის ნამდვილ მიზეზებს, ღრმად სწვდებიან მოვლენათა ნამდვილ არსს და ყველაფერს თავის ნამდვილ სახელს არქმევენ. ისინი პუნქტ-პუნქტად, აბზაც-აბზაც განიხილავენ „აფხაზურ წერილს" და ფაქტებით, მხოლოდ ფაქტებით (არ ემსგავსებიან ზოგიერთ აფხაზ „მეცნიერს", რომელთაც უცილობელ ჭეშმარიტებად დიდი ხნის წინათ გარდაცვლილი პაპაბებიების მონაყოლი მიაჩნიათ) სცემენ პასუხს წერილის ავტორებს. მართლაც, რა შეიძლება დაუპირისპიროს კაცმა თუნდაც იმ ფაქტს, რომ სსრკ-ში არსებული 20 ავტონომიური რესპუბლიკიდან აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა ბოლო ადგილზეა ეროვნული შემადგენლობის თვალსაზრისით და ამის მიუხედავად აქვს ეროვნული ტელევიზია, აქვს უნივერსიტეტი, ნომენკლატურული თანამდებობების ლომის წილიც ხომ მათ ეკუთვნით...

განსაკუთრებული ზიზღით იხსენიება „აფხაზურ წერილში" საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921 წლებისა), მაგრამ, რით უნდა ავხსნათ, რომ სწორედ იმ წლებში დიმიტრი გულიას რედაქტორობით გამოვიდა პირველი აფხაზური გაზეთი „აფსნი", რომ სწორედ 1918 წელს შეიქმნა პირველი აფხაზური დრამატული სასწავლებელი და თეატრალური დასები...

წიგნში ბევრი ასეთი საკითხია დეტალურად განხილული. ავტორები დინჯად, აუღელვებლად იხილავენ როგორც აფხაზი ავტორების (ვ. არძინბა. ა. გოგუა, ა. პაპასქირი. შ. ინალ-იფა), ისე მათი ნაფიცი დამცველების (ვორონოვი, ტურჩანინოვი) პოზიციებს და ააშკარავებენ მათ უნიადაგობას, ფსევდომეცნიერულობას და, ბოლოს, აშკარა არაკეთილსინდისიერებას.

და მაინც, წიგნს გამოარჩევს ზომიერების გრძნობა, პატივისცემა აფხაზი ხალხის მიმართ. სულაც არაა შემთხვევითი, რომ წიგნის დასასრულს ავტორები ასე მიმართავენ აფხაზ ერს:

„ძვირფასო აფხაზო დებო და ძმებო!

დროა, მოვეგოთ გონს, ნუ გავიხდით თავს სასაცილოდ, ნუ ჩავიდენთ ისეთ რამეს, ჩვენს შვილებსა და შვილიშვილებს ერთმანეთისათვის თვალებში რომ აღარ შეეხედებოდეთ. ვიკმაროთ ის, რითაც უკვე ასე შევლახეთ ჩვენი მრავალსაუკუნოვანი მეგობრობა".

ეს მიმართვა გულში დაჭრილი მოძმის მიმართვაა მოყვასისადმი. ასე მხოლოდ იმას შეიძლება მიმართო, ვისი ღალატიცა და ორგულობაც ძნელი დასაჯერებელია.

ეს საძმოდ გაწვდილი ხელია იმ ქრისტიანი ხალხისა, რომელსაც საუკუნეების მანძილზე სიკეთისა და ხათნოების ტაძარი უგია მუდამ. ამ ხალხს პატიების უნარიც გააჩნია და მიტევებისაც. ამ ხალხს რწმენა გააჩნია უკეთესი მერმისისა.

ნეტარ არიან მორწმუნენი! ჭეშმარიტად!

**ზაალ ბოტკოველი**

P.S. ამ უაღრესად საჭირო და მნიშვნელოვან წიგნში, სამწუხაროდ, რამდენიმე კორექტურული შეცდომა გაიპარა. ზოგი მათგანი მთლიანად ამახინჯებს ავტორთა აზრს, ამიტომაც საჭიროდ მიგვაჩნია მათი გასწორება:

1. მე-15 გვერდი, ბოლოდან მე-10 სტრიქონი ასე უნდა იკითხებოდეს: „არის ერთი პოლიტიკური დასმენა"...
2. მე-15 გვ: ბოლოდან მე-7 სტრიქონი: „დასმენა მეორე:..."
3. მე-20 გვ. ბოლოდან მე-5 სტრიქონი ზედმეტია.
4. 22-ე გვ. ბოლოდან მე-11 სტრიქონში უნდა იყოს: „მაგრამ სადღაა სინდისი?"
5. 25-ე გვ. ბოლოდან მე-13 სტრიქონში უნდა იყოს „მიამიტობის იმედით"...
6. 28-ე გვერდის ბოლო სტრიქონში და 29-ე გვერდის პირველ სტრიქონში ზედმეტია ფრაზა „ხაზი აქაც და ქვემოთაც ჩვენია — რ. მ. გ. ფ.)."
7. 30-ე გვერდის ზემოდან მე-9 სტრიქონში ზედმეტია „ჩვენს ერამდე".
8. 31-ე გვერდის ზემოდან მე-12 სტრიქონში უნდა იყოს: „ამავე ბრძნულ დიპლომატიურ ნაბიჯზე..."
9. 32-ე გვერდის ზემოდან მე-7 სტრიქონში წინადადება „აფერუმ მის ვაჟკაცობას" არ უნდა იყოს ხაზგასმული.
10. 32-ე გვერდის ბოლოდან მე-4 სტრიქონში უნდა იყოს: „აფხაზთა მეფობა..."
11. 36-ე გვერდის ბოლოდან მე-13 სტრიქონში უნდა იყოს ფრჩხილებში ა. პ. ნოვოსელცევი.
12. 38-ე გვერდის ბოლოდან მე-12 სტრიქონში უნდა იყოს: „ამრიგად, „დამოუკიდებელი" თითქმის ათასწლეული..."
13. 39-ე გვერდის თავიდან მე-4 სტრიქონში სიტყვა „რომის" შემდეგ უნდა იყოს სასვენი ნიშანი მძიმე.
14. მე-40 გვერდის ბოლოდან მე-13 სტრიქონში უნდა იყოს: „შავი ზღვის გუბერნიაში აფხაზი და ქართველი ხალხების..."
15. მე-40 გვერდის თავიდან მე-10 სტრიქონში ზედმეტია სიტყვა „თუ".
16. 48-ე გვერდის თავიდან მე-8 სტრიქონში უნდა იყოს: „ახდენდა აფხაზურ მოსახლეობაზე და იცავდა..."
17. 46-ე გვერდის თავიდან პირველ სტრიქონში უნდა იყოს: „მიხვდით, სად უკაკუნებენ ავტორები?"
18. 58-ე გვერდის ბოლოდან მე-8 სტრიქონში უნდა იყოს: „და მონარქისტ თანამემამულეთა..."
19. 54-ე გვერდის ბოლოდან მე-11 სტრიქონში უნდა იყოს: „მონარქისტების აზრებს!"
20. 62-ე გვერდის თავიდან მე-5 სტრიქონში უნდა იყოს: „...საუკეთესო ფორმის მოწყობის..."
21. 62-ე გვერდის ბოლოდან მე-10 სტრიქონში უნდა იყოს: „ახეთი რესპუბლიკის თაობაზე..."
22. 66-ე გვერდის ბოლოდან მე-10 სტრიქონი ზედმეტია.
23. 66-ე გვერდის ბოლოდან მე-9 სტრიქონში უნდა იყოს: „სახლებით? წერილის ავტორებს..."
24. 70-ე გვერდის თავიდან მე-6 სტრიქონში უნდა იყოს: „თუ ამ რეპლიკის შემდეგაც შემოგვძახე —".
25. 72-ე გვერდის თავიდან მე-6 სტრიქონში უნდა იყოს: „თითქოს გადმოვიდა.."
26. 78-ე გვერდის თავიდან მე-10 სტრიქონში უნდა იყოს: „ლაპარაკი ფედერალურ სახეზე..."
27. 78-ე გვერდის ბოლოდან მე-5 სტრიქონში უნდა იყოს: „უმაღლეს სასწავლებელში გადაიქცა..."
28. 82-ე გვერდის ბოლოდან მე-6 სტრიქონში უნდა იყოს: „და ამრიგად ბიბლური..."
29. 82-ე გვერდის ბოლოდან მე-6 სტრიქონში უნდა იყოს: „...ბიბლურმა დამწერლობამ".
30. 88-ე გვერდის თავიდან მე-10 სტრიქონში უნდა იყოს: „...ბრძნულად ფიქსს..."
31. 97-ე გვერდზე თავიდან მე-15 სტრიქონში სიტყვა მეტსახელით ორივე მხრიდან ბრჭყალებით უნდა შემოისაზღვროს.
32. 104-ე გვერდის ბოლოდან მე-2 სტრიქონში უნდა იყოს: „დემოგრაფიული".
33. 107-ე გვერდის თავიდან მე-7 სტრიქონში უნდა იყოს: „...ეროვნული თავისთავადობის შენარჩუნებისა".
34. 116-ე გვერდის თავიდან მე-13 სტრიქონში უნდა იყოს „...ჯორჯ ჰიუიტმა?"
35. 116-ე გვერდის ბოლოდან მე-10 გვერდზე სიტყვა „ითქვას" შემდეგ უნდა დაიწეროს სასვენი ნიშანი „ორწერტილი".

# საქართველოს სსრ პროკურორს ვახტანგ რაზმაძეს

**რეზო ჭეიშვილი**

წლევანდელი წლის „ლიტერატურულ საქართველოში" (№ 28) გამოქვეყნდა თქვენი წერილი „სჯობს ყველამ თავისი საქმე აკეთოს". მართალი ბრძანდებით. ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოს, საქართველოს სსრ პროკურორმაც, თავისთავად ცხადია. სხვათა შორის, ცოტა ხნით ადრე, ამავე გაზეთში („ლიტ. საქ." № 26. 1990 წ.) გამოქვეყნებულ ინტერვიუში პოეტ მამუკა წიკლაურის შეკითხვას — თუ როგორ მესახება თანამედროვე საქართველოს მოქალაქის, მწერლის, საზოგადო მოღვაწის „კონკრეტული როლი სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში"? ასე ვუპასუხე: „ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოს თავისუფლებისათვის ბრძოლაშიც..." (იქვე გვ. 10). ამის გამო ვიფიქრე კიდეც, რედაქციამ ჩემი სიტყვები ხომ არ გამოიტანა თქვენივე წერილის სათაურში-მეთქი. დიახ, ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოს! ეს მარტივი ჭეშმარიტებაა და სულაც არ ნიშნავს იმას, რომ პროკურორმა პუბლიცისტური წერილი არ უნდა დაწეროს, მწერალმა „მართლმსაჯულების ზეიმში" არ შეიტანოს ეჭვი და ასე შემდეგ. ეს იშვიათ შემთხვევაში და, ისე კი „სჯობს", მართლაც, ყველამ თავისი საქმე აკეთოს ამ დაძაბულ დროში, უაღრესად რთულ ვითარებაში.

ბატონო პროკურორო! როგორც თქვენ არ მიცნობთ, ისევე არ გიცნობთ მეც, მაგრამ „გარკვეული სიმპათია", როგორც მსჯავრდაუდებელ მოქალაქეთა ნაწილს, მეცა მაქვს თქვენდამი, თუნდაც იმიტომ, პუბლიცისტიკაშიც რომ ცდით კალამს, — მიუხედავად თქვენი მოუცლელობისა, დღევანდელი რეალობით რომ უნდა იყოს გაპირობებული. ლიტერატურული ორგანოსათვის უჩვეულო, ზედამხედველობით-ადმინისტრაციული ტონის მიუხედავად, თქვენს წერილში ბევრი რამ არის ყურადსაღები და როგორც ზოგიერთები მარწმუნებენ, ჭკუისსასწავლებელიც კი. ამ მომენტზე აღარ შევჩერდებით.

საქართველო, ქართველი ხალხი ნათელი და დიადი მიზნისათვის იბრძვის; უკვე იკვეთება თავისუფლების კონტურები და მართლწესრიგის დარღვევათა რიცხვი თითქმის არითმეტიკული პროგრესიით იზრდება:

**„...მძიმე დანაშაულთა რაოდენობა გაიზარდა 38,2 პროცენტით, განზრახ მკვლელობისა და მკვლელობის მცდელობისა — 72,4 პროცენტით, გაუპატიურებისა — 46,2 პროცენტით, ძარცვისა — 86,3 პროცენტით, ყაჩაღობისა — 193,2 პროცენტით, მოქალაქეთა პირადი ქონების ქურდობისა — 72,6 პროცენტით, ადამიანთა სიკვდილით დამთავრებული ავარიებისა — 56,3 პროცენტით..."**

ეს მონაცემები რესპუბლიკის პროკურატურაში გამართულ კონფერენციაზე როლანდ გილიგაშვილის მიერ წარმოთქმული სიტყვიდან მოვიტანეთ (გაზ. „ცხოვრება და კანონი" № 3, გვ. 4. 1990 წ.). წლევანდელი წლის ხუთი თვის მონაცემია შეფარდებული მხოლოდ წინა წელიწადთან. დააკვირდით ამ ფაქტს. უფრო სავალალო სტატისტიკაა გაზეთ „კომუნისტში" (25. VII. 1990 წ. გვ. 1) და იქვე, იმავე გვერდზე ვკითხულობთ: **„...საგანგაშოა ისიც, რომ ყოველი მესამე ბოროტმოქმედება გაუხსნელი რჩება."** დაძაბული სიტუაციაა კვლავ საქართველოს ფეთქებად რეგიონებში, დაუსჯელი დადიან არაქართველი ექსტრემისტები, რთული ვითარებაა დედაქალაქშიც, სხვა და სხვა და სხვა. სურათი თქვენთვის დღესავით ნათელია და ამაზეც აღარ ვილაპარაკებთ.

ბატონო პროკურორო, ამდაგვარ სიტუაციაში თქვენ მაინც შესძელით ჟურნალ „განთიადში" გამოქვეყნებული „მასალის" განჩხრეკა, რედაქტორისა და „მასალის" ავტორის განქიქება. ესა და თქვენი გულისწყრომა გვაფიქრებინებს, რომ „წაგებული თამაში" (სათაურისათვისაც რომ მიგექციათ ყურადღება, კარგი იქნებოდა-) არც ისეთი „იაფფასიანი" და იოლად ხელწამოსაკრავი ყოფილა. ჟურნალ-გაზეთები ახლა საინტერესო, სენსაციური დავარქვათ, მასალებითაა გადატვირთული და ამის გარეშე აწი და აწი პრესა, მითუმეტეს ახლადდაარსებული ჟურნალი, ფიზიკურად ვერ იარსებებს. რაც შეეხება, რომ ამ გზით („იაფფასიანი", „სენსაციური", თანაც სხვისი პუბლიკაციით) განდიდებას ვაპირებ, სინამდვილეს არ შეეფარდება. შეიძლება იმიტომ, რომ არ მიცნობთ, „გარკვეული სიმპათიით" მიყურებთ მხოლოდ — თქვენი განცხადება თავად გამოვიდა (შეგიძლიათ არ დამიჯეროთ) იაფფასიანი და შეიძლება სენსაციურიც. საერთოდ არ გიპასუხებდით, მაგრამ თქვენს წერილში **„სჯობს ყველამ თავისი საქმე აკეთოს"** დაშვებულია ერთი არსებითი ხასიათის შეცდომა, რომელზედაც ყურადღების გამახვილება მკითხველის დაგზაკვალიანებისა და ჭეშმარიტებისათვის აუცილებელი გვგონია.

თქვენ ამბობთ: — **„განთიადის" (№ 5. 1990 წ.) პუბლიკაციის მიხედვით ხაბეიშვილის საქმე პოლიტიკური ბრძოლის შედეგად არაა მიჩნეული, მაგრამ მაინც აქვეყნებენ მასალას, რომლითაც შეურაცხყოფენ სამართალდამცავი ორგანოების მუშაკებს..."** („ლიტ. საქ." № 28. გვ 4. 1990 წ.).

„პოლიტიკური ბრძოლის შედეგადაც" რომ იყოს მიჩნეული, რაც არაა გამორიცხული, სამართალდამცავი ორგანოების შეურაცხყოფის უფლება არ გვქონდა და არც გვიფიქრია.

შემდეგ:

**„...ამ განმარტების მიხედვით (ე. ნაცვლიშვილი) სადავოდ არ ხდის, რომ მასში გადმოცემული თითოეული სიტყვა შეიძლება სიმართლე არ იყოს და რომ ხაბეიშვილი არ არის პოლიტიკური ინტრიგების მსხვერპლი"** (იქვე. გვ. № 4).

„აუცილებელ . განმარტებაში", თქვენ რომ რატომღაც „თვალთმაქცური" უწოდეთ, სხვანაირად წერია და დიამეტრალურად საწინააღმდეგო მოსაზრებაა გამოთქმული.

აი ტექსტიც („განთიადი" № 5. გვ. 191. 1990 წ.):

**„ბუნებრივია, გარანტიას არ ვიძლევით, რომ აქ ნათქვამი თითოეული სიტყვა სრული სიმართლეა და ამ სტრიქონების ავტორი პოლიტიკური ინტრიგების მხოლოდ მსხვერპლია..."**

ხაბეიშვილი მხოლოდ პოლიტიკური ინტრიგების მსხვერპლი კი არ ყოფილა, არამედ სხვა ფაქტორებისაც. ჩავყვეთ ციტატას ბოლომდე:

**„ხ. ხაბეიშვილი იმ წლებში იყო მაღალი რანგის პარტიული ფუნქციონერი, როცა მძლავრობდა მაღალი თანამდებობის მოხელეთა დანაშაულობანი, კორუფცია, პროტექციონიზმი, მფლანგველობა. ბიუროკრატიული აპარატი უზომო უფლებებით იყო აღჭურვილი და მთელი სიმძლავრით მოძრაობდა ვასალურ ურთიერთობათა კარუსელი".**

ე. ი. ხაბეიშვილი მხოლოდ პოლიტიკური ინტრიგების მსხვერპლი კი არ ყოფილა და „არც შეიძლება ასე ყოფილიყოო", რადგან იგი თავად იყო მაღალი რანგის პარტიული ფუნქციონერი (მაღალი რანგის მოხელე), რომელიც მის თანამოძმეთა (კორუფციის, პროტექციონიზმის, მფლანგველობის) კარუსელში ტრიალებდა. მართლმსაჯულება კი პარტიული დიქტატის ხელში იყო და მტყუან-მართლის გარჩევა ძნელდებოდა. და „აქ ნათქვამი თითოეული სიტყვის სრულ სიმართლეშიც" თუ შევიტანთ ეჭვს, პუბლიკაციის ავტორი ხაბეიშვილის ბრალდებელი უფრო გამოვა, ვიდრე დამცველი, თუმცა ავტორს არც დაცვა განუზრახავს, არც საბრალდებულო დასკვნის გაკეთება დაუპირებია. სიმართლე რომ ითქვას, შეიძლებოდა ამ აზრის, სტილისტიკის თვალსაზრისით, უფრო ნათლად და მარტივად ჩამოყალიბება და თქვენც, ბატონო პროკურორო, აღარ დაგჭირდებოდათ ახალგაზრდა ჟურნალისტი ქალის ამდაგვარი ეპითეტებით შემკობა: **„ჟურნალისტური უმეცრება", „მოქალაქეობრივი უპასუხისმგებლობა", „იურიდიული უმეცრება", „მე-8 კლასის მოსწავლის"** დონეზე დგომა და სხვა; ყველას ვერ ჩამოვთვლით. პუბლიკაციასაც უწუნებთ **„ავტორი პრეტენზიულად აცხადებს** (სად აცხადებს, გაუგებარია!), **რომ მან მოამზადა პუბლიკაცია. თუმცა მოსამზადებელი არაფერი იყო, გადაუმოწმებელი და ცილისმწამებლური წერილები გადააბა ერთმანეთს და გამოაქვეყნა".** არსებულის დალაგება, თუნდაც ის ცილისმწამებლური იყოს, გამოქვეყნება, ნიშნავს პუბლიკაციას და ამ „მასალებშიც" თქვენთვის ახალი და მოულოდნელი არაფერი უნდა იყოს; სულ სხვაა, რამდენად შეეფარდებიან ისინი სინამდვილეს (ავტორსაც ეპარება ეჭვი) და რამდენად სარწმუნოა ეს წყაროები, რომლებზედაც თქვენ კონკრეტულად, ალბათ არ თვლით საჭიროდ, არაფერს ლაპარაკობთ. ყველაფერზე პასუხის გაცემა არ შეიძლებაო, ამბობთ კიდეც და იქვე უმატებთ: **„...ღმერთმა მოაახმაროს მას (ხაბეიშვილს) გლოველისა და დორეულისთანა გულშეტკივრები და მოწმეები. მე კი ვფიქრობ, მსჯავრდადებული ცეკას მდივნისათვისაც კი შეურაცხმყოფელი უნდა იყოს მათთან კონტაქტი".** ვერ ვხვდები, რას გულისხმობთ მათთან „კონტაქტში" და „მოხმარებაში", მაგრამ ისინი, რამდენადაც ვიცი, ხაბეიშვილამდე ძიებამ და სასამართლომ „მოიხმარა", როგორც ბრალდების მოწმეები: „თუმცა, **სჯობს ამაზე სხვამ თქვასო,** — ამბობთ და ჩვენც მეტი აღარაფერი დაგვრჩენია ამ ეტაპზე.

ბატონო პროკურორო, ჩვენ ახლა ვქმნით, ვაპირებთ, ყოველ შემთხვევაში, სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნას. საქართველოს იურისტთა კავშირის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთის „ცხოვრება და კანონის" მოწინავე წერილში ამ პროცესზეა სწორედ ყურადღება გამახვილებული.

**„...ახლებური პოლიტიკური აზროვნება და სამართლებრივი სახელმწიფოს შესაფერისი მართლშეგნება ჩამოყალიბების პროცესშია".** („ცხოვრება და კანონი" №3. ივნისი. 1990 წ.). თუ მართლშეგნება **„ჩამოყალიბების პროცესშია"** ახლა, ჩანასახის მდგომარეობაში იქნებოდა ხუთი წლის წინ, ვერ ვიტყვით, საამისოდ ენა არ მოგვიბრუნდება, მაგრამ რაღაც შესაბამობა ახლანდელსა და მაშინდელ მართლშეგნებას შორის იქნება უთუოდ.

**„თანამედროვე პრესის წყალობით ჩვენმა საზოგადოებამ მართლმსაჯულებაზე პარტიული დიქტატის არა ერთი და ორი შემთხვევა იცის",** — წერს იგივე გაზეთი იმავე გვერდზე. ამასვე ამბობს „თვალთმაქცურ" განმარტებაში ე. ნაცვლიშვილიც **(„მართლმსაჯულება „დამსჯელ რაზმად" იქცა პარტიული დიქტატის ხელში").** და ამასვე იმეორებთ თქვენც თქვენს წერილში. საილუსტრაციოდ შევეცდები მოვძებნო შესაბამისი ადგილები და ვუპასუხო თქვენგან წამოჭრილ მხოლოდ რამდენიმე შეკითხვას:

**„...მას (ე. ი. რ. ჭეიშვილს) კარგად ახსოვს და კმაყოფილიც არის იმ პერიოდით, როცა მისი პუბლიკაციების გმირი ქუთაისს მართავდა, მე მინდა დავარწმუნო ბატონი რეზო, რომ ეს იყო სინდისისა და მართლმსაჯულების ფეხქვეშ გათელვის წლები, როცა ქუთაისში პარტიული პლენუმების თუ სხვა ღონისძიებების ჩატარებას წინ უძღოდა სხვათათვის შიშის მოსაგვრელად უდანაშაულო ადამიანების დაპატიმრებანი ან მათი დაპატიმრების მცდელობანი".**

ახლა მე მინდა დაგარწმუნოთ, ბატონო პროკურორო, **„კარგად არ მახსოვს"** და რადგან ქუთაისში არ ვცხოვრობდი, საერთოდ არ მახსოვს, როგორ მართავდა ქუთაისს ხაბეიშვილი, როგორ ტარდებოდა პარტიული პლენუმები, ღონისძიებები და რა უძღოდა წინ ამ პლენუმებს და ღონისძიებებს. აქედან გამომდინარე, „კმაყოფილიც" ვერ დავრჩებოდი არსებული სიტუაციით, ისევე, როგორც თქვენ, მართლმსაჯულების ხელმძღვანელს და წარმომადგენელს არ დაგაკმაყოფილებდათ უკანონობისა და თვითნებობის ფაქტების გარედან მაყურებლის როლი. **„ჩემი პუბლიკაციების გმირსაც"** (პუბლიკაცია „განთიადში" ერთია, ისიც სხვისი დაწერილი), რაღა დაგიმალოთ, არ ვიცნობდი, ისევე როგორც არ გიცნობდით და პირადად ახლაც არ გიცნობთ თქვენ. სამაგიეროდ, ბატონო პროკურორო, არ მჭირდება დარწმუნება, მჯერა, ვიცი, რომ ის წლები **„...იყო სინდისისა და მართლმსაჯულების ფეხქვეშ გათელვის წლები"** არა მარტო ქუთაისში, არამედ მთელს იმპერიაში და საქართველოშიც; რაღა თქმა უნდა. მართალი ბრძანდებით: ბატონობდა პარტიული დიქტატი, ითელებოდა სინდისი, კანონ-სამართალი, მართლმსაჯულება. სავსებით გეთანხმებით.

თქვენ წერთ:

**„...მინდა შეგახსენოთ** (კი არ უნდა შემახსენოთ, გამაგებინოთ) **პარტიის ქუთაისის საქალაქო პლენუმის წინ ხაბეიშვილის დაჟინებითი მოთხოვნით და ჩარევით როგორ დააპატიმრეს უხარისხო პროდუქციის გამოშვებისათვის ქუთაისის ტრიკოტაჟის ფაბრიკის დირექტორი გ. შაიშმელაშვილი, ამავე ფაბრიკის თანამშრომლები — მცირეწლოვანი შვილის დედა — დარეჯან ჩირაძე და იმ დროს გაუთხოვარი ზაირა ბენიძე. მთელს ჩვენს ქვეყანაში ვერ ნახავთ ერთ საქმესაც კი, მსგავსი დანაშაულისათვის არათუ ქალები, კაცი რომ დაეპატიმრებინოთ..."**

პროკურატურის გარეშე მოხდა ეგ ყველაფერი?

როგორც ირკვევა, — არა:

**„...თქვენ წარმოიდგინეთ, როცა ამ ფაქტის გამო აღშფოთდა რესპუბლიკის მაშინდელი პროკურორი, აწ განსვენებული არონ ტაკიძე, აღშფოთება აღშფოთებად დარჩა, ვინაიდან ცეკამ ხაბეიშვილს დაუჭირა მხარი, აი, ამიტომ ბედავდა ამდენი უკანონობის ჩადენას ის".**

აი, ამიტომ გაესვა ხაზი პარტიულ დიქტატს „წაგებული თამაშის" „აუცილებელ განმარტებაშიც".

**თქვენი განცხადებით, ხაბეიშვილი აქტიურად მონაწილეობდა თურმე, „დიდი დანაშაულების ჩადენის ხელისშემწყობი პირობების შექმნაში, რაც მისი ცეკას განყოფილების გამგედ და ცეკას მდივნად მუშაობის პერიოდში განხორციელდა საქართველოში და რის გამოც, რამდენიმე ასეული კაცი თავისუფლების აღკვეთის ადგილებში გაიგზავნა, ხოლო 7 კაცი სამეურნეო დანაშაულის ჩადენისათვის დახვრიტა კიდეც..."**

იგი **„რა თქმა უნდა, სხვებთან ერთად, დისიდენტების რეპრესიებშიც"** იღებდა მონაწილეობას. როგორ, რა ფორმით, რა მეთოდებით, არ გიწერიათ, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, აპატიმრებდა, ასახლებდა (რეპრესიები ეგაა) დისიდენტებს, იმ ხალხს, რომლებიც არაფერს არ ითხოვდნენ **„გარდა სამშობლოს სრული სუვერენიტეტისა".**

სამართალდამცავი ორგანოები დუმდნენ? რეპრესიებში არ იღებდნენ, ვთქვათ, მონაწილეობას, მაგრამ თვითნებობის ფაქტებს ხომ ხედავდნენ? დუმდნენ, ალბათ იმიტომ, რომ **„...სამართალდამცავი ორგანოები ისე ჰქონდა ფეხქვეშგაგდებული** (ხაბეიშვილს), **რასაც მოისურვებდა იმას აკეთებინებდა.**

როგორ ახერხებდა ამას? ცეკა უჭერდა მხარს, თავადაც ცეკას წარმომადგენელი იყო. **„აი, ამიტომ ბედავდა ამდენი უკანონობის ჩადენას ის".** გასაგებია, მაგრამ ძალიან შორს ხომ არ შევდივართ?..

ქრთამების კლასიკურ იმპერიაში, ეგრეთწოდებული „უძრაობის წლების" სახელმწიფოში, როცა ბატონობდა კორუფცია, მექრთამეობა, ქრთამის აღებისათვის დახვრიტეს ი. კობახიძე თქვენი მინიშნებით (შესაბამის ადგილს მკითხველი თავად მოძებნის) „შეიძლებოდა იმ ადამიანის გადარჩენა, მაგრამ"... პრეზიდიუმის წევრები **„...ხაბეიშვილმა გაგვაფრთხილა, რომ პატიებისათვის მხარი არ დაგვეჭირა, წინააღმდეგ შემთხვევაში სამუშაოს დაგვატოვებინებდნენ..."**

სამსახურის დაკარგვის შიშით მოუსპეს სიცოცხლე? ამის გაგონებაც კი შემზარავია.

თბილისის ზღვაზე დაიღუპნენ ახალგაზრდები, მოხდა საშინელი ტრაგედია, რამაც მთელი თბილისი შეძრა. გამომჟღავნდნენ დამნაშავენი, მაგრამ დააპატიმრეს უდანაშაულო **„...იახტკლუბის ხელმძღვანელი ზოიძე, მიუსაჯეს კიდეც 2 წლით თავისუფლების აღკვეთა. ე. ი. ვინც აიძულეს, რომ ხელი შეეწყო დანაშაულის ჩადენაში, ის დააპატიმრეს, ხოლო ვინც დანაშაული ჩაიდინა, მას პასუხი არ მოთხოვეს".**

ცოტა უადგილო ხომ არ გეჩვენებათ, ბატონო პროკურორო, ამის შემდეგ ამდაგვარი შეკითხვა:

**„სად იყო დღემდე მისი (ე. ი. ჩემი) მოქალაქეობრივი გმირობა, თუ ასე აწუხებდა ხაბეიშვილის ბედი, ამ ხუთი წლის განმავლობაში ხმას რატომ არ იღებდა?"**

ხმა არც ახლა ამომიღია, არც ხუთი წლის წინ, არც ხუთი წლის შემდეგ მითქვამს ოფიციალურად რაიმე; ე. ნაცვლიშვილის პუბლიკაციის გამოქვეყნებაში კი ვერავითარ „გმირობას" ვერ ვხედავ. გამოქვეყნებულ მასალაზე, როგორც რედაქტორი, პასუხისმგებლობას ვერ მოვიხსნი, ცხადია, მაგრამ თქვენ, ბატონო პროკურორო, აშკარად მაიგივებთ ავტორთან, რაც იურიდიულადაც არ უნდა იყოს სწორი. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მაინტერესებს და გეკითხებით: ვისაც ხმის ამოღება სამსახურებრივად, ოფიციალურად ევალებოდა, ის სად იყო; დამნაშავის მაგივრად უდანაშაულოს რომ იჭერდნენ, რას აკეთებდით? თქვენ გაინტერესებთ, მე სად ვიყავი?., გიპასუხებთ:

იმ გახმაურებულ პროცესს ვადევნებდი თვალს სხვებსავით, ხანდახან, თქვენ წარმოიდგინეთ, ვუყურებდი პირდაპირ ტელეგადაცემებსაც, პარტიულ-ადმინისტრაციული აპარატისათვის რომ იყო განკუთვნილი; გულდამძიმებული, დაეჭვებული ვუყურებდი ეკრანს, ვკითხულობდი პრესას და მეჩვენებოდა, რომ ყველაფერი ისე არ ხდებოდა, როგორც უნდა მომხდარიყო.

აი, რატომ:

**„...თუ ყველა მისი თანამოაზრე და თანამებრძოლი დღეს სასჯელს არ იხდის, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ხაბეიშვილი დამნაშავე არ არის. ალბათ ყველას მხილება ერთდროულად შეუძლებელია",** — წერთ თქვენ, მაგრამ არც ერთდროულად, არც ცალ-ცალკე არ მომხდარა ყველა დამნაშავისა და ყველაფრის მხილება. ამიტომ ტოვებდა სასამართლო პროცესი უკმარობის შთაბეჭდილებას, თუნდაც. მაშინ ხომ სასამართლოზე, როგორც ახლა ადასტურებენ და თქვენც არ უარყოფთ, ბატონობდა პარტიული დიქტატი, მიუხედავად იმისა, პარტიულებს ასამართლებდნენ თუ უპარტიოებს. **„...ის, რასაც პარტია ერქვა, ფაქტობრივად ტოტალური სახელმწიფოს ძირითადი, უმაღლესი რგოლი იყო. მას ეკუთვნოდა ხელისუფლებისა და აზრის მონოპოლია. ამასთან, იმის გამო, რომ თვით პარტიის შიგნით არ არსებობს დემოკრატია და პარტია საკუთარი წევრების მიმართაც კი პოლიციურ ფუნქციებს იყენებს, ხელისუფლების მონოპოლიზაციას ახდენს არა მთელი პარტია, არამედ მისი ერთი ფენა, სხვაგვარად რომ ვთქვათ, პარტიული ელიტა.** „ესეც საქართველოს იურისტთა კავშირის გაზეთის მოწინავედან ამოვიწერე („ცხოვრება და კანონი" № 3. 26 ივნისი, 1990 წ.). ამ ამბების გამოძახილს იხილავთ კიდეც მოგვიანებით სხვა ჟანრში, სხვანაირ პრიზმაში. მეტს, თანაბარ პირობებშიც რომ გვიხდებოდეს კამათი, ამ საკითხზე აღარაფერს მოგახსენებთ.

**„ის რაც განაჩენმა დაადგინა, კანონია!"** — ბრძანებთ და შემდეგ დასძენთ: **„...მე მესმის, რომ თუ კანონის მოთხოვნა დარღვეულია, ან ვინმე უკანონოდაა მსჯავრდებული, ეს შეცდომა დაუყოვნებლივ უნდა გამოსწორდეს და სამართალმა იზეიმოს".** ყველა განაჩენი, როგორც, ვხედავ, არ ყოფილა კანონი. მსჯავრდებულის საქმე თუ გამოსასწორებელია, თქვენი ფორმულირება: „— ის რაც განაჩენმა დაადგინა, კანონიაო", — ძალას კარგავს.

კანონი და სამართალი „ზეიმობდა" 37-38 წლებში, სამართალი „ჭამდა პურს" ხრუშჩოვის, ბრეჟნევის, სხვების დროს და ჩვენი სახელმწიფო მუდმივად დადგენილი კანონებისა და განაჩენების უკანონობას და უგანაჩენობის დადგენას და აღიარებას უნდება.

**„რატომ მიაჩნია ქალბატონ ე. ნაცვლიშვილს, რომ არ იზეიმა მართლმსაჯულებამ, როცა ხაბეიშვილი დამნაშავედ ცნო?"** — კითხულობთ თქვენ. არ ვიცი, რატომ არ მიიჩნია ქალბატონმა ე. ნაცვლიშვილმა **„მართლმსაჯულების ზეიმად"** ის პროცესი, მე კი განაჩენი, იმიტომ რომ უარესს ველოდი, ჰუმანურიც კი მომეჩვენა, თუმცა მართლმსაჯულების ზეიმი და ფეიერვერკი არ დამინახია.

თქვენის ნებართვით, ერთ ციტატას გავიმეორებ:

**„თუ ყველა მისი თანამოაზრე და თანამებრძოლი დღეს სასჯელს არ იხდის, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ხაბეიშვილი დამნაშავე არ არის. ალბათ ყველას მხილება ერთდროულად შეუძლებელია..."**

ყველაფრის გარკვევაც შეუძლებელია ერთდროულად, ნაჩქარევად, გაცხარების თანხლებით, ჯერ უნდა გადავხედოთ წარსულ დროს, სისტემას, ყბადაღებულ „უძრაობის წლებს", უსაჯაროობას, დემოკრატიის უქონლობას და იმას, რომ **„...ახლებური პოლიტიკური აზროვნება და სამართლებრივი სახელმწიფოს შესაფერისი მართლშეგნება ჩამოყალიბების პროცესშია.** („ცხოვრება და კანონი", იქვე).

ველოდოთ სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნა-ჩამოყალიბებას და მანამდე არ ამოვიღოთ ხმა?

ჩვენ არ ვეძებთ კონკრეტულ დამნაშავეთ, არც ვინმეს საქმის გადასინჯვა გვიცდია (საამისოდ არავითარი რწმუნება არ გაგვაჩნია), არც არავის რეაბილიტაცია მოგვითხოვია; კონკრეტულად, პიროვნულად არც არავის ვებრძვით, არც მოვალეობა-სასჯელისაგან ვათავისუფლებთ, სიტყვებში რომ არ გამოგვედავოთ, არც ვცდილობთ... მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ არავის ვუთანაგრძნობთ, უბედოთა ბედით არ დავინტერესდებით, არავინ შეგვეჩანაება, არაფერი არ დაგვაეჭვებს. თვალს ვერ ავიხვევთ, პირს ვერ დავმუწევთ. ამას ვერავის დავპირდებით.

მკითხველებს აინტერესებთ ცხოვრება კაცისა (ისევ თქვენს სიტყვებს მოვიშველიებ), ვინც **„..საშუალო სკოლის დამთავრებიდან დაპატიმრებამდე, კომკავშირულ და პარტიულ სამუშაოზე გაატარა და მხოლოდ საპატიმროში მიხვდა, რომ პარტიისა და კომკავშირის ერთგული მსახურებით უდიდესი ცოდვა აქვს ჩადენილი."**

მკითხველს აინტერესებს მექანიზმი სისტემისა, რომელმაც დანაშაულამდე მიიყვანა ნიჭიერი პიროვნება, კომკავშირულ-პარტიულ აპარატში დროის უკუღმართობისაგან ფსიქოლოგიურად (სწორად შეგინიშნავთ) „გაორებული" ადამიანი. მკითხველს სხვა რამეც აინტერესებს; კერძოდ:

**„... კაცი, რომელიც 1983 წლის 29 ნოემბერს თვითმფრინავის გატაცებიდან მე-11 დღეს ხმას აძლევს საქართველოს კომკავშირისა და პარტიის წევრებისადმი თვითმფრინავის გამტაცებელთა ბანდიტებად გამოცხადების შესახებ წერილს, როცა საქმის გამოძიება კარგად არ არის დაწყებული და მათი ბედის წინასწარ გადაწყვეტაში მონაწილეობს, [illegible] მას იმის სურვილი გაუჩნდებოდა, მათთვის სასჯელი ეპატიებინა?"**

ამ სტილისტურად გაუგებარი წინადადებიდან შემდეგი აზრის გამოტანა შეიძლება მხოლოდ: შემდგარა რაღაც წერილი, სადაც ბანდიტებად გამოუცხადებიათ „თვითმფრინავის გამტაცებლები". ხმა მიუციათ წერილისათვის, როცა **„საქმის გამოძიება კარგად არც არის დაწყებული და მათი ბედის წინასწარ გადაწყვეტაში"** მონაწილეობა მიუღია, როგორც ვხედავ, არა მარტო ხაბეიშვილს. უკანონობისა და უზნეობის საშინელი ფაქტია და იქნებ, მართლაც სტილისტურ გაუგებრობასთან გვაქვს საქმე. აღნიშნულ „წერილს" არ ვიცნობთ, ის კი გვახსოვს, ჩვენმა ინტელიგენციამ, ვისთანაც შეწყალების დოკუმენტმა მიაღწია, თვითმფრინავის გამტაცებელთა შეწყალებას მოაწერა ხელი, ყოველგვარი ანგარების გარეშე. ეს თქვენთვის კარგად უნდა იყოს ცნობილი. შეიძლება უანგაროდ, ქრისტიანული მორალის მოშველიების გარეშეც, გამოექომაგო თუნდაც დამნაშავეს, რაც ზოგიერთთათვის სპეციფიკური სამსახურის, თუნდაც პროფესიონალური „ალღოს" სიჭარბის გამო გაუგებარიც კია.

თქვენ გაწუხებთ, **„რის გამო უხდის ხარკს ბატონი რ. ჭეიშვილი მსჯავრდადებულ ხაბეიშვილს",** ალბათ **„...იმათ რიცხვს ეკუთვნის, ვინც, როგორც ხაბეიშვილი აღნიშნავს, ვალდებული იყო ხმა ამოეღო, ალბათ მათ მიმართ** (აქედან გამომდინარე, ჩემს — მიმართაც) **ხაბეიშვილის რაღაც დამსახურების გამო.** „იქნებ იმიტომ, **„რომ მისი „მეცადინეობით გაიხსნა... ჟურნალი „განთიადი".**

და შემდეგ:

**„ვითომ მარტო ამიტომ?!"**

აქ უკვე რიტორიკული შეძახილია, კითხვისა და ძახილის ნიშნით დაბოლოებული.

არც მაგიტომ, ბატონო პროკურორო!

„განთიადის" გაჟურნალებაში, რაც ჩემს რედაქტორობას დაემთხვა 1987-89 წლებში, თქვენთვის გასაგები მიზეზის გამო, ხაბეიშვილს მონაწილეობა არ მიუღია. არ ვიცნობდი არც კომკავშირიდან, არც პარტიიდან, არც ცეკადან და, სამწუხაროდ, არც სპორტიდან. ქუთაისელი მწერლებიდან ანუ „ქუთაისში მოღვაწე მწერალთაგან", მიგიღიათ სათანადო ინფორმაცია, მაგრამ ქუთაისელ მოქალაქეთა სახელით, სადაც მას თქვენდა და ჩემდა გასაოცრად, ბევრი მაქებარიც ჰყავს, ჯერ ადრეა ლაპარაკი.

ძალიან გვიყვარს „იყო". იყო 21-ში, იყო 24-ში, იყო 37-ში; იყო სტალინი, იყო ხრუშჩოვი, იყო ბრეჟნევი, იყო უძრაობა, იყვნენ სხვები: იყო და იყო. სანამდე ვიარსებებთ „იყო"-ში; იყო და აღარ იყო? მართალია, ახლა ვაყალიბებთ სამართლებრივ სახელმწიფოს, მაგრამ ჯერ ხომ არ ჩამოგვიყალიბებია, არასამართლებრივ სახელმწიფოში ხომ უნდა გავძლოთ მანამდე!

ბევრი გარეშე და შინაური, გამოეხმაურა უკვე ე. ნაცვლიშვილის „წაგებულ თამაშს", სხვა წერილსაც, რომელზედაც თქვენ გადაკვრითა და მუქარით ლაპარაკობთ მხოლოდ. მუქარამ შედეგიც გამოიღო და მაინც დაგვიგროვდა სხვა „მასალებიც", რომელთაც აღარ გამოვაქვეყნებთ, რადგან საქმე, ყოველნაირი მნიშვნელობით, უფრო რთულადაა, ვიდრე გარედან მაყურებელ და სეირისმოყვარულთ მოეჩვენებათ. თემა იმ დროის ჭირ-ვარამ-სიკეთისა და ბოროტებისა ჟურნალისტიკის ფარგლებს სცილდება. აქ უკვე ალ. სოლჟენიცინის შემართების მწერალია საჭირო, რათა ობიექტურად, პირუთვნელად ასახოს, აჩვენოს მექანიზმი იმ დროის ტრიალისა, რომლის მოწმე და მონაწილენი ჩვენცა ვართ.

ბატონო პროკურორო, **„გზა, რომელიც (თურმე) მე ავირჩიე",** ჰეროსტრატეს მოქმედებას შეადარეთ: რა დავწვი, ან რისი დაწვა დავაპირე? საბჭოთა მართლმსაჯულების წმინდა ტაძრის ხომ არა?! მაგ საპატიო მისიამდე კარგაძალი მიკლია, საამისოდ ჯერ არაფერი გამიკეთებია.

ქვეყანაში, სადაც დღესდღეობით პოლიტიკური მდგომარეობაც — თუ კრიტიკული არა — დაძაბულია, ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოს, რაღა ლაპარაკი უნდა!

29.VII.1990

ის ფაქტი, რომ დღეს „ხაბეიშვილის საქმის" გარშემო კვლავ ატყდა აჟიოტაჟი, რაც უპირველესად, ჩვენს პრესაში გამოქვეყნებულმა პუბლიკაციებმა გამოიწვია, ერთი შეხედვით არ უნდა იყოს გასაკვირი. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ საქმე გვაქვს თუმცა ხანგასულ, მაგრამ მაინც სენსაციურ მასალასთან და, მეორეც, როგორც ჩანს, დაპატიმრებულ ყოფილ ცკ-ს მდივანს დღესაც ახვევია გავლენიანი მფარველი ძალები, რომელთა მიზანია საქმის ხელახლა წამოწევით ხელი შეუწყონ მსჯავრდებულის გამართლებას.

გასაკვირი ერთი რამაა — დღეს, როცა ამდენი საზრუნავი და სატკივარი დაგვიგროვდა, ამდენი საზოგადოებრივ-პოლიტიკური თუ სოციალურ-ეკონომიკური პრობლემა დგას, როცა კარსაა მომდგარი ქვეყნის დამოუკიდებლობა და უამრავი საშინაო თუ საგარეო საკითხი გვაქვს გადასაწყვეტი, — რატომ ხდება, რომ დანაშაულში მხილებულ, სახელგატეხილ ყოფილ პარტიულ ფუნქციონერს სოლიდური ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე სოლიდურ ადგილს ვუთმობთ და თუმცა ქვეტექსტურად, მაგრამ მაინც მის აშკარა საზოგადოებრივი რეაბილიტაციის მცდელობას ვუწყობთ ხელს? რა გვრჯის საამისოდ?

თავისთავად, დაპატიმრებული ადამიანის თანაგრძნობა ჰუმანური და ზნეობრივი საქციელია, მაგრამ, როდესაც მსჯავრდადებული და მისი დამცველები აშკარად მიუღებელი ხერხებით ცდილობენ განაჩენის გაუქმებასა და თავის გამართლებას, და ეს ყოველივე ანგარიშმიუცემლად ქვეყნდება, ცოტა არ იყოს, უხერხულია. უხერხულია საქმეში ჩახედული მკითხველის წინაშე, რომელმაც იცის სიმართლე. იცის, რომ ს. ხაბეიშვილი ამხილეს და დააპატიმრეს მექრთამეობისთვის, ახსოვს, რომ მან თავის დროზე აღიარა დანაშაული, შემდეგ კი გადათქვა. ისიც კარგად მოეხსენება, რომ მთელი 10 წელიწადი ს. ხაბეიშვილი მაღალი თანამდებობის პირის სავარძელში იყო მოკალათებული და, ნებსით თუ უნებლიედ, მონაწილე იყო ყველა იმ მოვლენისა, რაც ხდებოდა მაშინ საქართველოში. დასაკვეხნი კი ბევრი არაფერი აქვთ „უძრაობის" პერიოდის საბჭოთა საქართველოს მესვეურებს. შეიძლება ითქვას, რომ მათ ისედაც გაუბედურებული ქვეყანა სრულ ეკონომიკურ და მორალურ გაჩანაგებამდე მიიყვანეს. დღეს ამის შესახებ უკვე თავისუფლად იწერება. იწერება იმაზე, თუ როგორ კატასტროფულად დაშორდა სიტყვა და საქმე ერთმანეთს, როგორ იმძლავრა ნეგატიურმა მოვლენებმა, ტოტალიტარული მმართველობის ფორმებმა, ანტიეროვნულმა ტენდენციებმა, კორუფციამ და მექრთამეობამ, ერთი სიტყვით, როგორ გაეხვია რესპუბლიკა გლობალური სიყალბისა და უზნეობის საბურველში. დღეს ყველასათვის ცნობილია, რომ ის გარდამავალი დროშები, გმირობის მედლები და ორდენები ფიქცია, საკუთარი ხალხის წინაშე ჩადენილი სიყალბე იყო, ხოლო წლიური გეგმებისა და ამოცანების შესრულება — ქვეყნის უზენაეს ხელმძღვანელობასთან თავის გამოჩენის ქვენა სურვილი. ეს ყოველივე მშვენივრად მოეხსენება ჩვენს საზოგადოებას და ამიტომაც გაუჭირდება მას დაიჯეროს ს. ხაბეიშვილის უცოდველობა და უდანაშაულობა. არადა, „მამულში" გამოქვეყნებულ „საბოლოო სიტყვაში", ისევე როგორც სხვა წერილებსა და საჩივრებში, იგი ხომ დაბეჯითებით აცხადებს — აბსოლუტურად უდანაშაულო ვარო. თუმცა, საზოგადოებრივ-პოლიტიკური კლიმატის შეცვლასთან ერთად ს. ხაბეიშვილიც იცვლის შეხედულებებს, რაც კარგად გამოჩნდა იმავე „მამულში" დაბეჭდილ მის ინტერვიუში მწერალ ლეილა ბეროშვილთან .ეს ინტერვიუ მრავალმხრივაა საგულისხმო. უპირველესად, იმით, რომ აქ ს. ხაბეიშვილი გვევლინება საკუთარი წარსულის კრიტიკულ შემფასებლად, რომ იტყვიან, ქვას ქვაზე არ ტოვებს თავისი მოღვაწეობისაგან. ვნახოთ რამდენიმე ნიმუში: „ჩემი ბიოგრაფიის კაცი უცოდველი ვერ იქნება, არც მე ვარ უცოდველი..." „მე პასუხისმგებლობას ვერ გავექცევი იმის გამოც კი, რაც მე გადამხდა, მით უმეტეს იმისთვის, რაც სხვას გადახდა ჩემი მოღვაწეობის დროს..." „დღეს ბევრი რამ გახდა ნათელი, ბევრ რამეს აეხადა ფარდა. ვამტკიცო, არ ვიცოდი მიწები რომ იყიდებოდა საქართველოში? ვამტკიცო არ ვიცოდი ენგურის კაშხალი რამდენ უბედურებას მოუტანდა საქართველოს? ვამტკიცო, რომ „სასტიკი ბრძოლა" მექრთამეების წინააღმდეგ ეფექტიანად მესახებოდა? ეს კიდევ ერთი და გამოუსწორებელი დანაშაული იქნება. ვერ შემიგნია მაშინ ჩემი დანაშაული და ეგ არის"... „ჩვენ ის თაობა ვართ, რომელსაც ველარაფერი გაამართლებს. ძნელია ამის შემდეგ თვალი გაუსწორო მომავალ თაობას. ვწერ ამას და ვფიქრობ, რისთვის უნდა დავსჯილიყავი და რისთვის დავისაჯე. მაგრამ, ეტყობა, სასჯელს ღმერთი ადებს ადამიანს არა იმისათვის, რაც არ ჩაუდენია, არამედ იმისათვის, რაც ჩაიდინა..." „ღმერთო, რამდენი უდანაშაულო ადამიანის სისხლი გვაქვს მოცხებული? იმისათვის, რომ წინ ვერ აღვუდექით ბოროტებას. უზნეობაა არ დაეხმარო კაცს, იმიტომ, რომ თითქოს ვერ უშველი. ეს ამორალური ფანდია მხოლოდ..." „ხშირად მეკითხებიან: იცოდით, რომ ამდენი უსამართლობა ხდებოდა? ჩემის მხრივ არცოდნა დანაშაულია. ცოდნა და მაინც იმ სკამზე მობლაუჭება ორჯერ უფრო დიდი დანაშაულია..." „მე ძალიან კარგად ვარჩევდი ბოროტსა და კეთილს, და ეს ამძიმებს ჩემს ხვედრს..."

საკუთარი დანაშაულის აღიარებისა და მონანიების ეს სიტყვები უთუოდ თანაგრძნობის აღმძვრელი იქნებოდა, რომ არა ერთი გარემოება: ყოველივე ამის მიუხედავად, ს. ხაბეიშვილი ათასგვარი ხერხით, დაჟინებით ცდილობს თავისი საბრალდებო საქმის რევიზიას, რათა დაამტკიცოს... უდანაშაულობა. მართალია, მსჯავრდებული ამჯერად მხოლოდ თავის ზნეობრივ დანაშაულს აღიარებს, მაგრამ ხომ ცნობილია, რომ ზნეობრივი დანაშაულიდან სისხლის სამართლის დანაშაულამდე ერთი ნაბიჯია და ისინი ხშირად ერთმანეთს გულისხმობს კიდეც. ხოლო, რაც შეეხება ს. ხაბეიშვილის საბრალდებო საქმეს, ვფიქრობთ, ზედმეტი არ იქნება ამტყდარი აჟიოტაჟის ფონზე მკითხველმა კიდევ ერთხელ გაადევნოს თვალი, თუ როგორ და რა პირობებში მოხდა ს. ხაბეიშვილის დანაშაულში მხილება.

ჩვენს კორესპონდენტს ესაუბრება რესპუბლიკის პროკურორის მოადგილე **როლანდ გილიგაშვილი:**

# ჯერ დანაშაულის გაცნობიერებაა საჭირო...

— ბატონო როლანდ, ბოლო ხანს, როგორც რესპუბლიკურ, ისე საკავშირო პრესაში სისტემატურად ქვეყნდება პუბლიკაციები ე. წ. „ხაბეიშვილის საქმის" ირგვლივ, რამაც, ბუნებრივია, დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ჩვენს საზოგადოებაში. თქვენ, როგორც ამ საბრალდებო საქმის ერთ-ერთი მონაწილე, რას იტყოდით ამის შესახებ?

**— როგორც ამ საქმის უშუალო მონაწილე (ხაბეიშვილის პროცესზე დაკისრებული მქონდა პროკურორის ბრალდების მხარდამჭერის მოვალეობა), გამოვთქვამ ზოგიერთ მოსაზრებას, რაც ჩემი ღრმა რწმენით, ხელს შეუწყობს ჯანსაღი საზოგადოებრივი აზრის შექმნას.**

**1983 წელს სისხლის სამართლის საქმე აღიძრა პარტიის სიღნაღის რაიკომის პირველი მდივნის ნოდარ ბუჩუკურის მიმართ. მას ბრალად დაედო სამსახურებრივი დაუდევრობა, თანამდებობის ბოროტად გამოყენება და მექრთამეობა. ბუჩუკური მიეცა სისხლის სამართლის პასუხისგებაში და დაისაჯა კიდეც.**

**1984 წლის ივნისში მსჯავრდებული ბუჩუკური წერს განცხადებებს საქართველოს კპ ცკ სახელზე, სადაც ინანიებს ჩადენილ დანაშაულს და სოლიკო ხაბეიშვილს მოიხსენიებს, როგორც მექრთამეს.**

**გთხოვთ, მიაქციოთ ყურადღება: ბუჩუკურის წერილი დათარიღებულია 1984 წლის ივნისით. იგი პროკურატურაში შესამოწმებლად იგზავნება ზუსტად ცამეტი თვის შემდეგ — 1985 წლის ივლისში. ამ ფაქტს იმიტომ აღვნიშნავ საზგასმით, რომ სასამართლო პროცესზე დაცვის მხარემ (ბრალდებულს იცავდა მოსკოვის ოლქის ადვოკატი ვოლფი) ეს გარემოება (ბუჩუკურის განცხადებაში მოყვანილი ფაქტების შემოწმების გაჭიანურება) პროკურატურას გადააბრალა და მისი ტენდენციურობით ახსნა. კიდევ ვიმეორებ: ბუჩუკურის განცხადება ხაბეიშვილთან დაკავშირებით პროკურატურამ მიიღო დიდი დაგვიანებით. ისიც უნდა ითქვას, რომ მსგავსი ინფორმაცია პარტიულ თუ სამართალდამცავ ორგანოებში ადრეც შედიოდა, მაგრამ ამას არ ექცეოდა დიდი ყურადღება.**

**მკითხველს უთუოდ დაებადება კითხვა — პროკურატურა, რომლის უპირველესი მოვალეობა არის სოციალისტური კანონიერების დაცვაზე ზედამხედველობა, ყურადღებას არ აქცევს მექრთამე მოხელეს?!**

**მკითხველის აღშფოთება, რა თქმა უნდა, სამართლიანია, მაგრამ გავიხსენოთ სამართლებრივი თვალსაზრისით როგორ ქვეყანაში ვცხოვრობთ. ნამდვილად არ ვიქნები ორიგინალური, თუ ვიტყვი, რომ დღიდან არსებობისა, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს, მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე დიდ სახელმწიფოს, მართავდა არა კანონი, არამედ პიროვნება, ანუ დარღვეული იყო კანონის უზენაესობის პრინციპი. ასე იყო 1917 წლიდან ვიდრე ს. ხაბეიშვილის დაპატიმრებამდე და ასე იქნება, ვიდრე არ შეიქმნება სამართლებრივ საფუძველზე აღმოცენებული სახელმწიფო. პიროვნება მართავდა („მართვაში" ვგულისხმობ თვითნებურ, კანონების იგნორირებით მმართველობას) არა მარტო კავშირს, არამედ რესპუბლიკას, ოლქს, რაიონს, საწარმოს. ბუნებრივია, თავისი თანამდებობრივი მდგომარეობის გამო, ს. ხაბეიშვილიც იყო ის პიროვნება, რომელზეც პრაქტიკულად არ ვრცელდებოდა კანონები — იგი ყოვლისშემძლე იყო, ან თითქმის ყოვლისშემძლე და თავისი მოქმედებისათვის პასუხს აგებდა არა კანონის, ან ხალხის წინაშე, არამედ იერარქიული კიბის საფეხურზე მასზე მაღლა მდგომი სხვა მოხელის წინაშე.**

**ამგვარი ყოვლისშემძლეობის ილუზია ყველა დროში და ყველა ქვეყანაში იწვევდა პიროვნების გადაგვარება-დამახინჯებას, ყოველ შემთხვევაში, ალბათ, დიდი მამაცობა იყო საჭირო უარი გეთქვა უკანონო მათრობელა ძალაუფლებაზე.**

**საბრალდებო დასკვნის მიხედვით, ს. ხაბეიშვილს ბრალი ედებოდა დანაშულის ჩადენის 24 ეპიზოდში. საქმის სასამართლო ძიებისას, როგორც მოგახსენეთ, მე გამოვდით სახელმწიფო ბრალმდებელი და სწორედ ჩემი ინიციატივით მოვუხსენით მას მრავალი ბრალდება. სასამართლო სხდომაზე მე ავხსენი კიდეც ბრალდების მხარის პოზიცია.**

**შემდეგში, როგორც მოსალოდნელი იყო, დაცვითი მხარე შეეცადა ბრალდების აღნიშნული პოზიცია გამოეყენებინა წინასწარი და სასამართლო გამოძიების დისკრედიტაციის მიზნით: ხომ ხედავთ, ბრალდება იძულებულია უკან წაიღოს ბრალდებების ნაწილი. ეს იგი, დანარჩენი ეპიზოდებიც არის, არც მეტი, არც ნაკლები, შინაგან საქმეთა სამინისტროს და პროკურატურის გამონაგონი. მერე რა, რომ ამის დასამტკიცებლად შეიძლება საჭირო გახდეს ისეთი „არგუმენტების" მოშველიება, როგორიცაა „ზებუნებრივი ძალების მოქმედება", „ფსიქოლოგიური დაწოლა", „ჰალუცინაციები" და სხვ. სასამართლომ არ გაითვალისწინა განსასჯელის ეს მტკიცებულებანი და, ვფიქრობ, სამართლიანადაც, რადგან საქმეში არსებობდა სულ სხვა შინაარსისა და მტკიცებულებათა ძალის დოკუმენტები.**

— იქნებ ამ დოკუმენტებზე უფრო დეტალურად შევჩერებულიყავით, რადგან ს. ხაბეიშვილი თავის „საბოლოო სიტყვაშიც" და სხვადასხვა ინსტანციებში გაგზავნილ წერილებსა თუ საჩივრებში კატეგორიულად უარყოფს თავის დანაშაულს.

**— ამგვარი დოკუმენტი უამრავია. ამჯერად გაგაცნობთ რამდენიმეს:**

**„საქართველოს სსრ პროკურორს ამხ. ვ. რაზმაძეს, პატიმარ ს. ხაბეიშვილის განცხადება.**

**უკვე 25 დღეა ვიმყოფები პატიმრობაში. ვიყავი დაკითხული სხვადასხვა საკითხზე, მივეცი გამოძიებას ჩვენებები. ერთ-ერთი საკითხი, რომლის ირგვლივ ვიყავი დაკითხული და მქონდა დაპირისპირება ბატიაშვილთან, შეეხებოდა მის მოსკოვში ჩამოსვლას, საგეგმო კომიტეტში ზოგიერთი საჭირბოროტო საკითხის გადასაწყვეტად და ამ პერიოდში ჩემთან მოსვლას საერთო საცხოვრებელში და ჩემზე ღვინისა და კონიაკების გადმოცემას. მან ნამდვილად მოიტანა ჩემთან ღვინო და კონიაკები, როგორც მან მაშინ აღნიშნა, თავისი სახლიდან და დატოვა, რათა ყველას, ვინც მაშინ ვსწავლობდით აკადემიაში, გვესარგებლა. მე ამაზე დაწვრილებით მაქვს აღნიშნული ჩვენებაში და დაპირისპირების დროს. მაგრამ მე გვერდი ავუარე ერთ გარემოებას, რაზედაც ახლა მინდა მივცე გამოძიებას ჩვენება. საქმე ეხება იმას, რომ როცა გავხსენი მე კონიაკის შეკვრა, იქ აღმოჩნდა ფული. მე მასზე ხელი არ მიხლია, არც დამითვლია. სასწრაფოდ დავიწყე ბატიაშვილის ძებნა, რათა დამებრუნებინა ფული და საერთოდ, მეკითხა მისთვის აეხსნა რას ნიშნავდა ყოველივე ეს. მე მისი ადგილსამყოფელი არ ვიცოდი, წავედი წარმომადგენლობაში, ვერც იქ გავიგე, თუ სად იყო გაჩერებული. იმ დღეს მის კვალს ვერ მივაგენი, როცა სალამოს დავბრუნდი საერთო საცხოვრებელში, ოთახი დამხვდა დალაგებული, მაგრამ ფული კონიაკის შეკვრაში აღარ იყო... 3.I.1986 წ.".**

**ექვსი დღის შემდეგ, 1986 წლის 9 იანვარს, ს. ხაბეიშვილი ვ. რაზმაძის სახელზე გაგზავნილ განცხადებაში წერს:**

**„ერთი გარემოება (წინა განცხადებაში, — რ. გ.) სწორად არ გავაშუქე. კერძოდ ის, რომ მის (ბატიაშვილის — რ. გ.) მოტანილ შეკვრაში, რომელშიც იყო სასმელები, აღმოჩნდა ფული. მე იგი არ დამიბრუნებია ბატიაშვილისათვის, რამდენი იყო, არ დამითვლია. გარკვეული რაოდენობა დავხარჯე მოსკოვშივე საჭიროებისამებრ, ხოლო დანარჩენი, როგორც აღნიშნული იყო ჩემს წინა განმარტებაში, დაიკარგა ოთახიდან..."**

**კიდევ ერთი მცირე განცხადება, რომელიც აგრეთვე ს. ხაბეიშვილის ხელით არის დაწერილი, აგრეთვე ვ. რაზმაძისადმი მიმართული და შედგენილია 1986 წლის 28 იანვარს: „დღეს თქვენთან შეხვედრისას ყველაფერი ვერ გითხარით, არ იყო ამისი სიტუაცია. ახლა მაქვს სურვილი გაცნობოთ, რომ მე კობაიძესაგან, როგორც ჩემი ამხანაგისაგან, მას ახლო ვიცნობ კომკავშირიდან, ე. ი. მრავალი წლის ამხანაგობა გვაკავშირებს, რაღაც გარკვეული საჭიროებისათვის, მივიღე გარკვეული თანხა, რა თქმა უნდა, არა ქრთამის სახით (ხაზგასმა ჩემია—რ. გ.).**

**ასევე ბუჩუკურისაგან მაქვს მიღებული ფულადი თანხა, არა როგორც თანამშრომლისაგან და არა როგორც ქრთამი..."**

**გაგაცნობთ ერთ აბზაცს კიდევ ერთი დოკუმენტიდან, რომელიც დაწერილია, მოწმე ზ. მაისურაძის მიერ. იგი იმით არის საყურადღებო, რომ ეკუთვნის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოფილ ინსპექტორს ზ. მაისურაძეს, რომელიც ს. ხაბეიშვილის უშუალო ხელმძღვანელობით მუშაობდა და წინასწარ და სასამართლო გამოძიების დროს კატეგორიულად უარყოფდა მასთან რაიმე ანგარებით კავშირს:**

«Глубокоуважаемый Джумбер Ильич! Действительно, я был очень зависим от капризов характера т. Хабеишвили С. Вольно или невольно, чтобы не впасть в его немилость, приходилось угождать, подлаживаться. Это касается и Телавского райкома, его первого секретаря, которому приходилось бесконечно помогать — пропагандировать. Этим объясняется и то, что в 1983 году я получил анонимное письмо и списал его только на основе имеющихся у меня под рукой материалов и справки самого Кобаидзе, хотя в письме отмечалось о том, что Кобаидзе и Маргалиташвили получают взятки. Я этот факт не обострил, так как хорошо знал, что Кобаидзе пользовался большой поддержкой Хобеишвили С. Е. Я не хотел вызывать к себе его немилость и обижать».

**მაისურაძის ეს განცხადება საკმაოდ მჭევრმეტყველურად ახასიათებს ხაბეიშვილის და თვით მაისურაძის პიროვნებებს:**

**ამჯერად მკითხველს მხოლოდ რამდენიმე განცხადება გავაცანით. ვფიქრობ, ეს განცხადებებიც ნათლად მეტყველებს ხაბეიშვილის პიროვნებაზე და მის მიერ ჩადენილ დანაშაულზე, აგრეთვე იმ სიფთხილესა და თადარიგიანობაზე, რომელსაც იჩენს ბრალდებული ამ განცხადებების წერისას.**

— როგორც ცნობილია, გაჩხრეკისას ს. ხაბეიშვილს არ აღმოაჩნდა არანაირი ნივთმტკიცება — არც ფული, არც ძვირფასეულობა თუ სხვა რამ. როგორ ხსნით ამ ფაქტს?

**— ხაბეიშვილის მფარველებს მის გასამართლებელ ერთ-ერთ არგუმენტად მიაჩნიათ ის ფაქტი, რომ ჩხრეკისას გამოძიებამ ვერ აღმოაჩინა ვერც ფული და ვერც სხვა დამამტკიცებელი საბუთი. ბუნებრივია, მკითხველსაც დაებადება კითხვა, თუკი ასეთი მექრთამე იყო, რატომ ვერაფერი აღმოუჩინესო?**

**ამის ახსნა ძნელი არ არის. ხაბეიშვილი ბუჩუკურმა ცენტრალურ კომიტეტში გაგზავნილ განცხადებაში ამხილა ჯერ კიდევ 1984 წლის 19 ივნისს, რის შესახებაც მან შესანიშნავად იცოდა. და ეს მაშინ, ხაზს ვუსვამ, როცა ხაბეიშვილი ცკ-ს მოქმედი მდივანია, ანუ ყოვლისშემძლე. 1984 წლის მეორე ნახევრიდან ხაბეიშვილი რესპუბლიკის გაზიფიკაციის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეა. ამ დროსაც კარგად მოეხსენება, რომ მის მიმართ საგამომძიებლო ორგანოებ-**

ში არსებობს მამხილებელი მასალები. ისიც დადგენილია, რომ 1985 წლის შემოდგომაზე ხაბეიშვილი კომიტეტის თავმჯდომარის დაუკითხავად თბილისიდან გაიპარა და მთებზე გავლით ჩავიდა სხვა რესპუბლიკაში, რათა იქიდან მოსკოვში გამგზავრებულიყო. ამ დროს უკვე თავმოყრილი იყო სერიოზული მამხილებელი მასალები მისი მექრთამეობის შესახებ, რაც შესანიშნავად იცოდა. განა ასეთ ვითარებაში ხაბეიშვილი სახლში შეინახავდა ფულს ან ძვირფასეულობას? გულუბრყვილობა იქნებოდა, ასე რომ გვეფიქრა. როცა პირველად ამხილეს დანაშაულში, მაშინვე რომ შემოწმებულიყო მისი ბინა და არა წელიწადნახევრის შემდეგ, ვფიქრობ, ფულიც აღმოჩნდებოდა და ნივთმტკიცებებიც. მაგრამ, ვიმეორებ, მხილების დროს ის მაღალი რანგის თანამდებობის პირი იყო და ვერავინ ვერაფერს გაუბედავდა.

— გაზეთ „მამულში" გამოქვეყნებულ „საბოლოო სიტყვაში" ს. ხაბეიშვილი სიტყვასიტყვით წერს: „გილიგაშვილს არა აქვს უფლება, მონაწილეობა მიიღოს სასამართლო განხილვაში, რადგან იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა წინასწარი ძიების ეტაპზე წოწორიას საქმის გამოძიებაში..." „გილიგაშვილი უბირია-მაისურაძის ეპიზოდის ორგანიზაციის აქტიური მონაწილეცაა..." „ბრალმდებლის როლში მოგვევლინა ხაბეიშვილის საქმის ფალსიფიკაციის აქტიური მონაწილე. ასეთ სიტუაციაში ობიექტურობაზე ლაპარაკიც ზედმეტია". რას იტყოდით მსჯავრდებულის ამ არგუმენტაციაზე?

— საქმის გაყალბებაში ჩემი მონაწილეობა ისეთი აბსურდია, რომ მასზე მსჯელობა არ მიმაჩნია მიზანშეწონილად. ვიტყვი მხოლოდ, რომ ბრალდებულის საბოლოო სიტყვის ეს ვარიანტი არ შეესაბამება ორიგინალს. მეტიც, ამ ტექსტში წარმოდგენილია ისეთი არგუმენტები, რაც ხაბეიშვილს არ უთქვამს არა თუ საბოლოო სიტყვაში, არამედ, საერთოდ, სასამართლო პროცესის განმავლობაში, რომელიც 4 თვეზე მეტი ხნის განმავლობაში გრძელდებოდა.

რაც შეეხება ჩემი სასამართლო პროცესზე მონაწილეობის უფლებას, ამის გასარკვევად მოვიტან 57-ე მუხლს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსიდან:

„...პროკურორს, გამომძიებელს და [illegible]მკვლევ პირს არ შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ საქმის წარმოებაში, აგრეთვე იმ შემთხვევაში, როდესაც ისინი მონაწილეობდნენ ამ საქმეში მოსამართლედ. ᲗᲣ ᲘᲡᲘᲜᲘ ᲘᲚᲔᲑᲓᲜᲔᲜ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲐᲡ ᲒᲐᲛᲝᲫᲘᲔᲑᲘᲡ ᲐᲜ ᲛᲝᲙᲕᲚᲔᲕᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲐᲨᲘ, ᲐᲜ ᲛᲮᲐᲠᲡ ᲣᲭᲔᲠᲓᲜᲔᲜ ᲑᲠᲐᲚᲓᲔᲑᲐᲡ, ᲐᲜ ᲘᲫᲚᲔᲝᲓᲜᲔᲜ ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲔᲑᲡ ᲐᲛ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲖᲔ, ᲔᲡ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲔᲑᲐᲜᲘ ᲐᲠ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲚᲐᲓ ᲓᲐᲔᲓᲝᲡ ᲐᲪᲘᲚᲔᲑᲐᲡ".

დაცვის მხარე, რასაკვირველია, იცნობს ამ კანონს, მაგრამ მაინც ცდილობს სასამართლოს დისკრედიტაციას. დარწმუნებული ვარ, დაცვა აცილებას მისცემდა სასამართლოს ნებისმიერ შემადგენლობას, რათა საქმე როგორმე გადაეტანა იქ, „ზემოთ", სადაც ს. ხაბეიშვილის მფარველებს, რომლებითაც ასე გვაშინებდა იგი სასამართლოს მსვლელობისას, მეტი საშუალება ექნებოდათ, დაეცვათ „უდანაშაულო" კაცი.

რაც შეეხება იმ განცხადებას, თითქოს მე უბირია-მაისურაძის ეპიზოდის აქტიური მონაწილე ვიყო, აშკარად სიცრუეა. მე მხოლოდ ერთხელ ვესწრებოდი უბირია-მაისურაძის დაპირისპირებას, როგორც რესპუბლიკის პროკურატურის განყოფილების უფროსი. სხვა შე[illegible]დრა მაისურაძესთან არ მქონია. უფრო მეტიც. თავის დროზე რომ მაისურაძემ „თავისი გამზრდელი" ს. ხაბეიშვილი ამხილა, ამის შესახებ მხოლოდ სასამართლო პროცესზე მონაწილეობის დროს გავიგე. სიტყვამ მოიტანა და ისიც უნდა ითქვას, რომ ბოლოხანს ს. ხაბეიშვილი აცხადებს, მაისურაძე ჩემთან დაახლოებული პირი არ ყოფილაო. არადა, ეს ის მაისურაძეა, რომელსაც ს. ხაბეიშვილმა ჯერ კიდევ ქუთაისში მუშაობისას გაუხსნა „მწვანე გზა", ის მაისურაძეა, რომელიც ს. ხაბეიშვილმა ქუთაისიდან წამოსვლისთანავე გადმოიყვანა ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების ინსტრუქტორად, ამჟამად კი მექრთამეობისა და სხვა კანონსაწინააღმდეგო მოქმედებებისათვის 9 წლით არის მსჯავრდადებული და საპატიმრო ადგილებში იმყოფება.

ახლა მკითხველმა განსაჯოს, იყო თუ არა მაისურაძე ს. ხაბეიშვილთან დაახლოებული პირი.

— როგორ ახსნით იმ ფაქტს, რომ ს. ხაბეიშვილი თავიდან უარყოფდა თავის დანაშაულს, შემდეგ აღიარა; მისცა შესაბამისი ჩვენებები, საბოლოოდ კი მაინც უარყოფს წაყენებულ ბრალდებებს?

— დავუბრუნდეთ ს. ხაბეიშვილის ჩვენებებს. საქმეში ჩაუხედავი კაცისათვისაც კი აშკარად თვალშისაცემია, რომ იგი თავიდან უარყოფს უკლებლივ ყველა ბრალდებას. მოწმეთა ჩვენებებისა და დაპირისპირებების შემდეგ აღიარებს ბატიაშვილისაგან, კობაიძისაგან, ბუჩუკურისაგან, როგორც საბა ბრძანებდა, „საცოდავი ძღვენის" მიღებას, მაგრამ ამ ნაბიჯს ამართლებს „ოჯახური საჭიროების" ან „საერთო საქმის ინტერესებით", ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ მან ფული აიღო, არა როგორც ქრთამი, არამედ როგორც დახმარება. ჯმას იმიტომ აკეთებს, რომ მან კარგად იცოდა და იცის სიტყვა „ქრთამის" მნიშვნელობა.

გარდა ამისა, იგი თავის აღიარებით ჩვენებებს ხშირად უკავშირებს „ზებუნებრივ ძალებს". თუ მასზე მართლაც მოქმედებდა რაიმე, საფიქრებელია, რომ იგი აიძულებდა ს. ხაბეიშვილს ყველა ეპიზოდში ეცნო თავი დამნაშავედ. ახლა კი გამოდის, რომ ის „ზებუნებრივი ძალები" ზოგჯერ ძიების მხარეს დგას, ზოგჯერ კი მის წინააღმდეგ მოქმედებს. ისიც უნდა ითქვას, რომ ს. ხაბეიშვილის განცხადებები რესპუბლიკის პროკურატურის ხელმძღვანელობისადმი დაწერილია იმჟამად ბრალდებული ს. ხაბეიშვილის პირადი ინიციატივით, საკუთარი ხელით და ყოველგვარი ჩარევის გარეშე.

აღსანიშნავია, რომ მოსკოვიდან დაბრუნების შემდეგ ს. ხაბეიშვილმა შეცვალა დაცვის ვერსია მასზე ე. წ. „ზებუნებრივი ძალების" მოქმედების შესახებ და ბოლო განცხადებებში აღნიშნა, გამოძიებას აღიარებითი ჩვენებები იმიტომ მივეცი, რომ მეშინოდა ჩემი შვილისთვის რაიმე ვნება არ მიეყენებინათო. აქედანაც ჩანს, რომ მთლად უკვალოდ არ ჩაუვლია ხაბეიშვილის მოსკოვში ჩაყვანას...

— ბოლო ხანს კიდევ ერთი პუბლიკაცია გამოქვეყნდა „ხაბეიშვილის საქმის" შესახებ. ვგულისხმობთ ჟურნალ „განთიადის" 1990 წლის მე-5 ნომერში გამოქვეყნებულ მასალებს, რის შესახებაც უკვე გამოხატა თავისი დამოკიდებულება ბატონმა ვახტანგ რაზმაძემ. თქვენ ხომ არაფერს დაამატებდით?

— მიუხედავად იმისა, რომ რესპუბლიკის პროკურორმა საკმაოდ მკვეთრი და შთამბეჭდავი პასუხი გასცა პუბლიკატორებს, სათქმელი მაინც ბევრი დარჩა, მაგრამ, ვატყობ, საუბარი გაგვიგრძელდა და ამიტომ მხოლოდ რამდენიმე მომენტზე შევჩერდები.

უპირველესად, მკითხველის ყურადღებას შევაჩერებ იმაზე, რომ ადვოკატი ვოლფი აცხადებს: „სისხლის სამართლის საქმეზე მუშაობისას მოპოვებულია ახალი მასალები, რომლებიც მანამდე განხილვის საგანი არ ყოფილა. ეს მასალები გვარწმუნებს, რომ 1985 წელს საქართველოს რესპუბლიკის ხელმძღვანელობის წინააღმდეგ მიმდინარეობდა მუშაობა მათი კომპრომეტაციის და შიგაპოლიტიკური საქმიანობიდან ჩამოსაცილებლად. ამ მასალების თანახმად, კომპრომეტაციის ობიექტები იყვნენ ე. ა. შევარდნაძე და ს. ე. ხაბეიშვილი..."

შემდეგ: „უკვე სასამართლო პროცესის მსვლელობისას, 1986 წლის დეკემბერში ეცადნენ ს. ხაბეიშვილის მეუღლეს ეთქვა, რომ მ. ს. გორბაჩოვსა და ვ. ი. ვოროტნიკოვს ქრთამად 150 ათას მანეთს აძლევდა ს. ხაბეიშვილის მდგომარეობის შესაცვლელად".

რა შეიძლება ითქვას ამის შესახებ? მას შემდეგ, რაც ადვოკატმა ვოლფმა და ს. ხაბეიშვილის სხვა მფარველებმა კანონიერი გზებით ვერ შეძლეს კანონიერი განაჩენის გაუქმება, მიმართეს მსჯავრდადებულის დახმარების უკანონო და უსინდისო ხერხს — ინტრიგას.

მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ასეთი მასალები საერთოდ არ არსებობს და არც შეიძლებოდა არსებულიყო, რადგან მსგავსი რამ ფიქრადაც კი არავის გაუვლია. თუკი ეს განცხადება პროვოკაცია არ არის, რატომ თავის დროზე არ აცნობეს „დამცველებმა" ამის შესახებ წერილობით, დასაბუთებით საზოგადოებას, სასამართლოს ან თუნდაც იმ საკავშირო სამართალდამცავ ორგანოებს, სადაც წელიწადზე მეტია დევს ს. ხაბეიშვილის ბრალდების საქმე?

როდის და რა ვითარებაში შეითხზა ეს ვერსია? მივყვეთ მოვლენებს. 1989 წლის აპრილიდან, ს. ხაბეიშვილის ბრალდების საქმის მოსკოვში წაღებისთანავე ამ უკანასკნელს ციხეში რამდენჯერმე შეხვდა ადვოკატი ვოლფი. ცოტა ხანში ს. ხაბეიშვილი გადაჰყავთ რუსთავის კოლონიაში. ამის შემდეგ პატიმარი აშკარად კანონის დარღვევით რამდენჯერმე გაურკვეველი მიზნებით კოლონიიდან გაიყვანეს საკავშირო უშიშროების კომიტეტის თანამშრომლებმა. დაბოლოს, როგორც თქვენთვის ცნობილია, ს. ხაბეიშვილი ყოველგვარი საფუძვლის გარეშე წაიყვანეს მოსკოვში, სადაც სისტემატურად ხვდებოდა ადვოკატ ვოლფსა და სხვა გაურკვეველ პირებს. ისმება კითხვა, რისთვის გაკეთდა ამდენი უკანონობა? ვფიქრობ, ალბათ იმიტომ, რომ დაგეგმილიყო და შემუშავებულიყო ს. ხაბეიშვილის დახმარების ახალი ვერსია. კანონიერ განაჩენს რომ ვერაფერი მოუხერხეს, საჭიროდ ჩათვალეს საკავშირო ხელმძღვანელობის ყურადღების მიპყრობა და საქმის სელახალი რევიზია. როგორ უნდა განეხორციელებინათ ეს? უნდა დაერწმუნებინათ უმაღლესი თანამდებობის პირები, რომ რესპუბლიკის საგამომძიებლო ორგანოები პროვოკაციას უწყობდნენ ზემოაღნიშნულ ხელმძღვანელებს. აი, ასეთი ჩანაფიქრი აქვთ ს. ხაბეიშვილის მფარველებს.

კატეგორიულად ვაცხადებ, რომ ეს ყველაფერი არის სიცრუე და უსინდისო გამონაგონი. ეტყობა, ზედმეტად არიან საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებული ს. ხაბეიშვილის მფარველები, როცა ამ ულირსი ფანდის იმედი აქვთ და ამგვარ კონტექსტებში მოიხსენიებენ მაღალი თანამდებობის პირებს.

ბოლოს და ბოლოს, რატომ აქამდე არ განაცხადა, ან დღეს არ აცხადებს ს. ხაბეიშვილის მეუღლე, ვინ შეხთავაზა ასეთი წინადადება? მაგრამ რას განაცხადებდა, რაც არ არსებობდა.

ახლა ვნახოთ კიდევ ერთი პროვოკაციული ფანდი. „განთიადში" მოტანილია ს. ხაბეიშვილის ციტატა: „გამოძიების ინტერესი მოსკოვით არ ამოიწურებოდა. მეორე ეტაპზე ჩემგან ითხოვდნენ ინფორმაციას ცკ-ს ბიუროს წევრებზე — ჯერ პითანავას, მგელაძესა და ჩხეიძეზე, შემდეგ კი პატიაშვილზეც ბუჩუკურის ეპიზოდთან დაკავშირებით..."

უნდა აღვნიშნო, რომ ს. ხაბეიშვილს მსგავსი რამ არ განუცხადებია არც გამოძიების პროცესში, არც სასამართლოზე, სადაც მონაწილეობას ვიღებდი, და არც შემდეგ მთელი ოთხი წლის განმავლობაში. მაშ რატომ დასჭირდა ს. ხაბეიშვილს ასე მოგვიანებით ამგვარი სიყალბის შეთხზვა? უნდა ვიფიქროთ, რომ ამით სურს საზოგადოების და ზემოთნახსენები თანამდებობის პირთა ყურადღების მიპყრობა და იმის ჩვენება, რომ გამოძიებას მხოლოდ მისი პიროვნება კი არ აინტერესებდა, არამედ სხვების მიმართაც ეწეოდა პროვოკაციებს. მაგრამ ისმება კითხვა, რატომ დაინტერესდებოდა გამოძიება ზემოთნახსენები პიროვნებებით, მათ ხომ ს. ხაბეიშვილის საქმესთან არავითარი კავშირი არ ჰქონიათ?!

ფაქტია, რომ ეს ვერსიაც ს. ხაბეიშვილის მოსკოვიდან დაბრუნების შემდეგ შეიქმნა.

ერთგან ს. ხაბეიშვილი წერს: „გამოძიება ზეიმობდა. შეძლეს ჩემი მართვა. გამომძიებელი თხზავდა ჩვენებებს — მე ხელს ვაწერდი..." ხოლო სსრკ გენერალურ პროკურორთან შეხვედრისას „უარყავი გამომძიებლის მიერ შეთითხნილი ორი „ფაქტი", გამომძიებელთან მოლაპარაკებით დავადასტურე ერთ-ერთი აბსურდული აღიარებათაგანი".

კი მაგრამ, თუკი მას გამომძიებელი მართავდა და თხზავდა ჩვენებებს, ხოლო თვითონ ხელს აწერდა, რატომ ყველა ეპიზოდი არ აღიარა? ან ის ორი ფაქტი რატომ უარყო, ან ერთ-ერთი რატომ დაადასტურა? თუკი ს. ხაბეიშვილი ასე უყოყმანოდ ასრულებდა გამომძიებლის დავალებას, რატომ არ დაასმინა რომელიმე ის პასუხისმგებელი მუშაკი, ვის დასახელებასაც თურმე ასე დაჟინებით ითხოვდა გამოძიება? ან რატომ არ განაცხადა ამის შესახებ გამოძიების პროცესში, სასამართლოზე ან საკავშირო პროკურატურის ხელმძღვანელებთან შეხვედრისას? იგი ხომ ყოველთვის აცხადებდა, რომ გამოძიება მიმდინარეობს ობიექტურად და მის მიმართ რაიმე პრეტენზია არა მაქვსო.

ს. ხაბეიშვილი „განთიადის" ფურცლებზე წერს: „რესპუბლიკის პროკურორმა რაზმაძემ საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობას უთხრა, რომ ხაბეიშვილმა 110 000 მანეთი აიღო ქრთამად პარტიის მახარაძის რაიკომის პირველ მდივან თენეიშვილისაგან.

სასამართლოზე გამოვლინდა, რომ თენეიშვილის განცხადება დაიწერა ერთი კვირის შემდეგ, რაც ვ. რაზმაძემ ყრილობას აცნო ჩემი „დაცემის" შესახებ"

ამის შესახებ მე სასამართლო პროცესზეც ვთქვი და ახლაც გავიმეორებ: მსჯავრდადებულის განცხადება, თითქოს რესპუბლიკის პროკურორმა ერთი კვირით ადრე აუწყა ყრილობას. მის მიერ ო. თენეიშვილისაგან ქრთამის აღების ფაქტი, ვიდრე ო. თენეიშვილმა დაწერა ამის შესახებ. პროვოკაციისათვის გამიზნული მორიგი ფანდია. ო. თენეიშვილმა სამსჯავრო სხდომაზე განმარტა, რომ დაპატიმრების პირველი დღიდანვე გამოძიების წინაშე იყო გულწრფელი და ყველაფერი აღიარა თავის და ს. ხაბეიშვილის დანაშაულებრივ საქმიანობაზე. 1986 წლის 14 იანვრის ჩვენებაში კი აღნიშნა, რომ განზრახული ჰქონდა ეცნობებინა რესპუბლიკის პროკურორისათვის ს. ხაბეიშვილისათვის 110 ათასი მანეთის გადაცემის შესახებ. ამასთან, განმარტა, რომ განცხადების დაწერამდე სხვა პირებთან, გარდა გამომძიებლისა, ამ საკითხზე საუბარი არ ჰქონია და განცხადების შინაარსი მხოლოდ მისგან გამომდინარეობდა.

როგორც ცნობილია, საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობას განცხადებით მიმართეს ო. თენეიშვილისა და ს. ხაბეიშვილის დედებმა. ისინი ეჭვქვეშ აყენებდნენ შვილების დაპატიმრების კანონიერებას. რესპუბლიკის პროკურორმა ვ. რაზმაძემ 23 იანვარს ყრილობაზე ამ საკითხს მისცა განმარტება, სადაც მოახდინა ფაქტების კონსტატაცია. კერძოდ, აღნიშნა, რომ ო. თენეიშვილმა 1980 წლის 14 იანვარს დაკითხვაში თავი დამნაშავედ ცნო და აღნიშნა, რომ 110 ათასი მანეთი ჰქონდა გადაცემული ს. ხაბეიშვილისთვის. ამავე პერიოდში წინასწარი გამოძიებისას წარდგენილ ბრალდებაში ს. ხაბეიშვილი აღიარებდა ქრთამის აღებას ბუჩუკურის, კობაიძისა და ბატიაშვილისაგან. ყრილობაზე გამოსვლამდე რესპუბლიკის პროკურორი პირადად შეხვდა ს. ხაბეიშვილს, რომელსაც გამოძიების მიმდინარეობის გამო რაიმე პრეტენზია არ განუცხადებია, პირიქით. განმარტა, რომ წინასწარი გამოძიება მის მიმართ მიმდინარეობდა სავსებით ობიექტურად. სხვათაშორის, იგივე განაცხადა გენერალურ პროკურორთან შეხვედრის დროსაც.

ამრიგად, როგორც ჩანს, რესპუბლიკის პროკურორმა თავისი განცხადება გააკეთა ყრილობის სახელზე გაგზავნილი დაპატიმრებულთა დედების განცხადების საფუძველზე.

ხოლო რაც შეეხება ლ. გლოველისა და მ. დორეულის „წერილებს", რომელთაც ამდენი ადგილი დაუთმეს პუბლიკაციის ავტორებმა, ორიოდე სიტყვით მოგახსენებთ: ერთიცა და მეორეც სხვადასხვა სახის დანაშაულისათვის — მექრთამეობისათვის, თაღლითობისათვის, სიყალბეებისათვის და ა. შ. გაასამართლეს და მიუსაჯეს თავისუფლების აღკვეთა 11 წლით. რომ იტყვიან, ასეთი დამცველები ნუ გამოელიოს ს. ხაბეიშვილს.

კიდევ ბევრი სიყალბის წარმოჩენა შეიძლებოდა ამ და სხვა პუბლიკაციებიდან, მაგრამ, ვფიქრობ, ამჯერად საკმარისია.

თუმცა, საჭიროდ მიმაჩნია ახლო მომავალში პრესის ფურცლებზე ფართოდ გავაშუქო ის მტკიცებულებანი და ჩვენს მიერ მოპოვებული მასალები, რომლებიც უფრო ნათელ წარმოდგენას შეუქმნის მკითხველს ს. ხაბეიშვილის პიროვნების და მისი დანაშაულებრივი საქმიანობის შესახებ.

— როგორ შეაფასებდით „ხაბეიშვილის ფენომენს" ზნეობრივი თვალსაზრისით? თქვენ, როგორც პროკურორი და მოქალაქე, როგორ უყურებთ ჩვენი პრესისა და გარკვეული წრეების მცდელობას, მოახდინონ ს. ხაბეიშვილის ნაადრევი რეაბილიტაცია?

— ს. ხაბეიშვილის ფენომენმა, თუ შეიძლება ითქვას, „ხაბეიშვილობამ", უდიდესი და დაუძლეველი ზიანი მიაყენა საზოგადოდ ადამიანების ცნობიერებას. სამწუხაროდ, იგი არ არის ერთადერთი მექრთამე პარტიული მოღვაწე — მისი მსგავსნი, ჩვენდა სავალალოდ, ბევრია. საზოგადოება თითქოს შეეჩვია, შეეგუა ამას. რაც მთავარია, თვითონ სისხლის სამართლის დამნაშავენი არ გრძნობენ საკუთარი დანაშაულის სიმძიმეს. ბოლოსდაბოლოს, მუდამ დგება განწმენდის ჟამი — საზოგადოებამ ოდესღაც უარი უნდა თქვას ყალბ კერპებსა და ავტორიტეტებზე. ეს არის მტკივნეული პროცესი, მაგრამ აუცილებელი და გარდაუვალი. ჩვენს საზოგადოებაში დღეს მიმდინარე პროცესები მაფიქრებინებს, რომ ასეთი ჟამი დადგა. ხაბეიშვილის მხილება და გასამართლებაც არის ნიშანი ახალი დროის დადგომისა. ამიტომაც იგი განსაკუთრებით მტკივნეულია. ხოლო რაც მალე მოვიშუშებთ ტკივილებს, მით უკეთესია მართლმსაჯულებისათვისაც და, საერთოდ, საზოგადოებისთვისაც.

აქვე უნდა ითქვას, შეიმჩნევა ტენდენცია, რომ ს. ხაბეიშვილი გამოაცხადონ პოლიტიკური ინტრიგების მსხვერპლად, თითქოსდა მისი დამარცხება მეორე, დაპირისპირებული პოლიტიკური მხარის გამარჯვებას მოჰყვა. ერთი წუთით დავუშვათ, რომ ეს მართლაც ასეა, მაგრამ რა ვუყოთ მისი მექრთამეობის ფაქტს? ჩადენილი სისხლის სამართლის დანაშაულისთვის არ მოვკითხოთ პასუხი?

(დასასრული მე-12 გვ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

(დასასრული)

საზოგადოების ერთ ნაწილში გავრცელებულია აზრი ხაბეიშვილის უდანაშაულობის შესახებ. შემიძლია სრული პასუხისმგებლობით განვაცხადო, რომ ეს არის მცდარი აზრი. ადამიანებს, საზოგადოებას სჭირდება სამართლებრივი სახელმწიფო, პრინციპული, შეუვალი, მოუსყიდველი მართლმსაჯულება, მმართველობის ისეთი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს კანონის უზენაესობას და კანონიერების განუხრელად დაცვას. ისიც ნათელია, რომ დიადი მიზნის მისაღწევად საჭირო გახდება ფასეულობათა რადიკალური გადაფასება და როგორც აუცილებელი შედეგი — ბევრი ძველი საქმის გადასინჯვაც. მაგრამ ამ მიზნით „ხაბეიშვილის საქმე" ნამდვილად არ გამოდგება, რადგან სოლიკო ხაბეიშვილი დაისაჯა სრულიად სამართლიანად.

ს. ხაბეიშვილის ისტორია არის კლასიკური ნიმუში იმისა, სადამდე შეიძლება მიიყვანოს ადამიანი კანონებისადმი უპატივცემულობამ, გაუმართლებელმა თვითდაჯერებულობამ. მის პიროვნულ ტრაგედიაში (როგორც მოქალაქემ, მე არ შემიძლია არ გავიზიარო ს. ხაბეიშვილის ტრაგედია) ცხადად აისახა მთელი ჩვენი მმართველი სისტემის მანკიერება. იგი არის მსხვერპლი, მაგრამ, ამავე დროს იგი არის დამნაშავე და პასუხი უნდა აგოს.

სხვათა შორის, თავის ჩვენებებში ს. ხაბეიშვილი ხშირად უსვამს ხაზს საკუთარ დამსახურებას, საკუთარ პიროვნებას, იმეორებს, რომ ძღვნად მირთმეულ თანხებს იყენებდა საზოგადოებრივი ინტერესებისათვის და ა. შ. სწორედ ასეთი ცინიკური განცხადებანი მაიძულებს ვთქვა, რომ ხაბეიშვილისათვის უცხო ცნებებია კანონი და კანონიერება. იგი მხოლოდ ერთ კანონს სცნობდა — ძალმომრეობისას. იგი დიდხანს მარჯვედ და მოხდენილად ატარებდა პრინციპული პარტიული და სახელმწიფო მოღვაწის ნიღაბს. სასამართლო პროცესზე საკუთარი დამსახურების ხაზგასასმელად მთავრობისაგან მიღებული ჯილდოები და საკუთარ 50 წლის იუბილეზე საქართველოს კომპარტიის ცკ ბიუროს წევრების მიერ მირთმეული ადრესის ტექსტიც გაიხსენა.

სამწუხაროდ, ჩვენს სინამდვილეში ჯილდოები და ადრესები შეიძლება სულაც არ გამოხატავდეს პიროვნების დამსახურებას ერის და სამშობლოს წინაშე. დღესაც მეტისმეტად ცხოველია ხსოვნა იმ კაცისა, რომელსაც, ალბათ, მსოფლიოში ყველაზე მეტი ორდენი და მილოცვა ჰქონდა მიღებული, მაგრამ მიუხედავად ამისა, გაჩანაგების პირამდე მიიყვანა ქვეყანა. რაც შეეხება ხაბეიშვილის ადრესზე ხელისმომწერთ, მათი დადანაშაულებაც არ იქნება მიზანშეწონილი, რადგან ისინი მხოლოდ ხარკს იხდიდნენ დროის, არსებული პოლიტიკური სიტუაციის წინაშე.

კიდევ ერთხელ დავუბრუნდები „მამულში" დაბეჭდილი „სიტყვის" სარედაქციო ანოტაციაში ნათქვამს: „რა უწყინარად გამოიყურება ს. ხაბეიშვილის დანაშაული დღეს იმათ ფონზე, ვინც კრიტიკულ მომენტში უღალატა საკუთარ ხალხს, გაიმეტა თანამემამულენი, განსაკუთრებით ახალგაზრდობა, ხელში შეატოვა იგი იმპერიის დამსჯელ მანქანას. განაჩენმა, რომელიც მაშინ ს. ხაბეიშვილს გადაუწყვიტეს, იხსნა იგი უფრო დიდი ცოდვისაგან, აარიდა მას 9 აპრილის ტრაგედიის ერთ-ერთი რეჟისორის მარად სამარცხვინო როლი და ტვირთი. ახლა აზრი არა აქვს მარჩიელობას, როგორ მოიქცეოდა იგი 9 აპრილს... ერთი რამ ფაქტია — იმ სისხლიანი ღამის მონაწილე იგი ვერასოდეს დაწერდა ლექსებს... მონანიება, განწმენდა, სრულქმნა, სამშობლოს სამსახურში ჩადგომა არასოდეს არაა გვიან".

მართალს ბრძანებს ამ სიტყვების ავტორი — ს. ხაბეიშვილი იქნებ მართლაც იხსნა განაჩენმა „უფრო დიდი ცოდვისაგან". სამარჩიელო კი, ვგონებ, არაფერია, რადგან იგი იყო თავისი დროის ნამდვილი შვილი (მედროვე) და 9 აპრილის განთიადზე იდგებოდა სწორედ იქ, სადაც მაშინ იდგა საქართველოს მაშინდელი ხელმძღვანელობა. სხვაგან დგომას იგი არც ისურვებდა და ვერც გაბედავდა.

რაც შეეხება ს. ხაბეიშვილის პოეტობას, თუ არ ვცდები, არცთუ ურიგო ლექსებს წერდა თავისი გულქვაობით და სადისტური ბუნებით ცნობილი იმპერატორი ნერონი.

მონანიება და სამშობლოს სამსახურში ჩადგომა კი მართლაც არასოდეს არ არის გვიან. მხოლოდ ჯერ საჭიროა საკუთარი დანაშაულის გაცნობიერება. მონანიებასა და განწმენდაზე მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ფიქრი. ღმერთმა ინებოს, სოლიკო ხაბეიშვილი დაადგეს ამ გზას. ქართველი ერი გულმოწყალეა, იგი უთუოდ შეუნდობს თავის უძლებ და მონანიე შვილს.



გზა. ილარიონ გაეჯის ფოტო.

## პოეტის ერთი ლექსი

### მედეა კახიძე

# უკუნითი — უკუნისამდე!

ნეტავ ვინ გვისჯის
ამ მძიმე სასჯელს...
თუ მოვა ის დრო,
შინ მშვიდად დავჯდეთ?!
ფუძე-საძირკველს
ვინ აცლის ამ ჭერს,
ცრუა თუ მავნე —
ყველა ფეხს გვაჭერს.
ჩვენზე დაბერტყა
ყველამ ავი ზნე,
ხიზანი ჩვენი
გვიღებს სამიზნედ.
ხელს აძლევს ყველას
ჩვენი სიმცირე,
ცილისმწამებლებს
ველარ ვიცილებთ!
სურთ მიიტაცონ
ტყე და წიალი,
ჩასახლებულან
სადაც წინადღით.
სანაცვლოდ მისად —
გვიოხრან მადლობა,
ავლენენ მტრობას
და სულმდაბლობას.
მტერი ჩემს მამულს —
აკრძალულ ზონას,
კვლავ საკუთარი
არშინით ზომავს;
რა გინდ უხამსი
ჭორი დაროშონ,
ვერ გავასხვისებთ
ქართლის სადროშოს.
ჩვენს მამა-პაპათ
ღმერთებმა უძღვნეს
სამოთხე ესე
და არც ერთ უძლებს
არ მივცემთ ნებას
მოსრან თესლ-კვირტი,
რის გადარჩენას
მამებს შევპირდით.
ქართულ მიწაზე
ხელის ცეცებას
მოეშვას ყველა,
ნურვინ ეცდება —
წაგვგლიჯოს ჩვენი
მიწა უხამსად,
კვლავ დაახვიოს
„მუმლი მუხასა".
რაკი ვპატიობთ
და კვლავ ვთავმდაბლობთ,
არ ნიშნავს იმას, —
დავთმობთ
მთა-დაბლობს,
სადაც დგას პაპის
ხე და ტაძარი,
სადაც არცროდის
რეკდა სხვა ზარი.
ვინც ჩვენს მოყვრობას
მტრობით აქარწყლებს,
ურცხვად იჩემებს
ქართლის მთაქარწყლებს,
ეპოტინება სხვის მზეს,
სხვის ჯებირს,
სიკეთის ნაცვლად
რადგან ვისჯებით.
იცოდეს ყველამ
დე, კიდით-კიდით,
რომ საქართველოს
ნამდვილი მკვიდრი
ქართველი იყო
აწ და მარადის
და ღმერთის ნებით
შვილზე გადადის.
საქართველოში
ცხოვრება ქართველს
უხდება, ვით ცა
არწივის მართვეს,
ის, ვინც ვარწყულეთ;
ის, ვინც ვაპურეთ,
ვინც ძმად მივიღეთ —
აბჯარს ისხამდეს?
წყეულიმც იყოს;
წყეულიმც იყოს —
უკუნითი უკუნისამდე!

# ფონდი — „ბანკირი"

სულ რაღაც ერთი წლის წინათ, 1989 წლის 15 თებერვალს შეიქმნა საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ბანკის საქართველოს რესპუბლიკური ბანკი (კავშირის მასშტაბით მეოთხე რესპუბლიკაშია ასეთი ბანკი). ახლახან კი მის თანამშრომელთა და ბანკის თავმჯდომარის, საზოგადოება „თბილისელის" გამგეობის წევრის, ბ-ნ მიხილ ლისაჩოვის მცდელობით დაარსდა ფონდი „ბანკირი", რომელიც ხელს შეუწყობს საქართველოს დამოუკიდებელი სავალუტო-საკრედიტო სისტემის შექმნას. „ბანკირს" საკმაოდ ახალგაზრდა, მაგრამ უკვე დიდი გამოცდილების მქონე რომან კორტავა უძღვება, — უკვე გადაიდგა პირველი ნაბიჯები: ფონდმა ორი კომერციული ბანკი — „თბილისის კომერციული ბანკი" და კომერციული ბანკი „ქართლი" დააარსა.

ბუნებრივია, ჩნდება რამდენიმე შეკითხვა: 1. როგორ შეიქმნა „ბანკირი", 2. რაკი ფონდი „ბანკირი" ხელს შეუწყობს დამოუკიდებელი სავალუტო-საკრედიტო სისტემის შექმნას — რა იგულისხმება სავალუტო-საკრედიტო სისტემის დამოუკიდებლობაში; 3. ძირითადად საქველმოქმედო ორგანიზაციაა ეს ფონდი?

— პირველი და ალბათ ყველაზე მთავარი ის არის, რომ აქ არის ხალხი, რომელთა უმრავლესობას აერთიანებს ერთი აზრი წინსვლისა. მათ აქვთ საამისო საფუძველი — კარგი ეკონომიკური განათლება, რაც ცოტას როდი ნიშნავს.

მეორე, რამაც ხელი შეუწყო ამ ფონდის შექმნას, ეს სწორედ ის საერთო აზრია, რომ ადრე თუ გვიან რესპუბლიკამ უნდა იცხოვროს საკუთრების მრავალ ფორმაზე დაფუძნებულ რეგულირებადი საბაზრო ეკონომიკის პირობებში. ეს ერთადერთი გზაა, რათა დავძლიოთ ისედაც თითქმის უიმედო ჩამორჩენა. თანამედროვე ურთიერთდამოკიდებულ სამყაროში შეუძლებელია ეკონომიკური იზოლაცია. მსოფლიო სამეურნეო კავშირში აუცილებლად ჩავერთვებით, მაგრამ საკითხავია, რა სახით — მომხმარებლისა თუ თანასწორუფლებიანი პარტნიორის უფლებით. პირველ შემთხვევაში განწირული ვართ სიღარიბისთვის, სრული დამოკიდებულებისა და სამუდამო ჩამორჩენისთვის.

მესამე კი ის გახლავთ, რომ მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრაცია და მეურნეობის საბაზრო პირობებზე გადასვლა შეუძლებელია სათანადო სავალუტო-საკრედიტო სისტემის შექმნისა და განვითარების გარეშე, ბანკების ქსელისა და სხვა საფინანსო ინსტიტუტების განვითარების, საფინანსო და მათ შორის სავალუტო რესურსების გარეშე. ამავე დროს დიდი მნიშვნელობა აქვს მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებას ამ სისტემაში სამუშაოდ.

სავალუტო-საკრედიტო სისტემის დამოუკიდებლობა პირველ რიგში გულისხმობს ადმინისტრაციულ-ბიუროკრატიული აპარატისაგან გათავისუფლებას. სისტემის განვითარება უნდა განისაზღვროს საბაზრო პირობებით, სწორედ ასეთი თავისუფლება იქნება საფუძველი ყველა სხვა, მათ შორის, პოლიტიკური თავისუფლებისა. რა თქმა უნდა, პოლიტიკა და ეკონომიკა მჭიდროდაა გადალახლართული ერთმანეთში, თუმცა სწორედ ეკონომიკის მდგომარეობა უბიძგებს ხშირად პოლიტიკურ სტრუქტურებს ცვლილებებისკენ. პოლიტიკის ამოცანა ის არის, რომ აღმოფხვრას წინააღმდეგობები საზოგადოების უფრო ჰარმონიული და სწრაფი ეკონომიკური განვითარების გზაზე. საქმე ის არის, რომ პოლიტიკური დამოუკიდებლობის დროსაც ეკონომიკა წინანდებურად შეიძლება დარჩეს დამოკიდებული ადმინისტრაციულ-ბიუროკრატიულ სტრუქტურებზე. ამ შემთხვევაშიც პოლიტიკური დამოუკიდებლობა აუცილებელ და სასურველ თავისუფლებას ვერ მოგვიტანს და ვერც ეკონომიკის განვითარებასა და ხალხის კეთილდღეობას შეუწყობს ხელს.

ფონდი, თუ შეიძლება ასე ითქვას, საქველმოქმედო-კომერციული ორგანიზაციაა. ეს იმას ნიშნავს, რომ შეგვიძლია დავაფინანსოთ რომელიმე ღონისძიება, როგორც აუნაზღაურებლად — გაცემული სახსრების დაუბრუნებლად, ისე კრედიტით.

ფონდი საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა მონაწილეა. იგი ამყარებს ურთიერთობას როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ არსებულ ბანკებთან, ფირმებთან...

ფონდი ასრულებს საბანკო მომსახურების თითქმის მთელ კომპლექსს.

ფონდის საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა აგრეთვე სპეციალისტების მომზადება ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ; საბანკო სისტემის უახლოესი ტექნიკითა და ტექნოლოგიით აღჭურვა და სხვა.

ფონდი აგრეთვე დააფინანსებს დემოგრაფიული და ეკოლოგიური პირობების გაუმჯობესების, მეცნიერების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის, სპორტის განვითარებისათვის დაგეგმილ ღონისძიებებს...

სათანამშრომლოდ და კონტაქტების დასამყარებლად ფონდს გახსნილი აქვს ანგარიში საქართველოს საგარეო ეკონომიკურ ბანკში. მიმდინარე სავალუტო-საბალანსო ანგარიშის ნომერია 67080260/002, ანგარიშსწორების ანგარიში 60900035, ტელეფონი 99-60-80, ტელექსი 212244, ტელეფაქსი 999394.

ხათუნა შატბერაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დიდი სახეები პატარა ჩარჩოებში

თეატრალური ხელოვნების პროპაგანდის ცენტრის სარედაქციო-საგამომცემლო განყოფილებამ გამოსცა ემიგრაციაში მოღვაწე ქართველი ქალის თამარ პაპავას ისტორიული ნარკვევების კრებული „დიდი სახეები პატარა ჩარჩოებში“.

თამარ და აკაკი პაპავების სახელი დღეს უკვე კარგადაა ცნობილი. მეორე მსოფლიო ომის დასაწყისში სწორედ მათ შეიძინეს და არგენტინაში გაიტანეს საუკუნის წინ საქართველოდან მოპარული სიონის ტაძრის ისტორიული ფარდაგი. ეს ძვირფასი ნივთი ამ ცოტა ხნის წინ ბატონ რევაზ თაბუკაშვილის ხელით სამშობლოს დაუბრუნა ბუენოს-აირესში მცხოვრებმა თამარ და აკაკი პაპავების ქალიშვილების — ჰეიშვილების ოჯახმა.

„თქმა არ უნდა, ჩვენ დროსაც გვყავდნენ საზოგადო ასპარეზზე მომუშავე ქალები, — წერს ექვთიმე თაყაიშვილი წიგნის წინასიტყვაობაში, — რომლებმაც თავი იჩინეს მწერლობაში, ქველმოქმედებაში, ხელოვნებაში, განსაკუთრებით არტისტულ მოღვაწეობაში, აღმზრდელობაში და სხვა დარგებში... ამ მხრივ მართლაც გამონაკლისს შეადგენს ქალბატონი თამარ გოგოლაშვილის ასული პაპავასი, რომლის წინამდებარე ისტორიული ნარკვევები: „დიდი სახეები პატარა ჩარჩოებში“, ფრიად სასიამოვნო მოვლენას წარმოადგენს ჩვენს ლიტერატურაში. ამ დარგში ქართველ ქალს ჯერ არ უმუშავნია. ეს პირველი ცდა არის, ცდა ღირსეული და თვალსაჩინო“.

წიგნი პირველად 1937 წელს, პარიზში გამოიცა, როგორც აღვნიშნეთ, ექვთიმე თაყაიშვილის წინასიტყვაობით. საქართველოშიც იმავე წელს შემოვიდა. თამარ პაპავამ, ექვთიმე თაყაიშვილის ნაცნობის საშუალებით, წიგნი, სამახსოვრო წარწერით, გამოუგზავნა ცნობილ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს პროფესორ იოსებ მეგრელიძეს. შეიძლება ითქვას, რომ იოსებ მეგრელიძე იყო ერთადერთი პიროვნება, ვისაც იმ უკიდურესად სახიფათო და საშიშ პერიოდში მიმოწერა და საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა ქართულ ემიგრაციასთან. მან სულგრძელად გადმოგვცა „დიდი სახეები პატარა ჩარჩოებში“ ავტორის სამშობლოში პირველად გამოსაცემად. ბატონმა იოსებ მეგრელიძემ გვაცნობა ისიც, რომ წიგნს დართული ექვთიმე თაყაიშვილის წინასიტყვაობა დღემდე უცნობია ჩვენი საზოგადოებისათვის. ეს ნაშრომი არ არის შეტანილი ელენე კელენჯერიძის მიერ არც 1963 და არც 1972 წლებში გამოცემულ აკადემიკოს ექვთიმე თაყაიშვილის შრომათა ბიბლიოგრაფიაში.

„ქალის განსაკუთრებული როლი ქართულ ისტორიაში ცნობილია, — წერს ექვთიმე თაყაიშვილი ამ წინასიტყვაობაში, — ქალი იყო ქართული ოჯახის ბურჯი, სიმტკიცე და საფუძველი სახელმწიფოსი... ქართველი ქალი უზრდიდა საქართველოს ღირსეულ შვილებს, არანაკლები იყო ქართველი ქალის როლი პოლიტიკაშიც, სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში. ქართველი საზოგადოების გამაერთიანებელი ყოველთვის ქალი იყო. მის ირგვლივ იკრიბებოდნენ საუკეთესო მამულიშვილები... მთელი წიგნი ექვსი ნარკვევისაგან შესდგება და თითოეულ ნარკვევს მონოგრაფიული ხასიათი აქვს. თუმცა, ავტორს მიზნად დაუსახავს გვარვენოს ქართველი ქალის როლი, ღვაწლი და განცდები იმ გმირულ ბრძოლებში, რომლებსაც აწარმოებდნენ თავისუფლების შესარჩენად საქართველოს ყოფილი სამეფოები და სამთავროები.

პირველი ნარკვევია „მეფე ერეკლეს ქალები“ — აქ წარმოდგენილია დედოფლის დარეჯანისა და ერეკლეს ასულების —სახელდობრ, ქეთევანის, მარიამისა და თეკლას სახეები. მათ საუცხოო ელეგიებში აღბეჭდილია მწვავე განცდები ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების გამო, ესენი იყვნენ თვალსაჩინო წევრნი 1832 წლის შეთქმულებისა და სხვებთან ერთად იგემეს რუსთა სასჯელი.

„ქართველი ქალი და 1832 წლის შეთქმულება“ — ამ ნარკვევში აღწერილია ისტორია შეთქმულებისა და ის როლი, რომელიც წილად ხვდა თამარ ბატონიშვილს, ფრეილინას, ბატონიშვილი იულონის ასულს და მასთან მთელ გუნდს ქართველი ქალებისა.

„ალექსანდრე ბატონიშვილი და მისი ოჯახის ბედი“ მოგვითხრობს ისტორიას ალექსანდრე ბატონიშვილის დაულალავი ბრძოლებისა და მის დაქორწინებას მელიქ სააქის ასულზე მარიამზე, რომელიც თავრიზის აღების შემდეგ ხელში ჩაუვარდათ რუსებს თავისი პატარა შვილით ირაკლითურთ.

„იმერეთის ქალების ეპიზოდები დასავლეთ საქართველოს ბრძოლათა ისტორიიდან“ — აქ აღწერილია ჯერ სოლომონ მეფის და შემდეგ იმერეთის დიდებულების გმირული ბრძოლები და თავგანწირვა თავისუფლების შენარჩუნებისათვის, ქალების განსაცვიფრებელი ბრძოლანი და ხერხიანი მოქმედებანი მამაკაცებთან ერთად.

ნარკვევში „სამეგრელოს დედოფალი ნინო“ საკმაოდ ვრცლადაა წარმოდგენილი სამეგრელოს სამთავროს მთელი ისტორია დღიდან რუსეთის პროტექტორატისა.

„ბატონიშვილი დარეჯან“ მოგვითხრობს ამ ქალის ლეგენდარულ მოქმედებას, შეუპოვრობასა და ბრძოლის უნარს, რომელიც ვერ შეუსუსტა ვერც ქმრის ბრძოლის ველზე სიკვდილმა, ვერც შვილების ბრძოლაში დაღუპვამ და ათასმა სხვა უბედურებამ.

„ყველაფერი ეს მოთხრობილია მშვენიერის ქართული ენით, — წერს დასასრულ ექვთიმე თაყაიშვილი, — ზოგჯერ მხატვრულად და ერთობ კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს, ამიტომ ჩვენ ვურჩევთ ყველას, წაიკითხონ ეს წიგნი, ვისაც სურს გაეცნოს იმ უმაგალითო თავგამოდებულსა და გმირულ ბრძოლებს, რომელიც აწარმოეს საუკეთესო მამულიშვილებთან ერთად სახელოვანმა ქართველმა ქალებმა რუსების წინააღმდეგ უთანასწორო ბრძოლაში“.

იმ სახელოვანი წინაპრების, დიდებული მანდილოსნების ღირსეული მემკვიდრეების — 9 აპრილს დაღუპული ქართველი ქალების ნათელ ხსოვნას ვუძღვნით ამ წიგნის გამოცემას. მისი შემოსავლის გარკვეული ნაწილი გადაირიცხება 9 აპრილის მემორიალისა და მერაბ კოსტავას სახელობის საადგილმამულო, მოსახლეობის განსახლებისა და დახმარების ფონდში. 500 ცალი საჩუქრად გაიგზავნება კახის რაიონის სოფელ ალიბეგლოში ისტორიული ჰერეთის მკვიდრი ქართველებისათვის.

თეატრალური ხელოვნების პროპაგანდის ცენტრის სარედაქციო-საგამომცემლო განყოფილება ულრმეს მადლობას უხდის გამომცემლობების, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს ბატონ რევაზ ღლონტს დახმარებისა და კეთილი რჩევისათვის.

**თეატრალური ხელოვნების პროპაგანდის ცენტრის სარედაქციო საგამომცემლო განყოფილება.**

## ჩვენი მილოცვა

# მარიკა ბარათაშვილი — 80



დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა თვალსაჩინო ქართველ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს მარიკა ბარათაშვილს. ამ თარიღთან დაკავშირებით, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობამ იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ძვირფასო მარიკა!

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები, გულმხურვალედ მოგესალმებიან შესანიშნავ ქართველ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს და გილოცავენ დაბადების 80 წლისთავს.

აი, უკვე ნახევარი საუკუნეა, რაც გრძელდება თქვენი სისხლსავსე ლიტერატურული მოღვაწეობა. 1936 წელს გაზეთ „კომუნისტში“ გამოაქვეყნეთ პირველი ლექსი „დედასამშობლოს“. მას შემდეგ ერთგულად ემსახურებით მშობელ ხალხს, მშობლიურ ლიტერატურას, ქართული მწერლობის წინსვლისა და აყვავების კეთილშობილურ საქმეს.

თქვენ იმ შემოქმედთა რიცხვს ეკუთვნით, რომლებმაც დიდი ღვაწლი დასდეს ეროვნული დრამატურგიის განვითარებას. პიესები „ჩემი ყვავილეთი“, „სართულები“, „ფრთხილად, სასიკვდილოა!“, „სიყვარულის წისქვილი“, „ჩქარი მატარებელი“ წარმატებით იდგმებოდა და იდგმება ჩვენი რესპუბლიკის თეატრების სცენაზე. განსაკუთრებული წარმატება ხვდა წილად „მარინეს“, რომელიც საბჭოთა კავშირის 170 და უცხოეთის 22 თეატრის სცენაზე წარმოადგინეს. ეს პიესა ითარგმნა და ცალკე წიგნად გამოიცა რუსულ, უკრაინულ, ესპანურ, იტალიურ, ჩინურ, ჩეხურ, პოლონურ, უნგრულ, რუმინულ, ბულგარულ ენებზე. მისი მიხედვით დაიწერა ოპერა და მუსიკალური კომედია, შეიქმნა მხატვრული ფილმი „ჭრიჭინა“, რომელიც დღესაც დიდ სიხარულს ანიჭებს მაყურებელს.

უყურადღებოდ არც ნორჩი მკითხველი დაგიტოვებიათ. პატარების საყვარელ წიგნებად იქცა თქვენი საბავშვო ლექსებისა და პოემების კრებულები — „ნანული“, „საქმის კაცი“, „ყაჩაღანა“, „თინა და ჭიანჭველები“.

თქვენი პოეზია გვხიბლავს მოქალაქეობრივი ჟღერადობითა და სიცოცხლის რწმენით, ჭეშმარიტი სინაზითა და შელოდიურობით. სწორედ ამიტომაა, რომ თქვენი მრავალი ლექსი სიმღერად იქცა. „საპოვნელას“ კი მთელი საქართველო მღერის.

წლების მანძილზე ნაყოფიერ საზოგადოებრივ საქმიანობას ეწევით. სხვადასხვა დროს არჩეული იყავით სსრკ უმაღლესი საბჭოს, თბილისის საქალაქო საბჭოს, თბილისის კალინინის რაისაბჭოს დეპუტატად. ამჟამად არჩეული ხართ საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის წევრად და კინოკომისიის თავმჯდომარედ, სსრკ მწერალთა კავშირის საბავშვო ლიტერატურის საბჭოს წევრად, სსრკ ქალთა კომიტეტის წევრად, საქართველოს ქალთა კომიტეტისა და ქალთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ, მშვიდობის დაცვის რესპუბლიკური კომიტეტის წევრად, უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული ურთიერთობის საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილედ, თბილისის მთაწმინდის რაიონის საზოგადოება „ცოდნის“ პრეზიდიუმის წევრად, საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის პრეზიდიუმის წევრად.

ძვირფასო მარიკა!

თქვენი ღვაწლი ღირსეულად დაფასდა: დაჯილდოებული ხართ შრომის წითელი დროშისა და საპატიო ნიშნის ორდენებით, მედლებით. 1967 წელს მოგენიჭათ საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება.

კიდევ ერთხელ სულითა და გულით მოგესალმებით ღვაწლმოსილ, ამაგდარ იუბილარს, გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და ახალ შემოქმედებით მიღწევებს.

**საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა**

გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქცია უერთდება ამ მილოცვას და ახალ შემოქმედებით წარმატებებს უსურვებს ჩვენს ძვირფას მარიკა ბარათაშვილს.

ვბეჭდავთ პოეტის რამდენიმე ახალ ლექსს.

# მარიკა ბარათაშვილი

### ასე არასდროს დამნანებია

ასე არასდროს დამნანებია
უმისამართოდ ჩავლილი წლები...
ვინც მყვარებია, რაც მყვარებია,
დრომ გადაფარა უწყალო ფრთებით.
მან მიიტაცა შორეულს მიღმა,
ყმაწვილქალური ჩემი პროფილიც
და დამიტოვა სტრიქონთა მწკრივმა
ლექსები ეჭვით გულგაპობილი;
რომ რაც მქონია დღე — მოზომილი,
ჰკლებია მზე და აზრის სიცხოვლე,
რომ თურმე დღემდე, გამოგონილი,
არარსებული ვნებით ვიცხოვრე.
...ვერც მათ სახეებს ვერ შეველევი —
უიმედობის ველზე ნაომართ.
წავიდა ტკივილგაუმხელელი,
ომწაგებული ჩემი თაობა...
წავიდა ისე, არ ღირსებია,
წუთებიც შვების, ფრთაშემართების,
და ეგებ, მხოლოდ დასიზმრებია
ბედნიერების სუროგატებიც.
მზე კი მოგვტაცა — ოქროცვარული
და დაიხვია ზღვაში საღამომ.
ბინდში რიყეზე იწვა მამული,
სავსე ტკივილით და უმალამოდ.
ამაოდ ვწუხდით, ვერას ვშველოდით,
მშობელს ამაგი ველარ მივაგეთ.
მისკენ საშველად ხელგაწვდენილნი,
წაულეკიათ სისხლის ნიაღვრებს...
ვისაც კი ზრახვა ჰქონდა კეთილი
(განა ერთის და განა ათასის!)
მტრობას შთაუნთქავს გადაკვეთილი,
თავი დავითის თუ პაატასი.
...და როს ვფიქრობდით: ჩაკვდა,
                        გათავდა,
ფიქრიც კი ლალი და გაბედული,
კვლავ სასიცოცხლოდ წამოიმართა
და ფეხზე დადგა მამულ-დედული.
და მეძალება სურვილთა გროვა,
(ლამის ტკივილმა ამხადოს მკერდი),
რომ ვერ დავმდგარვარ იმედად,
                        ბრძოლად,
ფრთაწამოშლილი შვილების გვერდით.
...ასე არასდროს დამნანებია,
რომ მამულს ველარ გავუნაწილე,
რაც საწუთროსგან წილად მრგებია. —
ის მგზნებარება და სიყმაწვილე.

●

ძმის გახსენება

ის ერთი ღამე უდრიდა ათასს —
სულში ჩამდგარი უსასოობით...
ვერ მივეშველეთ... დნებოდა სანთლად
მისი ხანმოკლე — მთელი ცხოვრება.
უჯანყდებოდა იმ დღეებს აზრი,
როცა ბოროტმა ძალამ დაცოფა...
როს ყინულეთში უწყალოდ დაზრა,
მისი ელვარე ახალგაზრდობა.
სარკმლიდან ჩანდა ზეცის ნახევი.
იყო მზის ნატვრა — „რად იგვიანებს“...
იწვა სხეული ნაკონდახევი,
სული — უტეხი და მოწრიალე.
ელოდა,.. მზე კი არსაით ჩანდა.
და ის ლოდინიც როცა დასრულდა,
ვიღაცის ხელმა აკეცა ფარდა,
და აიტაცა მზე გაზაფხულმა.
...შემდეგ მოვდევდით უაზრო აღმართს,
და ტკივილები სულში ბღაოდნენ...
გულით მიგვქონდა წუხილი ნაღმად,
იმ უსაშველო სასაფლაოსკენ.
ვიღაც მარხავდა ოჯახის იმედს,
ვიღაცა ცრემლით ილტობდა კალთას.
და მზეს ვერაფრით ვერ ვაპატიებ,
რომ იცინოდა. ...მზე პირს იბანდა...

როგორ უნდა გავიგოთ პედაგოგიური პროცესის ჰუმანიზმი? ეს არის აღმზრდელის თანაზიარობა ბავშვში მოძრავ და განვითარებად ბუნებასთან. ახლა ჩვენ ბევრს ვლაპარაკობთ ეკოლოგიაზე, ვხედავთ, რომ მდინარეებისთვის კალაპოტების შეცვლა, ხელოვნური ზღვების წარმოქმნა, პლანეტაზე სითბური ენერგიის დაგროვება, ტყეების გაჩეხვა, ჰაერის მოწამვლა, — ყველაფერი ესა და ამის მსგავსი ქმედება ბუნების ძალთა თავისუფალი განვითარების შეურაცხყოფაა, ბუნება ამის გამო უკვე გვსჯის და მომავალშიც დაგვსჯის (თუ სულაც არ მოგვსპო), ბავშვიც ბუნების ქმნილებაა და მასში არსებულ ძალთა განვითარების შეზღუდვა უკვალოდ არ ჩაივლის. ავტორიტარულ-იმპერატიული პედაგოგიკა ბავშვის განვითარებაში დაახლოებით იგივე შედეგებს იწვევს, რასაც მდინარეთა კალაპოტების შეცვლა, ტყეების გაჩეხვა, ან ხელოვნური ზღვების შექმნა, ასეთი პედაგოგიკა ბავშვში უმთავრესად მეხსიერებას ამოქმედებს, სხვა ძალთა მოწოლას ჯებირებს უქმნის. ბავშვში არსებული ბუნების განვითარებისადმი ჰუმანური მიდგომა კი იმას ნიშნავს, რომ შევქმნათ ბავშვის ირგვლივ სოციალური და მატერიალური გარემო, რომელიც ბუნების ძალთა მოძრაობის ტენდენციებს გამოავლენს და დაგვანახვებს ბავშვს ისეთს, როგორიც ის ნამდვილად არის, მთელი თავისი მრავალფეროვნებითა და შესაძლებლობებით. ეს იქნება ჩვენი ჰუმანური მიდგომა ბავშვისადმი. ამას სხვანაირად მე ეკოლოგიური პედაგოგიკაც ვუწოდე, ე. ი. პედაგოგიკა, რომელიც ბავშვში ეკოლოგიას არ არღვევს, პირიქით, იცავს, უვლის, ავითარებს.

მაგრამ ბავშვი აბსტრაქტულად არ არსებობს, იგი ან დათოა, ან ლიბა, ან პაატა, ან ნინო... თითოეულ მათგანში ბუნება სხვადასხვანაირად და განუმეორებლად ვითარდება, თუმცა, საერთო თვისებებსაც ინარჩუნებს. პედაგოგიური პროცესი ამ საერთოსაც უნდა ემყარებოდეს და განუმეორებელსაც, ეხმარებოდეს ბავშვს საკუთარ ძალთა გამოვლენასა და განვითარებაში და თავისი განუმეორებლობის დამკვიდრებაში. ეს უკვე, ჩემი თვალსაზრისით, თავიდანვე ბავშვის პიროვნების აღიარებაა. ბავშვში რომ პიროვნება აღმოცენდეს, მასში რომ საკუთარი პოზიციები ჩამოყალიბდეს, მან რომ მომავალში თავის მისიას მიაგნოს — ამისათვის აუცილებელია, რომ თავიდანვე მოვეპყრათ მას ისე, როგორც მთლიან პიროვნებას, როგორც პედაგოგიური პროცესის თანასწორუფლებიან წევრს, ამ პროცესის თანაშემოქმედს.

აქ საქმე არ ეხება მხოლოდ ბავშვის პიროვნების პატივისცემას, ბავშვისადმი პედაგოგიურ სიყვარულს. აქ საქმე ეხება იმ ძირითად ტენდენციებს, რაც ბავშვში იჩენს თავს და მის ბუნებას განსაზღვრავს.

რა ტენდენციებია ეს? შეიძლება მეტიც იყოს, მაგრამ მე სამ ტენდენციას გამოვყოფ. ერთია — განვითარების ტენდენცია, მეორეა — დიდობაში გადასვლის ტენდენცია, მესამეა — თავისუფლების მოთხოვნილება.

არ შევაწყენთ თავს, პატივცემულო მკითხველო, იმით, თუ საიდან და როგორ ვასაბუთებ ამ ტენდენციების არსებობას. მხოლოდ ვიტყვი, რომ განვითარების პროცესი მე მესმის დ. უზნაძისა და ლ. ვიგოტსკის თეორიების საფუძველზე. ცნობილია აგრეთვე დ. უზნაძის ფუნქციონალური თეორია, რომელიც შესაძლებლობას მაძლევს გავიგო, რატომ ესწრაფვის ბავშვი თავისუფლებას; ფსიქოლოგიაში კარგად ცნობილია აგრეთვე სოციალიზაციის თეორიები, რომლებითაც საბუთდება, რომ ბავშვი ესწრაფვის დიდობას. ამ კონცეფციის შესაბამისად დავამუშავეთ: პედაგოგიური პროცესის შინაარსი (პროგრამები, სასწავლო მასალები, სახელმძღვანელოები), ბავშვთან ურთიერთობის ფორმები, მეთოდიკური ხერხები და საშუალებანი.

ეს არის პედაგოგიურ პროცესში ბავშვისადმი პიროვნულ-ჰუმანური მიდგომის მეტად კონსპექტური ახსნა. რა ხდება ასეთ ჰუმანურ (სიმართივისთვის ვამბობ ასე) პედაგოგიურ პროცესში? დღესდღეობით იმას ვხედავთ, რომ ბავშვს უხარია სწავლა, უხარია მასწავლებელთან ურთიერთობა, უყვარს სკოლა, ავლენს მრავალმხრივ შემოქმედებით და ინტელექტუალურ შესაძლებლობას, თავად, ნებაყოფლობით იტვირთავს თავს სასწავლო და შემოქმედებითი საქმიანობით. გაკვეთილი მისთვის ცხოვრების აზრი ხდება. აქ შეიძლება კამათი მასწავლებელთან, საკუთარი აზრის, პოზიციის დამკვიდრება, იგი ხშირად არის აღმომჩენი, არასოდეს მიდის შინ დამარცხებული. ბავშვის ასეთი დადებითი, ხალისიანი დამოკიდებულება სკოლისადმი მეცნიერულად არის დადასტურებული ფსიქოლოგების—პროფესორების ნათელა იმედაძისა და ვახტანგ ალხაზიშვილის გამოკვლევებით, ჩვენი გამოკვლევებითაც.

გვაქვს კიდევ უფრო სხვა, ასე ვთქვათ, მატერიალური შედეგიც: ჰუმანური პედაგოგიური პროცესის პირობებში ბავშვის განვითარებასა და წინსვლას ბუნებრივი ტემპი მიენიჭა. ამან კი დაწყებით კლასებში თითქმის ერთი სასწავლო წელი—170 სასწავლო დღე მოგვაგებინა. რაში გამოვიყენეთ ეს დრო? შევძელით III კლასიდან ბავშვები პირდაპირ V კლასში გადაგვეყვანა, მათ შემდგომ წინსვლას არაფერი შეუშლიდა ხელს. მაგრამ ვამჯობინეთ დაწყებით კლასებში შემოგვეღო 5-დღიანი სასწავლო კვირა და 35 წუთიანი გაკვეთილები ყველა კლასში. ეს გავაკეთეთ არა „არითმეტიკული" ლოგიკით, როცა 6-დღიანი კვირის დატვირთვა 5 დღეზეა გადაანგარიშებული და ასეა გამოთავისუფლებული შაბათი დღე, არამედ სასწავლო გეგმის შეცვლით, საათების შემცირებით. აი, ასე განვტვირთეთ მოსწავლეები.

აი, ბატონო გურამ, რაში მდგომარეობს ჩვენი ჰიპოთეზა. ამ მთავარი ჰიპოთეზიდან გამომდინარე კერძო ჰიპოთეზებზეც მინდა მოგახსენოთ.

აი, ერთი მათგანი. ბავშვის პიროვნება მაშინ უფრო დაცული იქნება, თუ მის სასწავლო მოქმედებაში შეფასება და თვითშეფასება სრულფასოვანი კომპონენტი გახდება. ამით ბავშვს ვათავისუფლებთ მასწავლებლის ავტორიტარული და შიშის მომგვრელი ზემოქმედებისაგან, ხოლო მასწავლებელს ხელიდან ვაცლით მთავარი ფიგურის კვერთხს. სამაგიეროდ, პედაგოგიურ პროცესში ბავშვს თანდათან ვუვითარებთ შეფასების და თვითშეფასების უნარს, ვუქმნით შეფასების ეტალონებს, ვასწავლით შემოწმების, შეცდომის ძიებისა და გასწორების გზებს. ასეთი ჰუმანური პედაგოგიური პროცესისათვის ნიშნები შეუთავსებელია. ყველამ კარგად ვიცით: ნიშანი დიდი ხანია აღარ არის დიდაქტიკური ინსტრუმენტი, იგი ბავშვზე „დაწოლის" იარაღია, მოსწავლის მორჩილებაში ყოლისა და კლასში დისციპლინის დამყარების საშუალებაა.

კიდევ ერთი ჰიპოთეზა. წერის ჩვევის გამომუშავების პროცესი თავიდანვე უნდა ჩავაქსოვოთ ჯერ კვაზი, შემდეგ კი ნამდვილი წერითი მეტყველების პროცესში. მაშინ წერითი მეტყველების შესაძლებლობა ბავშვში აღმოცენდება უფრო ადრეულ პერიოდში. ამ მეტყველების შემდგომი განვითარების კვალობაზე იგი (წერითი მეტყველება) შეიძლება გამოვიყენოთ როგორც თვითანალიზის, თვითაღზრდის, შემოქმედებითი და საზოგადოებრივი აქტივობის, საკუთარი აზრის, შთაბეჭდილებების, დამოკიდებულებების, განცდების გადმოცემის საშუალება.

ამ ჰიპოთეზის მეთოდურმა განხორციელებამ შედეგად ის მოგვცა, რომ სასწავლო წლის მეორე ნახევრიდან 6 წლის ბავშვები საკუთარ შთაბეჭდილებებსა და განცდებს წერილობით აღწერენ, პატარა „მოთხრობების", „ამბების" წერას იწყებენ, II—IV კლასებში კი თითოეული ბავშვი საკუთარ „გამომცემლობას" აარსებს და წიგნებსა და გაზეთებს უშვებს, საკუთარი შემოქმედების „ტომებს" ჰქმნის, წერს დღიურებს.

კიდევ ჰიპოთეზა. კითხვის ჩვევის გამომუშავების პროცესი თავიდანვე უნდა ჩაექსოვოს შემეცნებითი კითხვის აქტში. მაშინ ბავშვს უფრო ადრე გაეღვიძება კითხვის მოტივი, რაც შემდეგში შეიძლება განვავითაროთ ისეთი საკითხავი წიგნების გამოყენებით, რომლის დროსაც ბავშვი წიგნის თანაავტორის, მხატვრის, კორექტორის, მეთოდური „დამმუშავებლის" (სიტყვების განმარტება, კითხვების დასმა) როლში გამოვა.

აქაც შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა: ბავშვები კითხულობენ ბევრს, ერთმანეთს უყვებიან წაკითხულის შინაარსს, კამათობენ. ამით დავუდეთ ფუძე მკითხველის აღზრდას.

ექსპერიმენტული პედაგოგიური პროცესის შედეგები მეცნიერულად გაზომილი და აღწერილია.

თქვენი ნებაა, ბატონო გურამ, ეთანხმებით თუ არა ამ ჰიპოთეზებს. ჩემდათავად კარგად ვიცი: კაცი, რომელიც შუა საუკუნეების იეზუიტური სკოლისაკენ მექაჩება, ჰუმანური პედაგოგიკის სილრმეს ვერ ჩასწვდება; კაცი, რომელიც „სუფთა წერისათვის გამოყოფილი დრო შეამცირეო" მიკიჟინებს, წერითი მეტყველების განვითარების ახალ სისტემას ვერ გაიგებს; კაცს, რომელიც ოთხხაზოვან ბადეს მისტირის, ვერც იაკობ გოგებაშვილს მიუხვდება ვერაფერს, რადგან ჰგონია, რომ დიდი პედაგოგი დღეს დაგვიშლიდა მისივე მეთოდიკური აზრის განვითარებას; კაცს, რომელსაც ჰგონია, რომ შესაძლებელია ქართული ასოები ვინმემ რუსულს დაამსგავსოს, ვერაფერს შეასმენ.

უკვე ნახევარი საუკუნეა თავს ვიტყუებთ: გვგონია, რომ ბავშვებს იაკობ გოგებაშვილისეულ ასოებსა და იაკობ გოგებაშვილისეულ საწერ დახაზულობებში ვასწავლით წერას, მაშინ, როცა არც დახაზულობათა ზომებია იაკობ გოგებაშვილისა და არც ასოთა პროპორციებია მისეული, „დედანს" კი მისი სახელი აწერია და ჩემს მცდელობას, რომ სწორედაც იაკობ გოგებაშვილის სისტემა აღმედგინა, ზოგიერთები იაკობ გოგებაშვილის წინააღმდეგ ბრძოლად მითვლიან.

ისიც ბრძოლაა, რომ ჩვენს სასწავლო მასალებში იაკობ გოგებაშვილის მოთხრობები, ტექსტები მისი სახელმძღვანელოებიდან უფრო უხვადაა გამოყენებული, ვიდრე აქამდე იყო; რომ II—IV კლასელებს საკითხავ წიგნებად იაკობ გოგებაშვილის „დედაენას" და „ბუნების კარს" ვთავაზობთ; რომ უკვე II კლასიდან ბავშვებს „ვეფხისტყაოსნიდან" ნაწყვეტებს ვაცნობთ, სულხან საბას იგავ-არაკებს ისევე ვაკითხებთ, როგორც თავად სულხან საბას დაუწერია, გადმოკეთების გარეშე.

ვაი, რა ცოტა იცით და ისიც უკუღმართად, ბატონო გურამ, ჩვენს ექსპერიმენტზე. და როცა უვიცობა ღვარძლსა და ამბიციაში აილესება, კაცს უთუოდ აერევა ტვინი.

თუ ბატონი გურამ პეტრიაშვილი მართლა ეროვნული კაცია, ჩემთანაც მოვიდოდა და მეტყოდა: გამაგებინე, ერთი, რატომ ებრძვი იაკობ გოგებაშვილსო, მე დავეხმარებოდი მას გაეგო, თუკი, რა თქმა უნდა, მოისურვებდა, რომ სინამდვილეში უფრო ღრმად ჩაეხედა. იაკობ გოგებაშვილი წერითი რვეულების კლასიკოსი კი არ არის (ეს მისი იდეების გალიაში გამომწყვდევა იქნება). იგი მხოლოდ... და შემდეგ უოვლად გაუწონასწორებელი მსჯელობა იწყება.

მინდა გაგაცნოთ, ვინ შედის „ამათში".

ვიქტორ შატალოვი — დონეცკელი მასწავლებელი. შექმნა საყრდენ სიგნალთა სისტემა და აღწევს იმას, რომ „ჩამორჩენილები" ნიჭიერები ხდებიან, საშუალო სკოლის 10-წლიან კურსს მე-8 კლასში ამთავრებენ.

მიხეილ შჩეტინინი ოცნებობს ისეთი სკოლის შექმნაზე, რომელიც მოზარდის ჰარმონიულ განვითარებას შეუწყობს ხელს. ეს სკოლა სოციუმის კულტურის ცენტრად უნდა იქცეს.

ევგენი ილინი. ლიტერატურის მასწავლებელი. ლიტერატურა ადამიანთმცოდნეობის მეცნიერებად მიაჩნია. ამიტომ ამჯობინებს მოზარდთა ყურადღების გამახვილებას ლიტერატურულ ნაწარმოებებზე.

ვასილ დავიდოვი აკადემიკოსი. თავისი ექსპერიმენტული გამოკვლევებით დაამტკიცა, რომ საბჭოთა დიდაქტიკა ემპირიულ ფილოსოფიას ემყარება. დაამტკიცა აგრეთვე, რომ უმცროსკლასელს აქვს უნარი აბსტრაქტულ აზროვნებას დაეუფლოს.

ასევე შევიწროებულნი, დევნილნი, გარიყულნი არიან სოფიო ლისენკოვა, ელენა და ბორის ნიკიტინები, ედუარდ დნეპროვი (გაილაშქრა სკოლის გასახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ) და სხვანი.

იცნობთ, თქვენ, ბატონო გურამ, ამ ადამიანებს, ამათ უწოდებთ იმპერიას? ამ ადამიანებთან ურთიერთობაში აღმოცენდა თანამშრომლობის პედაგოგიკა, ნოვატორები მათ მასწავლებლებმა შეარქვეს, არც ერთი მათგანი არ გეტყვით, ნოვატორი ვარო. ამ ადამიანებმა სწორედაც იმპერიის პარტიული აპარატის, მთავრობის, აკადემიის ხელმძღვანელობის რისხვა და შეჩვენება დაიმსახურეს. მიუხედავად ამისა, უკან არ დაიხიეს. თქვენ კი იმპერიის წინააღმდეგ ამხედრებულ ადამიანებს იმპერიასთან აიგივებთ. ან არ იცით, რას ამბობთ, ან იცით და შეგნებულად ამახინჯებთ სინამდვილეს. რატომ იქცევით ასე?

●

ქართველ ბავშვთა „გარუსების" შესახებ.

ჯერ ერთი, იმ ქართველ მამას რა ვუთხარი, რომელიც ცოლის ნებას დაჰყვება და საკუთარ შვილებს რუსულ სკოლაში დააწყებინებს „სერენკი კოზლიკის" ბლავილს, ხოლო 3—4 წლის შემდეგ, როცა თავად ეროვნული მოძრაობის ტალღაზე წამოტივტივდება, უცბად მოისურვებს წარსულის კვალის წაშლას და ბავშვებს ქართულ სკოლაში გადაჰყავს. რა თქმა უნდა, კარგი ქნა, რომ შვილები ქართულ სკოლას დაუბრუნა, ამის გამო აღარ უნდა გავკიცხოთ, მაგრამ ხომ შეიყვანა რუსულ სკოლაში, ხომ აპირებდა შვილების „გარუსებას". ერთი და ორია ასეთი მშობელი? თქვენც რომ ამ მშობელთა შორის იყოთ, ბატონო გურამ, დავიღუპებოდით, შევრცხვებოდით. ჰოდა მოვკვდ... ყური და (თქვენც ასე არ ანიშნებთ... რაღაც დამამძიმებელი არის?) იმიტომ ვთქვი.

ჩვენს საოჯახო აღზრდას რომ სინათლე მოვფინო და ბატონ გურამ პეტრიაშვილის ცნობისმოყვარეობაც დავაკმაყოფილო, ვიტყვი: ჩვენმა შვილებმა ქართული საბავშვო ბაღი გაიარეს და ქართული სკოლა დაამთავრეს, ოჯახში სალაპარაკოდ ქართული ენა გვაქვს, მხოლოდ სიდედრისგან ესმოდათ ბავშვებს პატარაობაში დროდადრო რუსული მეტყველება. არც ერთი შვილი არ გამირუსებია, არც ენით, არც ზნით.

დასამალი არაფერი მაქვს: მე იმ თეორიის მომხრე ვარ, რომელიც ამტკიცებს, რომ ბავშვი ადრეულ ასაკში უფრო ადვილად სწავლობს არამშობლიურ ენებს, ვიდრე გვიანდელ ასაკში. ამ აზრს დიმიტრი უზნაძის ფუნქციური განვითარების თეორიაც მიმტკიცებს. მაგრამ ეს „გარუსების", „გასომხების", „გაგერმანელების" თეორია კი არ არის.

ხავსებით გასაგები მიზეზების გამო რუსულს ჩავცივდით. მაგრამ რაც უნდა პოლიტიკური მახვილი მომამარჯვო, ამით მეცნიერულ აზრს ვერ დაკქცევ. 8-9 წლამდე ბავშვს რომ უფრო ემარჯვება ენების შესწავლა, იმიტომ არის, რომ ვისაც შესაძლებლობა აქვს, შვილებსა და შვილიშვილებს ინგლისურ, გერმანულ საბავშვო ბაღებში დაატარებს, შინაც იბარებს მასწავლებლებს. თქვენებურად რომ გამოძიოთ, იქნებ, ჩემს ოპონენტთა შორისაც აღმოგვეჩინათ ბაბუები, რომლებიც დილით ბავშვის განვითარებაში მშობლიური ენის მნიშვნელობაზე ლექციას წაიკითხავენ, დღის ბოლოს კი ინგლისური თუ გერმანული საბავშვო ბაღიდან შვილიშვილებს გამოხაუვანად მიიჩქარიან.

კარგია ეს პრაქტიკა თუ ცუდი? ჩემი აზრით, ნახევარსაათიანი-ერთსაათიანი თამაშობითი მეცადინეობა 5-6 წლის ბავშვს ვერც გააინგლისელებს, ვერც გააგერმანელებს, მომავალში ენის სისტემატურ შეთვისებას კი კარგ ფონს შეუქმნის.

ახლა კი რუსული ენის სწავლებას ვუბრუნდები.

რაც უნდა ეცადოს ბატონი გურამ პეტრიაშვილი, თავს შეირცხვენს და ქართველი ბავშვების „გარუსებას" ვერ დაგვიმტკიცებს ვერც მე და ვერც ჩემს მეუღლეს. ნამდვილად არავისგან მეხსწავლება, რა მნიშვნელობა აქვს მშობლიურ ენას ბავშვის განვითარებასა და ცხოვრებაში. იაკობ გოგებაშვილის „ძირითადი უკუღმართობის" („ბურჯი ეროვნებისა") შემდეგ ყველა ქართველი კაცისაგან ამ საკითხზე ლაპარაკი წყლის ნაყვაა. თუ მაინცდამაინც რამე დაგვავიწყდა, ისევ სჯობია კიდევ და კიდევ ვბეჭდოთ „ბურჯი ეროვნებისა", რომ ყოველ ოჯახს ჰქონდეს ეს სულის საზრდო და სახარებასავით კითხულობდეს.

ჩემთვის, ყველა ქართველი მეთოდისტისთვის იაკობ გოგებაშვილის მოძღვრება მშობლიური და სხვა ენების სწავლების საფუძველთა-საფუძველია. და სრულიადაც არა იმიტომ, რომ ბრმად მივყვები მას, არამედ იმიტომ, რომ გააზრებული მაქვს და ჭეშმარიტებად მიმაჩნია იგი. ახლა კი თავს ნებას ვაძლევ მოვიტანო ვრცელი ამონაწერი მისი ფუნდამენტური წერილიდან „ძირითადი უკუღმართობა" (იგივე „ბურჯი ეროვნებისა"):

„რაც შეეხება კერძოდ რუსულს ენასა, ჩვენთვის, ქართველებისათვის, მას მრავალგვარი მნიშვნელობა აქვს. იგი არის, პირველად, სახელმწიფო ენა, სავალდებულო ყველა ქვეშევრდომ ხალხთათვის; მეორედ, იგი კულტურული ენაა, რომლის დახმარებით ვითვისებთ ევროპულ განათლებას; მესამედ, იგი არის ენა ფრიად მრავლისა ერისა და მას მიუცილებლად მოელის ბრწყინვალე მომავალი, ერთი მსოფლიო ენათაგანის (МИРОВОЙ ЯЗЫК) როლი; მეოთხედ, იგი არის ენა ერთ-მორწმუნე ხალხისა და აქვს ლიტერატურა შინაარსით და მიმართულებით მსგავსი ქართულის ლიტერატურისა; მეხუთედ, იგი არის ენა ხალხისა, რომლის ბედთან ისტორიამ, ხალხის სურვილმა და განგებამ შეაერთა ბედი საქართველოსი. ამი-

---

დასასრული. დასაწყისი იხ. „ლიტერატურული საქართველო" № 30.

ტომ რუსული ენა უნდა მიუცილებლად მისდევდეს ქართულ ენასა, როგორც სკოლაში, ისე სახლობაში, და ქართველნი უნდა ვცდილობდეთ სრულად შევითვისოთ ეს ენა და მისი ლიტერატურა.

მხოლოდ, რათა ეს შეთვისება იყოს ჩვენთვის სარგო და სასარგებლო, საჭიროა იგი ემორჩილებოდეს ბუნებისა და პედაგოგიის კანონს. გარნა ეს კანონი მოითხოვს, რომ მეორე ენა სახლობაში ისწავლებოდეს მასუკან, როცა ბავშვი გაიმართება დედა-ენაში, დაახლოებით მეექვსე-მეშვიდე წლიდგან და სკოლაში არა უადრეს მეორე წლისა. თუ ჩვენ, ქართველები, ჭკუით მოვიქცევით და ამ რიგსა და კანონს არ ვუღალატებთ, რუსულის ენის შეთვისება არამც თუ არ ავნებს ქართულს ენას, არამედ ძლიერ დაეხმარება მის წარმატებასა და აყვავებას. ამ რიგზედ დაყენებული სწავლება ენებისა მოზარდს თაობას შემოქმედებითს ძალასაც გაუძლიერებს, ენის ალღოსაც განუვითარებს, სახსოვარსაც განუმტკიცებს, შედარებითს ნიჭსაც უვარჯიშებს, რადგანაც ყოველ ნაბიჯზედ უცხო ენას ადარებინებს დედა-ენასთან და უხსნის მათ შორის მსგავსებასა და განსხვავებასა, ენის ბუნებას ღრმად შეათვისებინებს და ორკეცს ნამდვილ მეტყველებას მიანიჭებს. ამ სანატრელის შედეგისათვის ჩვენ გვმართებს მხოლოდ მტკიცედ ავასრულოთ დედა-ენის, რუსულის და სხვა ენების შესახებ ის მოძღვრება, რომელიც მაცხოვარმა გამოხატა სიტყვებით: „მიეცით ღმერთისა ღმერთსა და კეისრისა კეისარს“. ძლიერ ადვილია კაცმა წამოროშოს: ხიდს ქვეშ ქართული, ან რუსულიო. ამისათვის საჭიროა მხოლოდ მოძრაობა ტუტუცურის ენისა და სულელის ყელისა. მაგრამ, ვინც საქმესა სჯის გონებით და სინდისით და ვისაც სამშობლოს სიკეთე და ბედნიერება სათამაშო ბურთად არ მიაჩნია და ჰეროსტრატეს სახელის მოპოვება უმაღლეს თავის მიზნად არა აქვს, იგი ყოველთვის იტყვის: „რათა ტაატით არ აიროს საქართველოს ეროვნების ეტლმა, ან არ გაჩერდეს ერთს ადგილას, საჭიროა მასში შევაბათ ძირში ქართული ენა და ყევრად მოუბათ რუსული ენა და სხვა ენები. მაშინ და მხოლოდ მაშინ ეტლი ჩვენის ეროვნებისა ჭეროვანის სისწრაფით ივლის ცხოვრების გზაზედ და მიაღწევს სამშვიდობო სადგურსა“ („ძირითადი უკუღმართობა“. წერილი იაკობ გოგებაშვილისა. ტფილისი. 1892; სტამბა ქართველთა ამხანაგობისა. გვ. 85–87).

პატივცემულო მკითხველო, ნუ დაიზარებთ, მეორედ და მესამედაც ჩაიკითხეთ ეს მოძღვრება. როგორ ფიქრობთ, ეს აზრი იაკობ გოგებაშვილს კი არა, მე რომ გამომეთქვა, მაპატიებდა ამას ბატონი გურამ პეტრიაშვილი? მე კი არა, მგონია, არც იაკობ გოგებაშვილს აპატიოს, რადგან მთელი მისი ტირადები „რუსეთუმეობაზე“, „გარუსებაზე“ და, საერთოდ, რუსულ ენაზე იაკობ გოგებაშვილის მოძღვრების საწინააღმდეგოდაა მიმართული.

საქართველოში მე არ ვიცნობ მეცნიერს, რომელსაც ბავშვების „გარუსება“ მოენდომებინოს ან ამისთვის ხელი შეეწყოს. თუ არა და სცადეთ ჩემგან გარუსებული ერთი ახალგაზრდა მაინც მომიძებნოთ და თვალწინ დამიყენოთ; ჩემგან გზააბნეული ერთი ახალგაზრდა სადმე რუსეთის ტრამალებზე დაიჭიროთ და მისი გაქსუება დამაბრალოთ!

ვერ ნახავთ!

იმას კი ნახავთ, რამდენი გარუსებული ბავშვი ისევ გავაქართველეთ. თუ სადმე ამ უკიდეგანო ქვეყანაზე ქართველები არიან მიმოფანტული, იმიტომ კი არა, რომ ისინი ვინმემ „რუსეთუმედ“ აქცია, არამედ ცხოვრებაა ასეთი, ბედის ტრიალია ასეთი. „სად წაიყვან სადაურსა, სად ალუფხვრი სადით ძირსო“. ამ ბედის ტრიალში ქართველებმაც კარგად შევცოდეთ: თავად გავაქსუეთ და გავაქციეთ, გავასახლეთ და გავაძევეთ ბევრი ჩვენი ნიჭიერი თანამემამულე და ახლაც ამას ვაკეთებთ. ბატონ გურამ პეტრიაშვილისათვის მიმინდვია ამ თანამემამულეთა სიის შედგენა და თითოეული მათგანის ბედის გამორკვევა.

რას გვიქადაგებს იაკობ გოგებაშვილი? პუნქტებად ჩამოვთვლი:

1. ქართველი კაცისათვის რუსული ენისა და ლიტერატურის შეთვისება აუცილებელიაო;
2. ოღონდ რუსული ენა მიუცილებლად უნდა მისდევდეს ქართულ ენასო;
3. რუსული ანუ მეორე ენა სახლობაში (ე. ი. შინ) მაშინ ვასწავლოთ, როცა ბავშვი მშობლიურ ენაში გაიმართებაო — მეექვსე-მეშვიდე წლიდანო;
4. სკოლაში რუსული ენა არა უადრეს მეორე წლიდან ვასწავლოთო;
5. ამ გზით ნასწავლი რუსული ენა ხელს არ შეუშლის ბავშვის გონების გახსნას, პირიქით; მშობლიური ენის სიღრმეშიც ჩაახედებსო;
6. თუ გვინდა ჩვენი ეროვნების ეტლმა სამშვიდობო სადგურს მიაღწიოსო, მაშინ ქართულ ენას ყევრად უნდა ამოვუყენოთ რუსული და სხვა ენებიო;
7. ვინც ასე არ ფიქრობს, მას სამშობლოს ბედნიერება სათამაშო ბურთად გაუხდია და ჰეროსტრატეს სახელის მოპოვებას ესწრაფვისო.

მე იაკობ გოგებაშვილის აზრს მივყვები. ბატონ გურამ პეტრიაშვილს კი შეუძლია იფიქროს, როგორც სურს.

სისრულისათვის იაკობ გოგებაშვილის ეს აზრიც იქონიოს ხელთ:

„ქართული ენა მეტყველ და მსმენელ არსებად ჰხდის ქართველს გლეხსა და მუშას მარტოოდენ ქართველთა შორის. ხოლო მათ იშვიათად არა აქვთ საქმე არაქართველებთანაც, რომელთაც ქართული ენა არ იციან. ამ შემთხვევაში ჩვენი მუშა და გლეხი ხდებიან ყრუდ და მუნჯად. სხვებს მისი არაფერი ესმით და არც მას ესმის სხვისა. მათ ეს დიდ დაბრკოლებად მიაჩნიათ და უნდა თავიდან აიცილონ იგი. მაგრამ რა გზით? იმისთანა ენის საშუალებით, რომელიც მეტ-ნაკლებობით იციან სხვა კავკასიის ხალხებმაც და რომელიც ხალხთა შორის ენას წარმოადგენს. ამისთანა ენა, როგორც მკითხველს მოეხსენება, არის ახლანდელს პირობებში რუსული ენა. ჩვენებური გლეხი და მუშა გრძნობს, რომ ამ უკანასკნელის ენის ცოდნა გამოიყვანს ვიწრო კალაპოტიდან, სარბიელს გაუფართოებს, სხვა ხალხებთან დააახლოვებს და გაუხსნის დიდს ბაზარსა“. (იაკობ გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. 8, გვ. 418).

წარმომიდგენია, როგორ გააქილიკებდა ბატონი გურამ პეტრიაშვილი იაკობ გოგებაშვილს ამ აზრების გამო, მაგრამ იაკობისა რომ არის, რა ქნას? აი, ამიტომ მომადგა მე: ბავშვი არ მინახავს, მოსკოვში წასვლაზე ოცნებობდესო, კრემლის ნახვაზე ოცნებობდესო. მინახავს და ბევრიც. ასე იყო წლების წინ, ახლა კი იცვლება ფასეულობანი. ახლა შეიძლება აღარ მოუნდეს. ახლა შეიძლება ისიც გვითხრას, რუსულ ენას არამც და არამც არ ვისწავლიო. რას ვიზამთ, აღარ ვასწავლოთ?

მე იაკობ გოგებაშვილს გავყევი. ბავშვმა რომ „სრულად შეითვისოს ეს ენა“, ამისათვის გაცილებით უკეთესი მეთოდიკა დავამუშავეთ, კვირაში ორი 35 წუთიანი გაკვეთილი შემოვიღეთ სრულიად ახალ პრინციპზე. იქნებ ცუდი მეთოდიკა უნდა შეგვექმნა, რომ ბავშვს ყველა ხალისი დაეკარგოდა რუსულის შესასწავლად? ეს პედაგოგის ბუნება არ არის. „სახლობაშიო“, — სადღაა სახლობა, როცა 6 წლამდე ბავშვი მთელ დღეს საბავშვო ბაღში ატარებს. არა! ჩვენ კი არ ვიყავით საბავშვო ბაღში რუსული ენის მეცადინეობების შემომტანნი. მას 70-ანი წლების ბოლოს სხვა მესვეურნი მყავდნენ. ჩვენ მხოლოდ დაგვევალა, როგორც იყო ხოლმე, რომ სასწრაფოდ, ორ თვეში შეგვედგინა მეთოდური მასალები. არ ვუღალატეთ მეცნიერის სინდისს — ყველა კარგი აზრი და მინაკვლევი გავითვალისწინეთ. დაირღვა რამ იაკობ გოგებაშვილის მოძღვრებიდან, თუ ახალ ვითარებაში ახლებურად გადაწყდა? კვირაში ორ 25 წუთიან მეცადინეობას არ შეუძლია, ძალიანაც რომ მოვინდომოთ, გაარუსოს ქართველი ბავშვი ან საბავშვო ბაღში, ან სკოლაში, რადგან ბავშვის მთელი შინაარსიანი ცხოვრება შინაც, საბავშვო ბაღშიც, სკოლაშიც, ქუჩაშიც, ყველგან, როგორც წესი, მშობლიურ ენას ემყარება, მშობლიურ ენას ითხოვს, ამ ენას ააქტივებს.

იქნებ რუსული ენა ისე უნდა ვასწავლოთ, რომ ბავშვებს თან სიძულვილი ჩავუნერგოთ რუსების მიმართ, იმათ მიმართაც, ვინც ქართულად არ ლაპარაკობს, ან ჯერ ვერ მოუსწრია, რომ ისწავლოს? ვატყობ, ამას გვირჩევს ბატონი გურამ პეტრიაშვილი. რა ვქნა, კიდევ ერთხელ ნუ მოეწონება — ჩემი მეცნიერება: მე არაადამიანურ ახირებას პედაგოგიურ პრინციპად ვერ გამოვიყენებ.

მით უფრო ვერ გამოვიყენებ რასისტულ, ბავშვის დაუნდობლობაზე აგებულ რჩევებს. რა პედაგოგი ვიქნები, თუ ქართველ ბავშვს რუს და სხვა ერის ბავშვებზე წავასისინებ, მათ მიმართ საკუთარი ღირსების უპირატესობას ჩავუნერგავ? აი, ვურჩიე ქართველ ბიჭუნას: არავითარ შემთხვევაში არ დაელაპარაკო თანატოლს რუსულად, ის შენი ჰაერით სუნთქავს, შენს პურს ჭამს, შენს მიწაზე ცხოვრობს, ამიტომ ის არის ვალდებული გელაპარაკოს ქართულად. და თუ მაინც დაელაპარაკა რუსი (სომეხი, აზერბაიჯანელი, ბერძენი...) ბიჭუნა თავის ენაზე ჩემს ქართველ ბიჭუნას, რა ქნას ამ უკანასკნელმა? ალბათ, სილა გააწნას, ფეხქვეშ მოიგდოს და ჩასძახოს: „შენ ჩემი წინაპრების სისხლით მორწყულ მიწაზე ცხოვრობ, ჩემი მამულის ჰაერითა სუნთქავ და აქაურ პურს მიირთმევ. ამიტომაც ვალდებული ხარ ჩემს დედა ენაზე მელაპარაკო. ამას მოითხოვს ქართული ღირსება. გესმის თუ არა? კიდევ ჩაგცხო?“

„ჩასცხე, ჩასცხე!“ — გაამხნევებს ჩემი ოპონენტი.

განა არის ქართველი ბავშვის საზრუნავი, რომ ჩვენი, უფროსების — მშობლების, მთავრობის, ხალხის — საზრუნავი და თავშისაცემი პრობლემები გადაგვიწყვიტოს? ითამაშონ ბავშვებმა ერთმანეთთან: ქართველებმა, რუსებმა, სომხებმა, აზერბაიჯანელებმა (ჯერ კიდევ შემორჩენილი გვაქვს ეზოები და უბნები, სადაც სხვადასხვა ერის ხალხი ცხოვრობს) და ნუ ვავარჯიშებთ მთიანი ყარაბაღის, ფერღანის და მსგავსი ტრაგედიების მოწყობაში. ისწავლონ ერთმანეთისაგან, რასაც თამაში და მეგობრობა მოსთხოვთ. ჩვენ კი, მათ შორის თქვენც, პატივცემულო მკითხველო, ბატონმა გურამმაც და მეც ყველაფერი ვიღონოთ, რომ ჩვენს არეულ საქართველოში ქართველმა თავისთავსაც გაუგოს და მოყვასსაც; აქ მცხოვრებმა ყველა არაქართველმაც გულით განიცადოს საქართველოს ბედი, შეგვიყვაროს ჩვენ და ჩვენი ტკბილი ქართულიც.

გეკითხებით, ბატონო გურამ, დავუშვათ თუ არა, რომ არაქართულ საბავშვო ბაღებში 4-5 წლის ბავშვებს ქართული ლაპარაკი ვასწავლოთ? დავუშვათ თუ არა, რომ ქართული ენის სწავლა არაქართულ სკოლებში I კლასიდანვე დავიწყოთ?

მე ვფიქრობ, უნდა გავაკეთოთ ეს.

და დარწმუნებული ვარ, რომ, თუ ამ საქმეს კარგად დავაყენებთ, არაქართველ ბიჭუნებსა და გოგონებს გონება არ დაეხშობათ, პირიქით...

●

ბატონ გურამ პეტრიაშვილს თავი მოაქვს: მათემატიკოსი ვარ, მათემატიკასავით პატიოსანი საბუთიან-მტკიცებიანი კრიტიკა მიყვარსო.

აბა, რა ლოგიკაა, რომელშიც საბუთად ის მოგაქვს, რომ რაკი მე ბატონ შოთა ნადირაშვილის კრიტიკას პასუხი არ გავეცი, მაშასადამე მართალი არა ვარ, მაშასადამე, სათქმელი არაფერი მაქვს და, ამრიგად, დასკვნა: ექსპერიმენტი არც ჩატარებულა, ყველაფერი „ბლეფია“ და „თეორემაც დამტკიცებულია“.

რომ მეპასუხა, მეც რომ მისგან ქვა-ქვაზე არ დამეტოვებინა, მაინც „დამტკიცდებოდა“ ბატონ გურამ პეტრიაშვილის ე. წ. „თეორემა“? ვგრძნობ, ნამდვილად „დამტკიცდებოდა“, რადგან ასე სურს მას.

ჯერ ერთი, ვისი რა საქმეა, რატომ არ ვუპასუხე ბატონ შოთა ნადირაშვილს. მაქვს თუ არა უფლება მე, „გაკრიტიკებულს“, თავი შევიკავო მანამდე, ვიდრე საჭიროდ არ ვცნობ პასუხის გაცემას. მკითხველმა ხომ არ იცის, რა საგანგებო დროს და რისთვის დაწერა ბატონმა შოთა ნადირაშვილმა თავისი სტატია, ან რის გულისწყრომის ნიშნად გააკეთა ეს. ეს ჩემი საიდუმლო იყოს.

მეორე, ბატონმა შოთა ნადირაშვილმა სცადა ჩემთვის თავს მოეხვია თანამშრომლობის იდეის საკუთარი გაგება, და რადგანაც ჩემი თვალსაზრისი მისას არ დაემთხვა, ამის შემდეგ კრიტიკის ქარცეცხლის დანთებას რაღა უნდოდა. ეს აკრძალული ილეთია მეცნიერულ დავაში.

მესამე, შევეგუე „კრიტიკას“. იგი არასოდეს მიმაჩნდა და არც ახლა მიმაჩნია რაიმე „მამოძრავებელ ძალად“ მომაკვდინებელი ძალა კი ნამდვილად არის. როცა კაცი გულწრფელად გესაუბრება და აზრს გიზიარებს, გირჩევს და თავაზით გეკამათება, იქ ორივე ყურს მიუგდებ, ჩაფიქრდები. მაგრამ როცა შუღლისთვის მიწვევენ, ვცდილობ ხოლმე, რომ არ ავყვე.

ახლა ორიოდ „წვრილმანი“ მინდა გაგიმართოთ, ბატონო გურამ.

თქვენ მიერ შეთხზული „თვალთვალის“ შესახებ; რა მაღალ ფორტისიმოს მიაღწიეთ. ჯაშუშების აღზრდა დამწამეთ. **„Наблюдать“** და **„понаблюдать“** პირველ რიგში დაკვირვებას, შესწავლას ნიშნავს. ყოველ შემთხვევაში ტექსტში ეს სიტყვები მხოლოდ ამ მნიშვნელობით მაქვს გამოყენებული. აი, როგორ უკუღმა ხედავთ ყველაფერს! რაკი პატარები კიდევ უფრო პატარების ქცევას აკვირდებიან და შემდეგ მსჯელობენ, გაოცებულები არიან (რადგან თვითონ თავი უკვე დიდები ჰგონიათ), საბავშვო ბაღელები როგორ იქცევიანო, ამიტომ მათ ჯაშუშობას ვასწავლი?

ღირს კი ამაზე ლაპარაკი?

ანდა ალმების შესახებ: პატარა ბავშვებმა ალმები აიღეს და ქუჩაში გავიდნენ. თქვენ კი, ჰერი, ბიჭო, მეზღაპრეობა თქვენი ხელობაა და ერთობით: რევოლუციები, არიქა, სისხლიანი ყელსახვევები, არიქა, წითელი ალმებიო. რატომ წითელი ალმები, საიდუმლოაო. ვინ გითხრათ, რომ მაინცდამაინც წითელი? ნაირნაირ, ნაირფერ ალმებზეა ლაპარაკი. ყველა აღმზრდელმა იცის ეს „საიდუმლო“. ის მე არ გამომიგონია: ბავშვები ქუჩაში ალმებით გაჰყავთ იმიტომ, რომ გადასასვლელებზე ასწევენ მათ მაღლა და მანქანები ჩერდებიან.

— კიდევ რა გაგიმართოთ, ბატონო გურამ?

თქვენ არამკითხე რჩევას მაძლევთ: ქართული ლიტერატურა იკითხეო.

გმადლობთ. განსაკუთრებით თქვენს ზღაპრებსა და საბავშვო ლექსებს მივეძალები, როგორ მირჩევთ, ქართულად ვიკითხო თუ რუსულად?

მე კი ვერაფერს გირჩევთ სამაგიეროს. პედაგოგიკა-ფსიქოლოგიაში თუმცა შემიძლია ლიტერატურის მთელი სია მოგცეთ — ქართულ, რუსულ, ინგლისურ ენებზე, მაგრამ ისარგებლებთ?

არა ვარ დარწმუნებული, რომ რამეს გაუგებთ, ადვილი არ არის თანამედროვე ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური წიგნების კითხვა. ძალიან გაგიჭირდებათ.

კარგად ბრძანდებოდეთ, ბატონო გურამ!

რაც არ უნდა მაკრიტიკოთ ამის შემდეგ, ვეცდები აღარ გამოგეპასუხოთ. არა აქვს აზრი.

მე ვიცი, რომ ბევრი მოწინააღმდეგე მყავს აქაც და „რუსეთუმეშიც“. არ მიკვირს, პატივსაც ვცემ მოწინააღმდეგეებს. ზოგიერთთან ძალიან საინტერესო ურთიერთობა. ან რატომ არ უნდა მყავდეს მოწინააღმდეგენი? თავად განსაჯეთ: დამკვიდრებულ პროცესს ავტორიტარულ-იმპერატიული ვუწოდე, მას კი 70 წელი „საბჭოთას“ ეძახდნენ; დავიწყე ჰუმანური პედაგოგიური იდეების ქადაგება, ბავშვის შესაძლებლობათა უსაზღვროებასა და მის პიროვნებაზე ლაპარაკი, ეს კი ბურჟუაზიულად მიიჩნიეს; პედაგოგიური პროცესიდან გამოვდევნე ნიშანი, ამით ავტორიტარებს ხელიდან კვერთხის გაგდებინება მოვუნდომე; შევცვალე წერის სისტემა — იგი წერით მეტყველებას დავუქვემდებარე, გაბატონებული კი იყო (და არის) ფორმულა: „ზეპირი მეტყველება+წერის ჩვევა=წერით მეტყველებას“; ხელი შევუწყე თანამშრომლობის პედაგოგიკის ჩასახვასა და განვითარებას, რაც ოფიციალური პედაგოგიკის საპირისპირო აღმოჩნდა; დავიწუნე დამკვიდრებული დიდაქტიკური პრინციპები — „ადვილიდან ძნელისაკენ“ და ა. შ. და მივემხრე განვითარების თეორიას...

რა თქმა უნდა, გამიჩნდებოდნენ მოწინააღმდეგენი.

მათთან ბრძოლაში წლების მანძილზე მეც ბევრჯერ შევიცვალე, ვფიქრობ, ეს არც მათთვის იყო უნაყოფო.

რატომ ამირჩიეს პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიაში? მეც გაოცებული ვარ. ალბათ იმიტომ, რომ ეთქვათ საზოგადოებრიობისათვის — ასეთებსაც ვითმენთო...

რა მოხდა, რომ მოწინააღმდეგეთა თუ მტერთა ბანაკში ბატონი გურამ პეტრიაშვილიც იყოს.

ჩემდათავად კარგად ვიცი, რა დიდი სიკეთე მოაქვს პედაგოგიურ პროცესში ბავშვთან მასწავლებლის თანამშრომლობას და რამდენად სასარგებლო იქნება თანამშრომლობის პრინციპით მოქმედება ჩვენს დღევანდელ საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც. თანამშრომლობა შემგუებლობა და შემრიგებლობა არ არის, იგი ურთიერთგაგებისა და ერთობისაკენ სწრაფვაა, ამდენად ძალთა მოკრების სათავეა.

„ოღონდაც ქართულად ილაპარაკეო“.

ცოტაა ეს ძალიან.

ქართულად უნდა ილაპარაკო, თუკი ქართველი ხარ. მაგრამ იმასაც უნდა დაუფიქრდე, რომ შენი ქართული „ტკბილქართული“ იყოს.

ავტორის თხოვნით ჰონორარი გადაირიცხება მერაბ კოსტავას ფონდში.

თბილისის დილა.



სიმონ კილაძის ფოტო.



# პორტრეტის ოსტატი

ამას წინათ მხატვრის სახლში, 9 აპრილისადმი მიძღვნილ გამოფენაზე, საზოგადოების ყურადღება მიიპყრო ერთმა ნამუშევარმა. ეს იყო თაბაშირის თეთრი ფიგურა, ჭარმაგი, დარდით დანისლული კაცი, ქვეყნის ბედზე ღრმად ჩაფიქრებული, სახოწარკვეთად ქცეული ნატურალური ზომის ფიგურა, რომლის თვალწინ მძიმე, დამთრგუნველი ნაბიჯებით ჩაიარა სისხლით, ცრემლითა და ვაებით გათანგულმა საუკუნემ და დარდით დალარულ პირსახეზე ძლივს შესამჩნევი მწარე ირონიული ღიმილი დაუტოვა მხოლოდ.

ამ კომპოზიციას „ბედი ქართლისა" ჰქვია. მის ყოველ ნიუანსში ცოცხლდება ჩვენი ქვეყნის მიერ ორასი წლის წინ გადადგმული საბედისწერო პოლიტიკური ნაბიჯი, რომელიც მაშინ ალტერნატიულად მცირე ნუგეშს მაინც გულისხმობდა, ახლა კი იგი წარმომდგარა თავისი სახტიკი, შემაძრწუნებელი შედეგით, რომლის ქაოტურ ხვეულში რთულად გაზლართულა მომავლის ულმოლმო პერსპექტივა. მოხუცის ნისლიანი მზერის ჩაყოლებით ამ სამოცდაათი წლის მანძილზე ჩვენს მიერ განვლილი უხაზური და უშათლო გზა იგულისხმება.

ამ თავისებური სიმბოლიკით აღბეჭდილი ნამუშევრის ავტორია მოქანდაკე გურამ პაპინაშვილი, უაღრესად თავისებური და საინტერესო შემოქმედი. მან შესანიშნავად შეძლო შეექმნა განზოგადებული სახე ქართველი ინტელიგენტისა, რომელშიც დღევანდელი პოზიციიდან განსხეულდა მხატვრის მშფოთვარე ფიქრი ქართლის ბედზე.

კუთხოვანი, ტეხილი ფორმებით ძერწავს ავტორი ფიგურას. მძაფრი რეალიზმით მიანიშნებს ზანდაზმული მამაკაცის ნიშანდობლივ თვისებებზე, რომლებშიც ერთგვარად ხაზგასმულია სულიერი მდგომარეობის პრიმატი. მთავარი ყურადღება პორტრეტულ დახასიათებაზეა გადატანილი. სახის ცოცხალი ნაკვთები მცირე დეტალიზების კვალს ატარებს, თუმცა მხატვარს ნაკლებად აინტერესებს მსგავსება ნატურასთან. ეს იმ მომენტის ნათელი დემონსტრირებაა, ჩინელი მხატვრის ში ტაოს მაქსიმაში რომ არის გაცხადებული: „მსგავსება მსგავსების გარეშე, — აი, ნამდვილი მსგავსება!" მოქანდაკეს მთავარი აქცენტი განწყობის, სულიერი მდგომარეობის გამოსახვაზე აქვს გადატანილი და თავისთავად მიიღწევა პორტრეტული მსგავსებაც. სწორედ აქ ვლინდება გურამ პაპინაშვილის, როგორც დახელოვნებული პორტრეტისტის, დიდი ოსტატობა.

ამ საინტერესო ხელოვანმა 1968 წელს დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემიის ქანდაკების ფაკულტეტი. მას შემდეგ ინტენსიურად მუშაობს. შექმნილი აქვს 150-ზე მეტი სკულპტურული და გრაფიკული პორტრეტი, რომელთა დიდი უმრავლესობა თანამედროვე ქართული პლასტიკური ხელოვნების თვალსაჩინო ნიმუშია.

მაინც რით გამოირჩევა გურამ პაპინაშვილის მხატვრული სამყარო?

როგორც ცნობილია, პორტრეტული ჟანრი ურთულესი ფენომენია სახვით ხელოვნებაში. „ადამიანის სახე ბუნების უზენაესი შენაქმენია", — ამბობს ფრანგი მხატვარი ამადეო მოდილიანი და მართლაც, დიდი ოსტატობა და სიფხიზლეა საჭირო ადამიანის სახის სკულპტურული თუ ფერწერული ხატის შესაქმნელად, ამიტომაც მიუთითებდა გერმანელი ფილოსოფოსი გეორგ ჰეგელი, რომ „პორტრეტში მჟღავნდება მაღალი ხელოვნების მიზნები"... რომ „პროგრესი ფერწერაში იწყება რა არასრულყოფილი ცდებით, მიილტვის იქითკენ, რომ მიაღწიოს სრულყოფილებამდე — პორტრეტამდე".

პორტრეტი არსებითს უნდა გამოხატავდეს და რადგან არ არსებობს ორი ერთნაირი პიროვნება, პორტრეტში უნდა აისახოს ის განუმეორებელი და ერთადერთი (არსებითთან ერთად), რაც ინდივიდს გამოარჩევს მასისაგან. აქ მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მხატვრის პიროვნებასაც, რაც მნიშვნელოვნად განაპირობებს სახის, როგორც ხელოვნების ნიმუშის მხატვრულობას, რადგან თუ ხელოვანი მარტოოდენ ნატურის აღწერილობით შემოიფარგლა, ნამუშევარი ხელოვნებასთან ვერ იქნება წილნაყარი.

საინტერესოა თავად მსგავსების მომენტიც. „მეტისმეტი მსგავსება შემკვეთის გულის მოგებაა, ნაკლები მსგავსება — ტყუილი", — ამბობდა ჩინელი მხატვარი ციბაიში. მოქანდაკე გურამ პაპინაშვილი თავის საუკეთესო პორტრეტებში სწორედ ამ ორ უკიდურესობას გაურბის და ქმნის ჭეშმარიტად რეალისტურ, დამაჯერებელ პორტრეტულ სახეთა გალერეას.

პირველი სკულპტურული პორტრეტი იყო სადიპლომო ნამუშევარი — მიხეილ ჯავახიშვილის ბიუსტი. ამ პირველი წარმატების შემდეგ, აი, თითქმის 25 წელია, მოქანდაკე არ ღალატობს პორტრეტის ჟანრს. დღითიდღე მაღლდება მისი შესრულების ოსტატობა. ეს თვალსაჩინოდ იგრძნობა მისი სახელოსნოს კედლებზე, სადაც ერთად მოუყრია თავი ამ ნაყოფიერი წლების ნაღვაწს.

გურამ პაპინაშვილი თავის საქმეზე უზომოდაა შეყვარებული. ის თავდადება და რუდუნება რომლითაც ქმნის იგი ყოველ ნაწარმოებს, ნათლად ავლენს ამ საინტერესო მხატვრის პიროვნულ თვისებებს.

მოქანდაკე პორტრეტს გაიაზრებს, როგორც ადამიანის ტიპიური დამახასიათებელი თვისებების კრებით ხატს. იგი ყველგან „იცავს" თავის ინდივიდუალობას, თუმცა ცდილობს წარმოაჩინოს პიროვნება მკვეთრად გამოხატული ხასიათით, მოგვცეს წარმოდგენა ადამიანის სულზე, ფსიქიკურ წყობაზე, ჩაწვდეს მის შინაგან ბუნებას, ცოცხალ გარეგან ფორმებს, იმას, რაც ადამიანს პიროვნებად აქცევს.

გურამ პაპინაშვილი პორტრეტს ისტორიულ ჭრილში არ განიხილავს. აქ ვერ შეხვდებით ცნობილ ისტორიულ პირთა განზოგადებულ სახეებს. მხატვარი მიზნად ისახავს თავის თანამედროვე ადამიანთა ასახვას. აქ შეხვდებით გამოჩენილ მოღვაწეებს, უბრალო ქართველ ადამიანებს, რომელთა ნათელი, კეთილი გამომეტყველების დანახვა და გამომზეურება უქცევია მხატვარს თავისი შემოქმედების უმთავრეს მიზნად.

გამორჩეულია გურამ პაპინაშვილის ძერწვის ხერხები — სულ უფრო და უფრო თავისუფალი, თამამი და მოქნილი. საინტერესოა სიბრტყეთა მოულოდნელი დაპირისპირება. თუმცა მოქანდაკე არ ცდილობს შეალამაზოს ნატურა, მოგვაჩვენოს იმაზე უკეთესი, ვიდრე ის სინამდვილეშია. უფრო მეტიც: ხშირად ის ხაზგასმულადაც კი ამძაფრებს დამახასიათებელ ნიშნებს, მაგრამ მაინც შეიგრძნობა მხატვრის კეთილგანწყობა, მისი სურვილი, წინ წამოსწიოს ნატურის პიროვნული დადებითი თვისებები.

მიუხედავად იმისა, რომ გურამ პაპინაშვილი თითქმის ყოველთვის პორტრეტის ფრონტალური აგების პრინციპს ირჩევს, თავად ძერწვის საშუალებათა მრავალფეროვნება, განაპირობებს ერთი სტერეოტიპის ჩამოყალიბების საშიშროებიდან თავის დაღწევის შესაძლებლობას. აღსანიშნავია, რომ მხატვრის პოზიცია სათავეს იღებს თვით ნატურის პიროვნული თვისებებიდან და ამიტომაა მისი პორტრეტები ასე განსაკუთრებული და უშუალო.

სკულპტურულ პორტრეტთა გვერდით გრაფიკული პორტრეტები მეტი სითამამითა და გულახდილობითაა შესრულებული. ნამუშევართა კომპოზიციური აგების პრინციპი აქაც უმთავრესად ფრონტალური რჩება. მხატვარი ხშირად იუმორსა და გროტესკსაც მიმართავს. ნახშირითა და სანგინით შესრულებული ეს სახეები ვიზუალურად სასიამოვნოდ იკითხება და მხატვარს ნატურის უკეთ შეცნობაში ეხმარება.

**ირინე მერაბიშვილი**

ავტორის თხოვნით ჰონორარი გადაერიცხება საზოგადოება „თბილისელს".

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოში მცხოვრები ბელორუსი მწერალი

**ნიკოლოზ კალინკოვიჩი**

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

**განცხადება**

მზადდება კრებული „სამება". პოეტებს ვთხოვთ გამომცემლობა „მერანის" პოეზიის რედაქციაში წარმოადგინონ თავთავიანთი ყველაზე საუკეთესო სამ-სამი ლექსი.

„მერანი"



გაზაფხულის გახსენება. ბონდო დადვაძის ფოტო.


მთავარი რედაქტორი ელიზბარ ჯაველიძე

სარედაქციო კოლეგია: თამაზ ბიბილური (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ზვიად გამსახურდია, ლაშა თაბუკაშვილი, ჯუმბერ თითმერია (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ანა კალანდაძე, ნოდარ ჭათაძე, გურამ ფანჯიკიძე, ოთარ ჩხეიძე, თამაზ ჩხენკელი, სარგის ცაიშვილი, გივი ძნელაძე, თამაზ წივწივაძე, თამაზ ჭილაძე

პასუხისმგებელი მდივანი გივი ჯოხაძე

მორიგე რედაქტორი ივანე ამირხანაშვილი.



რედაქციის მისამართი: 380005, თბილისი, გუდიაშვილის მოედანი №2

ტელეფონები:

მთ. რედაქტორის მისაღები — 99-84-04.
მთ. რედაქტორის მოადგილის — 99-91-89
პასუხისმგებელი მდივნის — 99-67-10
განყოფილებების — 99-72-89; 99-71-68; 99-03-65. 95-36-68.
რედაქციაში შემოსული მასალა არ უნდა აღემატებოდეს მანქანაზე ნაბეჭდ 14 გვერდს.
მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ლიტერატურული საქართველო

«ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО»
ОРГАН ПРАВЛЕНИЯ СП ГРУЗИИ

გამოდის პარასკეობით

ИНДЕКС 06436 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა.